

ლიტერატურული გაზეთი

№14 (246) 19 ივლისი - 1 აგვისტო 2019

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ნიკა ჯორჯანელი

სოსო მეშველიანი

განა შავები გადაეცვას — უბრალოდ სხეული
ჰფენდეს მიდამოს, მკაცრს, ცივს, ღამის თავშლით
გადაფარებულს ბოლომდე, სულს გამოხვეული
ნაორთქლი ფანჯრის ფარდებში შავში.

ღილით იკრავდეს თმას, მიმოდრიდეს ზღაზღნით,
ტუჩს უბზუებდეს მზეს და ხარშავდეს ყავას.
გარემოცული ტყით ჩემი ფიქრების მასზე,
ვერ უტყებოდეს თავს, რომ თვალწინ ვყავარ.

სწყალობდეს დღე, საღამოებიც ჰყოლოდეს მოყვრებად.
არ ისევრავდეს ვენებს — სხვაგან ეძებდეს საშველს;
ხვდებოდეს — სიყვარული სისხლს არ მოჰყვება,
სიყვარული სისხლზე უფრო ღრმადაა მასში.

ფეხმორთხმით იჯდეს, ციურ სხეულთა ელვა გაჰქონდეთ მუხლებს.
მიფიცხებული ბუხარს, თბებოდეს, როგორც გუნდა;
ტოლს არ უდებდეს ცეცხლს, და სითბო ბუხრის
თბებოდეს მის დამჭმუნვარებულ გულთან.

ხან ფეტვს იყრიდეს მუჭაში, აჭმევდეს გარეთ გვრიტებს.
ხან უყვავებდეს კატას, მის ოდნავ შემშერს.
რაზეც უნდოდეს, ცრემლს
ცხადში იმაზე ღვრიდეს.
მაგრამ სიზმარში ცრემლს ღვრიდეს ჩემზე.

კალმით მყნობა

*

რას წარმოვიდგენდი, თუ ისევ ვერ მოვუსწრებდი. არა, დაგვიანებით არ
დამიგვიანია, დრო ზუსტად მქონდა გათვლილი, ჩანიშნული. უბრალოდ
გაზაფხულმა იჩქარა, ბუნებამ დამასწრო, ყველა კვირტი გაშლილი დამხვ-
და; გაშლილს კიდევ არა უშავს, უკვე ფოთოლში გადასული. ღია მწვანე ჯერ-
აც უფრო ფოთლები (ქარის დაბერვისას რომ უფრო მყარად ირხვეიან)
კარგად ფარავდნენ ხის სიშიშვლეს, აქა-იქ დარჩენილ ჯერ კიდევ ცარიელ
ჩიტის ბუდეებსაც. მყნობის დრო კალენდარზე აღნიშნულ თარიღზე ძალიან
გასრულებულიყო. გულდანვეტილმა ძველ ნამყენებს დავუწყე თვალთვრე-
ბა. აგერ რვა წლის წინათ დამყნილი ტყუპი მსხლის კენწეროები ბელლის
სახურავს ასცდნენ და უკვე თავბრუდამხვევად ქათქათებენ. ბოსტანში კვირ-
ტით დამყნილი ვაშლის პატარა ნორჩ ტოტსაც სხვა ტოტებისგან განსხვავე-
ბით უფრო მონითალო ყვავილი მოუსხამს. ყანის ბოლოში კი ვეებერთელა
ბებერ პანტა ვაშლზე მამაჩემის დამყნილი ხუთი სახეობის ვაშლი რა ხანია,
ერთ საძირზე ხარობს. ვაშტერდები თითოეულ მათგანს და ვხვდები, რომ
ესეც შემოქმედებაა, უფრო სწორად, მე წერასაც მყნობასთან ვაიგივებ (ან
ახლა მომინდა გაიგივება). კალმით მყნობა პროზის წერას უფრო ჰგავს, კვირ-
ტით მყნობა კი ლექსისას, რადგან ეს უკანასკნელი უფრო სათუთად, უფრო
რთულად უნდა ამოზარდო უფრო დაბალი წერტილიდან, ვიდრე ეს კალმით
მყნობის შემთხვევაში ხდება.

V

VI-VII





პლატონი ქალაქის შესწავლამ ისე გაიტაცა, რომ თავისი ფაქტობრივი არარსებობა და სხვა მრავალი სადარდებელი საერთოდ გადავიწყდა. ქუჩებს დინჯად მიუყვებოდა და გზად შემხვედრ ნეორენესანსული ეპოქის შენობებს გულდასმით ათვალიერებდა. თავიდან, ალბათ, ყველაზე მეტად ოპერისა და ნმინდა სტეფანეს ბაზილიკით მოიხიბლა, თუმცა როდესაც პარლამენტის შენობას მიადგა, ერთგვარი კულტურული შოკიც კი განიცადა. მსგავსი მასშტაბის გრაციოზული ნაგებობა არსად ენახა. მართალია, ის ძალიან ძველი არ იყო, თუმცა აქაურობის ნამდვილი საკვირველი ბარათი გახლდათ. ის ასეთივე წარმატებით შეიძლება მუხუმიც, თეატრიც, ციხე-სიმაგრეც და საკათედრო ტაძარიც კი ყოფილიყო, რადგან ჩამოთვლილ ნაგებობათათვის დამახასიათებელ ყველა ელემენტს შეიცავდა. ეს საუცხოო შენობა, თავისი გუმბათებითა და შიშვლებით, სვეტებითა და ქონგურებით, ქანდაკებებითა და თაღებით დუნაის ნაპირზე იდგა და სრულიად დამახარებულად იწოდებოდა თავს. ისე კი, ციხე-სიმაგრე იქ სხვაც უკონდათ და თან არანაკლებ ლამაზი. ბუდას მხარეს, ბექობზე ნამოჭმული კომპლექსი ქალაქს ზემოდან შარავანდედად ედგა. პლატონმა ცეცხლი სწორედ იქით აიღო. მრავალი მოხდენილი მოედანი თუ საფეხმავლო ქუჩა განვლო და ცნობილ ჯაჭვის ხიდზე, ლანცვიდზე გადავიდა. ეს სწორედ ის პირველი ხიდი იყო, რომელიც დუნაიზე გაიღო, ქალაქის ორი ნაწილის, ბუდა და პეშტის გასაერთიანებლად. ფუნქციონირით სარგებლობის ფული არ უკონდა და ამიტომაც ციხე-ქალაქისკენ მიმავალ ბილიკს ფეხით აუყვავა. უფრო სწორად კი ტურისტთა ნაკადს მიჰყვავა და ბორცვზე გაშენებულ კომპლექსში თხუთმეტ წუთში ავიდა. ეს უბანი, ბუდას ციხე-ქალაქი, დაბლობში, პეშტში არსებული ღირსშესანიშნაობების ღირსეული გაგრძელება და, ამავდროულად, ცალკე მდგომარეობის მარგალიტი გახლდათ. აქ მრავლად იყო ისეთი შთაბეჭდავი ნაგებობები, როგორც ბაროკოს სტილში აგებული სამეფო სასახლე, სადაც ამჟამად ეროვნული გალერეა განთავსებულიყო; პრეზიდენტის რეზიდენცია, ტურისტთა ყველაზე საყვარელი ადგილი — მეთევზის ბასტიონი — საიდანაც ქალაქის არაჩვეულებრივი ხედი იშლება და გოთიკური სტილის წმინდა მატეასის სახელობის ტაძარი მოჩანდა. ამ მინიატურული ქალაქის ფეხით შემოვლა ნახევარ საათშიც კი იყო შესაძლებელი. აქაურობამ რაღაცით მშობლიური ნარჩაყალა მოაგონა. მართალია, მასშტაბიც გაცილებით დიდი იყო და ნაგებობათა რაოდენობა თუ იერსახე, თუმცა ეს, ალბათ, იმის დამახარებელი გახლდათ, რომ უნგრელების მეზობლად ავსტრიელებიც ცხოვრობდნენ და მათაც მეტი დრო ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში გაატარეს — არა, როგორც ქართველებმა, თითქმის ორასი წელი, რუსეთის იმპერიაში რომ იცხოვრეს.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღე ფეხით დადიოდა, დაღლას საერთოდ ვერ გრძობდა. პირიქითაც, ეს მსვლელობა თუ გასაღივება, ერთგვარი თავდავიწყების საშუალებას აძლევდა და ისიც გაუჩერებლივ წინ მიიწვინებდა. თითქოს ცდილობდა, რაღაცას გაქცეოდა და რაღაც დაევიწყებინა. სავარაუდოდ, ის საკუთარ თავსა და არსებულ რეალობას გაურბოდა. ამიტომაც ცდილობდა, ქალაქის რაც შეიძლება მეტი ღირსშესანიშნაობა და ეთვალერებინა და შთაბეჭდილებებშიც ბოლომდე ჩაკარგულიყო. ამაში კი, თავდავიწყებასა და შთაბეჭდილებების შეგროვებაში, გარემო მართლაც რომ ხელს უწყობდა. ციხე-ქალაქში მდებარე პრეზიდენტის ნეოკლასიკური სტილის რეზიდენციის წინ, მოედანზე, კიდევ ერთი ძალზე საინტერესო სანახაობის მომსწრე გახდა. სწორედ მისი იქ ყოფნის დროს რეზიდენციის წინ მდგარი საპატიო ყარაული შეიცვალა და ეს კი ისეთი სანახაობა გამოდგა, რომელიც გულგრილს არავის დატოვებდა. კოხტა ფორმაში გამოწყობილი სამხედროები ეზოს შუაგულში მწყობრი ნაბიჯით გამოვიდნენ და დასარტყამი ინსტრუმენტის რიტმულ ხმაზე ძველი თოფები ხელში ისე ოსტატურად დაატრიალეს, ბევრ საცირკო დასაც კი შემურდებოდა. აღფრთოვანებული მაცურებელი ფოტოგრაფისტებს გამა-

ლებით აჩხაკუნებდა და ერთადერთი, ვინც ამ სანახაობას უმოქმედოდ შესცქეროდა, ეს პლატონი გახლდათ. უტელეფონოს ან კი რა შეეძლო, გარდა ყველაფრის კარგად დამახსოვრებისა? შოუ მალევე დასრულდა და ჯარისკაცებიც ცვილის ფიგურებით გაიყინნენ. მცირე ქვის კიბით სასახლის ეზოში დაეშვა და ცოტახანს შენობის წინ იტრიალა. ბოლოს იქვე მდებარე გალერეის შესასვლელთან დაკიდებულ საინფორმაციო დაფასთან შეჩერდა და ექპოზიციის შესახებ ინფორმაციას გაეცნო. მართალია, ფერწერა მისი სისუსტე იყო, თუმცა ახლა გამოფენაზე შესვლას ვერაფრით შეძლებდა. იქ, სასახლეში, ხომ ბილეთის, ფულისა და პასპორტის გარეშე არავინ შეუშვებდა? პასპორტის გახსენებაზე თავში ერთი ბავშვობისდროინდელი მოგონება ამოუტივტივდა. მათთან ოჯახში, სტუმრად, დიმიტრის ერთი ნათესავი კაცი ჩამოდიოდა ხოლმე. ის სამეგრელოდან, კერძოდ, ზუგდიდიდან გახლდათ. მათი ახლობელი ადამიანი იყო და, შესაბამისად, ყოველ ჩამოსვლაზეც, პლატონს პასპორტის ჩვენებას სთხოვდა.

პირე მხარეს წარუძღვა. სრული ეტიკეტის დაცვით, რევერანსებითა და ასე შემდეგ, უზარმაზარ ხის კარამდე მიაცილა და ზედ მორიდებით დააკაკუნა; გამოალო და ოთახში შეუძღვა, ხმადაბლა ჩაახველა და უსაშველოდ დიდ საწერ მაგიდასთან მჯდარ კაცს ინგლისურად აუწყა, თქვენთან აუდიენციაზე არიანო. პლატონი ოთახის ინტერიერმა და იქ თავმოყრილმა ნივთებმა იმდენად გააოცა, რომ დამხვედურისკენ არც კი გაუხედავს. მზერა ჯერ კედელზე გამოფენილ ტილოებს მიაპყრო და შემდეგ კუთხეში მდგარ წვრილფეხება კაბინეტს. ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, როგორც ეს რენესანსის ეპოქის სასახლეს შეეფერებოდა. იქაურობის თვალთვლით ისე გაერთო, საერთოდაც გადავიწყდა, სად იყო და მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როდესაც უზარმაზარ სარკეში, ზურგსუკან, საწერ მაგიდასთან მდგარი კაცის ანარეკლი შეინახა. უცნობი გავჯიშული იდგა და ოდნავ შესამჩნევად უღიმოდა. პლატონი მკვეთრი მოძრაობით შებრუნდა და მელოტ, წვრილფეხება მამაკაცს თავი ზრდილობიანად დაუკრა.



გიორგი შერვაშიძე
გოგლიგოგლი
აფხაზურად
ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

რა თქმა უნდა, ნორჩ მცირე პირადობის დამადასტურებელი არანაირი საბუთი არ უკონდა, რადგან სულ რაღაც ექვსი წლისა იყო და ყოველ ჯერზეც მისთვის ჭუჭუას ჩვენება უნებდა. ის კი, ნათესავი, სიცილისგან ბუივდებოდა და თან იმავე ჭუჭუაზე ისე გამეტებით ექაჩებოდა, რომ ლამისა მოეძრო. ამ უცნაურ რიტუალს ბოლო არ უჩანდა და პატარა მცირეც ყოველ ჯერზე თვალცრემლიანი დედასთან გარბოდა. თამრიკო კი შვილს კალთაში ისევამდა, უყვავებდა და ყურში ეჩურჩულებოდა, სტუმარს ოთხი გოგო ჰყავს და ეს ამბავი ვერ მოუხელებიაო... პლატონი უკვე უკან გაბრუნებას აპირებდა, როდესაც მისი ყურადღება კედელზე გამოკრულმა ერთ-ერთმა პოსტერმა მიიპყრო, რომელზეც სასახლე გამოესახათ და ოქროსფერი ასოებით „მონარქთა საერთაშორისო ასოციაცია“ დაეწერათ. პლატონი მოულოდნელობისგან გაშრა, პიჯაკის ჯიბეში ხელი ჩაიჭურა და იქიდან დანიელის მიცემული მოსანვევი ამოიღო. მისი არსებობა საერთოდაც აღარ ახსოვდა და მხოლოდ ახალა გაახსენდა, როდესაც ამ პლაკატს გადაწყდა. დაიძაბა და მისი გონებაც გამაღვებით ამუშავდა. ეს დამთხვევა შემთხვევითი ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო. რაღაცნაირად დადებითად ენიშნა და გადწყვეტილებაც უცებ მიიღო. პიჯაკი შეისწორა და პირდაპირ სასახლეში შევიდა.

— გამარჯობა, მე ანჩაბაძე, პლატონ ანჩაბაძე ვარ... — ეს სიტყვები ისეთი დამაჯერებლობით მისმოთქვა, თითქოს ჯეიმს ბონდი ყოფილიყო. კარში მდგარმა დაცვის თანამშრომელმა კი ისეთი სახით შეხედა, ამკარად არც მას იცნობდა და არც ჯეიმს ბონდს, — აი... აი, მე ეს მაქვს... — პირქუშმა კარისკაცმა მოსანვევს დახედა, თავი მოწინებით დახარა და გალერეის მოპირდა-

— აი... — მოსანვევი გაუწოდა და გაიყინა. წარმოდგენა არ უკონდა, ახლა რა უნდა ეთქვა და როგორ უნდა აეხსნა, იქ რა ესაქმებოდა?
— გამარჯობა, პლატონ... კეთილი იყოს შენი ჩვენთან მობრძანება, — უცნობმა საწერი მაგიდის წინ მდგარ სავარძელზე მიუთითა და თავის ადგილს დაუბრუნდა. მწვანე, მაუდგადაკრულ მაგიდაზე ბროლის სამეღვანე, ნევეტიანი კალმები და ფურცლის საშრობი იდო. მცირე სავარძელში მოკალათდა და დამხვედური კიდევ ერთხელ შეათვალა. თითქოს საიდანღაც ეცნობოდა, მაგრამ საიდან, ვერაფრით გაიხსენა. არადა, ძალიან ნაცნობი სახე უკონდა. ნამდვილად სადაღაც ჰყავდა ნანახი და თან — არაერთხელ.
— ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ? — პლატონმა, როგორც იქნა, ხმა ამოიღო და დაბნეულმა იკითხა.
— არა... უფრო სწორად, მე გიცნობთ და თქვენ კი არა. მე კარლი ვარ. კარლ ჰაბსბურგი. ჩემი წინაპრები მეთვრამეტე საუკუნემდე ესპანეთის მმართველნი იყვნენ... — კარლი თავაზიანად გაეცნო და ისიც კი დაუკონკრეტა, სადაური ჰაბსბურგი იყო. პლატონს მის სიტყვებზე გაეღიმა. რატომღაც ერთაზნა ბრეგვადი, ძუქურისგან, გაახსენდა. მათ გამოცნაურებაში იყო რაღაც მსგავსება... თან ეს კარლი ხომ ისედაც ძალიან ეცნობოდა და ახლა კი მთლად შინაურად მიიღო. გონება დაიძაბა და გაახსენდა, საიდანაც ეცნობოდა: ჰაბსბურგი მის ერთ ძველ ნაცნობ მექისეს ჰგავდა. დაიხ, მექისეს, რომელიც ჰაბსბურგების მუშაობდა და წლების მანძილზე გულდასმით ხეხავდა. ნამდვილი მექისე მახარეს ასლი იყო — ცოტა უფრო კულტურული და რაფინირებული, თუმცა გაჭრილი ვაშლივით იდენტური, — მე ვახლავართ კარლ მეორის, მოჯადოებულად ნოდებულის, შთამომავალი... ესპანეთის

ტახტზე ჰაბსბურგთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის შთამომავალი...
— ააა... — პლატონმა ეს „ა“ ისე განეწვინა, თითქოს ჰაბსბურგთა ყველა შტო ზედმინევი იყო და ახლა ზუსტად დაადგინა, მის წინ მჯდომი კაცი ვისი ჩამომავალიც იყო. არადა, მექისე მახარეს იმდენად ჰგავდა, რომ ჰაბსბურგებთან ვერაფრით დააკავშირა, — ისე, თქვენ შემთხვევით თბილისში ხომ არ ხართ ნამყოფი? ან რაღაც პერიოდი იქ ხომ არ ცხოვრობდით?
— არა. სამწუხაროდ, საქართველოში არასდროს ვყოფილვარ, თუმცა ახლა უკვე დარწმუნებით შემიძლია ვთხრაო, რომ თქვენი სამშობლოს მონახულება ძალიან მალე მომიწევს და თან — არაერთხელ. დიდი იმედი მაქვს, ჩემი მასპინძელიც სწორედ თქვენ იქნებით და თან სრულიად სხვა სტატუსით... — პლატონმა თავი დანანებით გააქნია. კარლი არ იყო მახარე. შესაბამისად, ქისის გაკეთებაც არ ეცოდნებოდა. გარეთ კი ისე ციოდა, რომ აბანოში სტუმრობისთვის ზედგამოჭრილი დარი იდგა. ის, ჭრელი აბანოების კოჭლი მახარე კი, ისეთ ქისას აკეთებდა, რომ... საკურნებელს. სტუმარი ჯერ გოგირდისწყლიან აუზში კარგად დაალობდა და მერე კი ხელით ანიშნებდა, აქეთ მოდიო. ქვის სანოლზე ნამონოლაში შეეშველებოდა, ცალ ხელზე ქისას გაიკეთებდა, ტაშს შემოკრავდა და ნავიდა... შანსი არ იყო, რაც უნდა ახალი ნაბანავები ყოფილიყო, ხელის ერთი გასმით, სხეულზე პერგამენტის მსგავსი ხეულები არ გაეჩინა. ჯერ ზურგიდან, ბეჭებიდან იწყებდა და მერე ნელ-ნელა დაბლა ჩადიოდა. ისე ღონივრად ხეხავდა, რომ ძვლებსაც კი სულ ტკაცვი-ტკუცი გაუფიოდა. შემდეგ პატარა ტომარას მოიმარჯვებდა, შიგ საპონს ჩააგდებდა, ააქაფებდა, ზედ უხეშ ღრუბელს დაადებდა, რომელიც სიმინდის ნაქურჩალს ჰგავდა და ახლა სტუმრის დაბანას იწყებდა. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, რომ ხელი შემთხვევით პირდაპირ იქ გაურტყია, რა ეპითეტიაც ხშირად ცუდ, ძუნწ კაცებს მოიხსენებენ და ვინ იცის, ამას იქნებ შეგნებულადაც აკეთებდა, რათა მერე შეკვივლებაზე გემრიელად გაეცინა. ბოლოს გაუფრთხილებლად თავზე ცივ წყალს გადაასხამდა, მხარზე ხელს დაჰკრავდა და, გაამოსო, მიაძახებდა.
— დაიხ... უფ... ბოდიში, მაგრამ რაღაც ვერ მიგიხვდით... — პლატონი ჭრელი აბანოს მოგონებებმა ისე ჩაითრია, რომ საერთოდ დავიწყდა ეს, აქაური მახარე, რაზე ესაუბრებოდა.
— დანიელს ხომ შეხვდით? საქმის ვითარება ხომ გაგაცნობთ? აი, როდესაც ეს მოსანვევი გადმოგცათ, ხომ აგისხნათ, რაშიც იყო საქმე და აქ რატომაც უნდა მოსულიყავით? — დაბნეული და უაზროდ მომღიმარე პლატონის შემხედვარე კარლს მის ადევკვატურობაში ამკარად ეჭვი შეეპარა, — პლატონ, აქ რისთვის მოხვედით?
— დაიხ... დაიხ... მე დანიელს შეხვდი და მან ეს მოსანვევი გადმომცა... და კიდევ ის, რა ჰქვია იმას... აფხაზეთის მთავარიო და რაღაცები... ჰო, და... სიმართლე ვითხრაო, მაშინ ცოტა... უფრო სწორად კი ზომამდე მეტადაც ნასვამი გახლდით და... თან გარემოც ერთობ უჩვეულო იყო... სიტუაციაც ცოტა პიკანტური და... მაშინ იქ ჩვენი საუბარი რაღაც არ გამოვიდა, რა... — მცირე ისეთი მიკიპ-მოკიპა, საწყალ კარლს დასისხლიანებული თვალები მთლად შუქნიშნებივით გაუხდა.
— წარმოუდგენელია... როგორ, თქვენ... თქვენ... არა, ამას დანიელისგან ნამდვილად არ მოველოდი... კანდიდატი საერთოდ არ დაამუშავა და სრულიად მოუმზადებელი გამოგზავნა... არა, თქვენ ნუ ღელავთ, თქვენ არაფერ შუაში ხართ, ეს ჩვენი შიდა სამზარეულოა... — კარლმა კალამი მოიმარჯვა, ბროლის სამეღვანე ჩაანო, თაბახის ფურცელზე რაღაც შენიშვნები დაიტანა და ზედ სპილოსძვლით განყოფილი საშრობი მოცდატარა. მერე თავი ასწია, ერთხანს გასიხლავდა უცქირა და საუბარი განაგრძო, — ვასაგებია... ესე იგი, ყველაფრის თავიდან ახსნა მომიწევს. არა უშავს. მამ ასე... ისე ყავას ან ჩაის ხომ არ ინებებდით?
— არა, გამადლობთ, ნუ შენუხდებით. მართლაც უმჯობესია იქნება, თუ ყველაფერს თავიდან ამიხსნით... თან მეც

რალაჲ პატარა პრობლემები შეემქმნა და... ვიფიქრე, რომ... იქნებ ჩემი დახმარებაც შეძლოთ და... თუმცა ჯერ თქვენ ბრძანეთ და ჩემი სატიკვარი მოიცდის, მერე იყოს, — პლატონმა რატომღაც გადანწყვიტა, რომ დაკარგულ პასპორტთან დაკავშირებით დახმარება სწორედ ამ ადამიანისთვის უნდა ეთხოვა. რატომ, ამას თავადაც ვერ მიხვდა. ეტყობა, მახარესთან მსგავსებამ გაათამამა და თან ჩათვალა, რომ კარლს ეს, ანუ მისი დახმარება, ხელენფებოდა. აი, ასე, უბრალოდ, მოეჩვენა, რომ მის დახმარებას შეძლებდა და მორჩა.

— კეთილი, მაშინ საქმის ვითარებას გაგაცნობთ და შემდეგ თქვენს დახმარებასაც შევეცდები. მაშ ასე, დანიელი, ალბათ, იმას მაინც გეტყობათ, რომ თქვენ ხართ აფხაზეთის ანჩაბაძე მმართველის უკანასკნელი შთამომავალი და, შესაბამისად, ტახტის პრეტენდენტიც თქვენ ბრძანდებით, — კარლი ნამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. პლატონს რამდენჯერმე გადახედა და როდესაც ისევ მის დაბნეულ მზერას გადააწყდა, მძიმედ ამოიოხრა. მცირე მართლაც ძალიან დაბნეული იყო, რადგან შეატყო, რომ კარლიც ზუსტად ისე კოჭლოდა, როგორც კოჭლი მახარე. ოღონდ ის კი ვერაფრით გაიხსენა, ჭრელების ჰაბსბურგი რომელ ფეხს ითრევდა, — მოკლედ, უკვე წლებია, მზადდება პროექტი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის მონარქიის აღდგენა იგეგმება. უფრო თუ დავკონკრეტდებით, მას, აფხაზეთის, სამთავროს სტატუსი უნდა აღუდგენეს და, შესაბამისად, მთავარიც უნდა ჰყავდეს.

— და ჩაჩბები? — პლატონმა ველარ მოითმინა და საუბარი გაანწყვეტინა, რადგან ისტორიულად, თამარ მეფის დროიდან მოყოლებული, აფხაზეთის მთავრები სწორედ ისინი იყვნენ.

— ძალიან გთხოვთ, ნულარ შემანწყვეტინებთ. ვეცდები, ყველაფერზე ამომწურავად ვისაუბრო და მერე, თუ კიდევ რამე კითხვები გაგიჩნდებათ, იმათზეც ვიპასუხებ. ოღონდ ახლა საუბარი აღარ გამანწყვეტინოთ. მე არ მითქვამს, რომ თქვენ ერთადერთი კანდიდატი ბრძანდებით. ჩვენ მრავალი მიმართულებით ვმუშაობთ და აფხაზეთის დიდგვაროვანთა სხვადასხვა შტოს ვსწავლობთ. კანდიდატებიც სხვადასხვა წარჩინებული გვარიდან გვყავს შერჩეული. განიხილეთ მარჯამიძეებიც, ანჩაბაძეებიც, ემხვარებიც და მარლანიებიც. მომავალში ნებისმიერ მათგანს შეუძლია, გახდეს მთავარი. ეს დიდ სირთულეს ნამდვილად არ წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ ისტორიულად ამის მრავალი მაგალითი არსებობს. მე მმართველი გვარების ცვლილებას ვგულისხმობ. ნებისმიერი ქვეყნის ისტორიას გადაავლეთ თვალი და დარწმუნდებით, რომ თითქმის ყველგან იცვლება გვარები, დინასტიები და ტერიტორიებიც კი. ზოგადედ მონარქიაც, როგორც ასეთი ინსტიტუტი, ამ მიმართულებით სტატიკური არასდროს ყოფილა. თქვენს სამშობლოშიც კი, ბაგრატიონებამდე გორგასლიანები იყვნენ, და იმათ წინ კი ფარნავაზიანები... ხომ ასეა? მერწმუნეთ, ყველაფრის შეცვლა შეიძლება, და მითუმეტეს, მონარქიულ მმართველობაში. მართალია, ხელმწიფენი და ძლიერნი ამა ქვეყნისა ყველანაირად ცდილობენ, ეს თავიანთი ძალაუფლება სამარადჲსო გახადონ და შთამომავლობას დაუკანონონ, თუმცა, რეალურად, ასე არ ხდება. ყოველთვის ჩნდება ახალი სისხლი, რომელიც ძველის ადგილს იკავებს და მისი ჯერიც დგება. ახლა თქვენ თვითონ ბრძანეთ, რატომ არ შეიძლება, რომ ამჯერად მმართველობაში თუნდაც ანჩაბაძეები მოვიდნენ? — კოჭლმა კარლმა ფანჯარა გამოაღო. თაროზე შემოდებული ჩიბუხი გამართა და გაუკიდა. ახლა ის ნამდვილად დიდგვაროვან არისტოკრატს ჰგავდა და მახარესი აღარაფერი ეცხო. პლატონმა ისიც კი გაიფიქრა, ნუთუ ერთმა უმნიშვნელო დეტალმა, ჩიბუხმა, ასე ძლიერ შეცვალა? შეიძლება ასეც იყო, ან კი, უბრალოდ, კარლმა მისი გონება დაიპყრო და მექისე აძიულა, იქაურობა სამუდამოდ დაეტოვებინა.

— ალბათ... — პლატონს ხმა ჩაუნყდა. შესაძლებლობათა თეორიის მიხედვით, ამქვეყნად მართლაც ყველაფერი შესაძლებელი იყო, თუმცა საერთოდ ვერ მიხვდა, ეს ყველაფერი რისი მომცემი უნდა ყოფილიყო. რისი თქმა უნდოდა? მისგან

რას ელოდა? და საერთოდ, ეს თემა რა საჭირო იყო?

— პლატონ, თქვენ აშკარად დამაჯერებლობა გაკლიათ. ეს კი ან იმის ბრალა, რომ თქვენ ჩვენი ბოლომდე არ გჯერათ, ან იმის, რომ ერთობ მორიდებული ბრძანდებით და საკუთარ თავს ასეთ საპასუხისმგებლო პოზიციაზე ვერ მოიხრებთ. დამშვიდდით, ყველაფერი უმცირეს დეტალზეა გათვლილი. როგორც ვთქვი, ამ პროექტზე უკვე ათწლეულზე მეტია, ვმუშაობთ და მასში მონაწილეობა ძალიან ბევრმა ჭკვიანმა ადამიანმა მიიღო. ახლა კი ეს ყველაფერი დამავიწყებელი ფაზაშია შესული. პროექტი როგორც ქართულ, ისე აფხაზურ მხარესთანაა შეთანხმებული და ძალიან მალე ამაზე უკვე ხმამაღლადაც ისაუბრებენ. ეს, ასე ვთქვათ, მოსახლეობის შემზადების და პიარკამპანინის დაწყების პროცესი იქნება. მე, პირადად, ეს პერიოდი ძალიან მომწონს... როდესაც იქმნება ახალი ლეგენდები, რომლებიც შემდგომ ქმნიან ახალ რეალობას... თუ არჩევანი ანჩაბაძეებზე შეჩერდა, ლეგენდაც იტყვის, რომ ისინი იყვნენ დავითის შთამომავლები... არა, ახლა ვხუმრობ, თუმცა ყველა დიდგვაროვანი შტო კარგად გვაქვს შესწავლილი და მერწმუნეთ, სრულებით არ გავიჭირდება ხალხის იმაში დარწმუნება, რომ სწორედ ეს გვარი უნდა იყოს სათავეში და არა რომელიმე სხვა... მოდი, კიდევ ერთ რამზე გაგიმხვლეთ, რადგან მართლა ძალიან მომწონს ხართ და ჩემი ეს სიმპათიაც დღეს არ გაჩენილა. ესეც წლების განმავლობაში დაკვირვებისა და შესწავლის შედეგია... — პლატონს დაკვირვება-შესწავლის ხსენებაზე ნერწყვი გადასცდა და ხველა აუტყდა.

— თქვენ რა, მე მართლა მაკვირდებოდათ და მსწავლობდით? — რალაცინარიად არ ესიამოვნა, როდესაც წარმოიდგინა, ვილაციები გამადიდებელი შუშით როგორ აკვირდებოდნენ და როგორ სწავლობდნენ. ჯაშუშებზე ნანახი კინოფილმებიც გაახსენდა და უფრო მეტად დაიძაბა. შემდეგ რატომღაც ფარული ჩანანერები მოაგონდა, რომელიც მის სამშობლოში ძალზე პოპულარული თემა იყო და გააფრთხილა. ნუთუ ყველაფერი ესოდენ სერიოზულად იყო? იმედია, სექსის დროს მაინც არ უთვალთვალდნენ და არ უღებდნენ, თორემ ლაღე შეირყოდა...

— დიახ! აბა, თქვენ რა გავიანია, რომ სამთავროს მმართველის კანდიდატს მართლა მარტო გვარიშვილობით ვირჩევთ? არა, ჩემო ბატონო, და სწორედ ამიტომაც განიხილება რამდენიმე საგვარეულო შტო და რამდენიმე კანდიდატი. დროის კონკრეტულ მონაკვეთში რომელი კანდიდატიც მეტად შესაფერისი და მეტად მზად აღმოჩნდება, არჩევანიც სწორედ მასზე შეჩერდება. სწორედ ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით გადაწყდება, სათავეში რომელი გვარი მოვა და... რა, არ გჯერათ? დასანანი... არადა, მეგონა, რომ საქმიანად დამაჯერებლად ვსაუბრობდი და სერიოზული ადამიანის იმიჯი მქონდა. მაშინ, მოდი, იცი, რაზე ვისაუბრობ? მაგალითად, თქვენს მიზანსწრაფულობასა და საქმისადმი თავდადებულობაზე... ერთგვარ მოხერხებულობასა და რთული სიტუაციებიდან თავის დაღწევის უნარზე. მართალია, ხშირად საკმაოდ ავანტიურისტულზეც კი, თუმცა შედეგის მომტანზე. დიახ, მოდი, აი, ის ამბავი გავიხსენოთ, საგვარეულო სანაწილე ჯგერცმის სამშობლოში დაბრუნება როგორ შეძლიდა. როგორ იმოგზაურეთ ესპანეთში და როგორ მოხერხებულად გააცურეთ ბატონი ხორხე. და თქვენს მეგობარს რა ერქვა? მაცადეთ, გავიხსენო... აი, იმას, ვინც ამ ყველაფრის განხორციელებაში დაგეხმარათ... ვახო... ვახო, ხომ? დიახ, მართლაც ძალიან შთაბეჭდილი ამბავი გადაგხდათ. თქვენც საოცარი ინტუიციისა და სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარი გამოამჟღავნეთ... და მერე ეს ყველაფერი როგორ ოსტატურად შეფუთეთ?! ხალხს და საზოგადოებას როგორ მიანოდეტ?! ბრავო... ახლაც მზად ვარ, ტაში დაგიკრათ. საკუთარი პატივმოყვარეობა დამიქრთ და დიდსულოვნება გამოიჩინეთ... — პლატონს ფერი წაუვიდა და თვალთ დაუხუნელდა. კარლმა ისეთი ამბავი გაიხსენა, რომელიც მის გარდა მხოლოდ, ალბათ, ორმა ან სამმა ადამიანმა იცოდა. ეს უკვე ნამეტანი იყო. მას თურმე მთელი ამ დროის მანძილზე მართლაც უთვალთვალდნენ

და მის შესახებაც საკმაოდ ბევრი რამ იცოდნენ. კარლი კი არ ჩერდებოდა და თითქოს მის ნოკდაუნში გაშვებას ცდილობდა, — ან კი მოდი, ის ამბავი გავიხსენოთ, როდესაც თქვენ სტამბოლში იმოგზაურეთ და თან რა მისიით?! უნდა დაგედგინათ კონკრეტული ტილოს, ეგრეთ წოდებული, „ნიკალას ბოჰემას“ ავთენტურობა და შემდეგ შეგეძინათ. სიმართლე გითხრათ, ყველას გვეგონა, რომ მარცხისთვის განწირული იყავით. მეტიც, დარწმუნებულები ვიყავით, რომ ეს საქმე ბოლოს მოგიღებდათ. ცუდად არ გამიგოთ, ჩვენ ბევრი რამ ვიცით, თუმცა „შემოქმედს“ არ ვთამაშობთ და ადამიანთა ცხოვრებაში საჭიროების გარეშე არასდროს ვერევი. ჩვენ უბრალოდ ვაკვირდებით და ვსწავლობთ. ჩვენ საუკეთესო ვარიანტს ვარჩევთ. და თქვენ კი ამ თქვენი თავგადასავლებითა და სირთულეების დაძლევის საუცხოო მანერით, ყინით, მართლაც თავი დაგავამახსოვრეთ. რა თქმა უნდა, ყველაფრის დეტალურად ცოდნა და ადამიანებზე ცოცხალ რეჟიმში დაკვირვება შეუძლებელია, თუმცა ანალიზისთვის ინფორმაციის შეგროვება მართლაც კარგად გამოგვალს. მოდი, ასე ვთქვათ, ჩვენ თქვენს რეალობას რამდენიმე კვირით ჩამოვრჩებით. ანუ რაც თქვენს თავს დღეს ხდება, ჩვენ ამ ყველაფერს რამდენიმე კვირაში თავს მოვუყვრით და გავანალიზებთ. სწორედ ამ დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ თქვენ საკმაოდ საინტერესო კანდიდატი ხართ და არ დაგიმალავთ, ჩვენთან უმზარველობა სწორედ თქვენი მხარდამჭერია. და თქვენ კიდევ მეკითხებით, რატომ ანჩაბაძეო? და მე კიდევ გასაუხობთ, რომ ამ ეტაპზე თქვენ საუკეთესო ვარიანტი ხართ...

— თუ შეიძლება, რამე სიტხე... სპირტიანი აჯობებს... — პლატონმა პირზე ხელი მოისვა, დამშრალი ენა მოისინჯა და გაუკვირდა, აქამდე გული როგორ არ წამივიდაო.

„ამ ვილაციებმა... ამ შობელძაღვლებმა... მე მგონი, ჩემზე მართლა ყველაფერი იციან... არა, ალბათ, ცოტას აბუქებს კიდევ, თუმცა... ვინ არის ეს ხალხი? რა უნდათ ჩემგან?“

— აი, ვისკი, ინებეთ. თუ არ ვცდები, თქვენ უპირატესობას მოტლანდიურს ანიჭებთ, ხომ?! გლენფიდიქი... — ვისკის ბრენდი კი არა, ახლა საკუთარი სახელიც აღარ ახსოვდა. კარლს ჭიკა გამოსტაცა და სულმოუთქმელად გამოცადა. მერე პირში ყინულები ჩაიყარა და ხრახუნს მოჰყვა. პირველმა ჭიქამ დიდი შვება ვერ მოჰგვარა. ნამოდგა, ნითელი ხის დესაუზე განთავსებულ ბართან მივიდა, მეორე ჭიქაც დაისხა და ისიც ეგრევე გადაჰკრა. სივარების შესანახ ყუთს სახურავი ახადა, ერთი ცალი ამოიღო და მინიატურული გილიოტინით ბოლო მოაჭრა. მოუკიდა, გააბოლა და თავიც უკეთ იგრძნო.

— ეს ყველაფერი რა საჭიროა? რატომ? რისთვის? რა შუაშია აქ მონარქია და სამთავრო? ეს ყველაფერი ვის რაში სჭირდება? ეს... ეს ხომ გაყინული კონფლიქტია და... — პლატონი აშკარად გამოცოცხლდა და ლოგიკური კითხვების დასმა დაიწყო. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ეს კაცი სახუმარო თემებზე არ საუბრობდა და კვასადა, საკითხში უკეთ გარკვეულიყო.

— აი, ეს უკვე მომწონს. სწორ შეკითხვებს სვამთ და არსებული საკითხისადმი თქვენი დამოკიდებულებაც რადიკალურად შეიცვალა. მე ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ერთმანეთს გაუფეხდით და თქვენ ამ პროექტში ჩართვით დაინტერესდებოდით. რა თქმა უნდა, ჯერ არც ჩვენი პოზიციაა საბოლოოდ შეჯერებული, მაგრამ... მოდი, მოვლენებს ნუ გაუფხვან. თქვენ ჩვენი საბჭოს წევრებთან შეხვედრა და გასაუბრება კიდევ არაერთხელ მოგიწევთ... — პლატონმა მოსაუბრე ხელის აქნევით შეაჩერა.

— მე ჯერ ხელი არაფერზე მომიწერია და არც თანხმობა მითქვამს. მე ვიკითხე, რატომ? — მცირე მიხვდა, რომ რალაც ძალიან დიდთან და გააზრებულთან ჰქონდა შეხება. მან კი ამ საქმისა თუ პროექტის შესახებ საერთოდ არაფერი იცოდა. მისგან რალაცას ითხოვდნენ და მიუხედავად კოჭლი კარლის ტკბილი საუბრისა, ამ რალაცას აუცილებლად თავისი ფასი, საზღაური, ექნებოდა, — ეს ყველაფერი რისთვის კეთდება? რა საჭიროა აფხაზეთში სამთავროს აღდგენა?

— ოოო... ეს დიდი ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი პატარა დეტალია... საქმე, იცით, ისაა, აი, მაგალითისთვის, მოდი, ავიღოთ მსოფლიო წესრიგი და მისი მოწყობა. ისტორიულ ჭრილში განვიხილოთ და გავანალიზოთ. ერთი თვალის შევლებითაც ნათელია, რომ სახელმწიფოთა მოწყობა და არსებული სისტემების ეფექტურობა ერთობ პირობითი საკითხებია. არც აქ არის სტატიკა. პირიქითაც, ყველაფერი ძალზე დინამიკურია და ცვლადი. იცვლება საზღვრები, სახელმწიფოები, სახელმწიფოები და ყველა ეპოქასაც რალაც სიახლე მოაქვს. დღევანდელ დღეს კი არსებული და მიღებული სისტემები მოწყობის მოდელები ცოტა მოძველდა... რესპუბლიკა, დემოკრატია, ავტორიტარიზმი, ფედერაცია... ეს ყველაფერი უკვე წარსულია და განვლილი. ახლა ახალი მოდელის ჯერი დგება. და სამთავროს აღდგენაც სწორედ ამ პროექტის ნაწილია. მოდი, თანმიმდევრულად მივყვეთ. აფხაზეთისა და საქართველოს ურთიერთობა ჩიხშია შესული. გაყინული კონფლიქტი მხარეებს ერთმანეთისგან უფრო და უფრო აშორებს. არც ამ პრობლემის მოგვარების გზები ჩანს და არც მხარეები მისწრაფიან რაიმე სახის დათმობისკენ. და როცა ორი სუბიექტი ვერ ახერხებს მორიგებას, მაშინ საქმეში მესამე ერთეული ბევრად უფრო ძლიერი და გამოცდილი მხარე. მე მარტო რუსეთს არ ვგულისხმობ... ამ პრობლემის მოგვარებით სხვა, მართლაც დიდი და ძველმოსილი სახელმწიფოებიც არიან დაინტერესებული. სამთავროს აღდგენა მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მოდი, ასე ვთქვათ, სამთავრო თავისი შინაარსით არც ცალკე მდგომარეობაშია და არც ბოლომდე სხვაზე დამოკიდებული. მიმიხვდით, ხომ? — მართალია, კარლი ძალიან გატაცებით და შეპყრობილიყო საუბრობდა, პლატონს შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ის რალაც ფრიად მნიშვნელოვან საკითხს გვერდს უვლიდა და ცდილობდა, მასზე ნაკლები ყურადღება გაემახვილებინა.

— აფხაზეთის ამ საქართველოს ეს რაში სჭირდება? — მცირე მოსაუბრის ბუნდოვანმა ფრაზებმა ძალიან გააღიზიანა და ხმას აუწია. ასეთ მტკივნეულ საკითხებზე მასაც კი, მუდამ უდარდელსა და მეოცნებეს, მშვიდად საუბარი არ შეეძლო, — მერე... მერე... საბოლოოდ შედეგი რა უნდა იყოს? რისთვის კეთდება ეს ყველაფერი?

— ოოო... ბევრი მსმენია კავკასიელების სიფიცხეზე, თუმცა ასე უეცრად და უმიზეზოდ აფეთქება თუ შეგეძლოთ, ნამდვილად ვერ წარმომედგინა. მართლაც რომ ძალიან ფიცხები და ემოციურები ყოფილხართ... — კარლი გამოცდილი ემოციონალიტი საუბრობდა და დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას საერთოდაც არ ჩქარობდა.

— ერთი ნუთით... მე მგონი, ერთმანეთს ვერ გავუგებთ. ან თქვენ მპასუხობთ, რისთვის ხდება ეს ყველაფერი და ან ჩვენი საუბარი აქ სრულდება... — მცირე ერთგვარი თავდაჯერებულობა იგრძნო და შეტევაზე გადავიდა.

— კონფედერაცია... უნდა შეიქმნას ქართულ-აფხაზური კონფედერაცია. და თუ ეს მოდელი წარმატებით იმუშავებს, შემდეგ, მომავალში, მთელი მსოფლიოც მსგავსად მოწყობა. დიახ, სამყაროს ახალი მოდელი იქნება კონფედერაცია, ანუ ხელშეკრულება... გიკვირთ? განა რამე ახალი ვთქვი? განა არ გსმენიათ სახელმწიფოთა კონფედერაციულ მოწყობაზე?! ეს თემაც უკვე საკმაოდ დიდი ხანია, განიხილება და ინერგება. აფხაზეთი შეიძენს სამთავროს სტატუსს და შემდეგ საქართველოსთან შევა კონფედერაციულ... — ამ დროს პლატონმა თავი ველარ შეიკავა და ფეხზე წამოიჭრა.

— კარლ, მისმინე, მე შეიძლება არც კონსტიტუციონალისტი ვარ და არც იურისტი, თუმცა ერთი კი ზუსტად ვიცი, რომ კონფედერაციული მოწყობა თავისთავად გულისხმობს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირს. შენი საუბრიდან კი გამოდის, რომ მაშინ საქართველომ აფხაზეთი ჯერ დამოუკიდებელ ერთეულად უნდა აღიაროს და შემდეგ მასთან სახელმწიფოებრივ შეთანხმებაში შევიდეს. ეს... ეს... — პლატონს მღელვარებისგან აზრები გაექცა და მათი მკაფიოდ ფორმირებაც ველარ შეძლო.



ნინი ელიაშვილი

რამდენი მეგობრის სახემ მოიყარა ჩემ გულზე
რამდენი მეგობრის სიკეთე ვიგრძენი ჩემ გულში
ის მტკივა ვინც უნდა გაეფუშა და ვისაც ვერ ვუშვებ
ის მტკივა ვინც უნდა წავიდეს და წასვლას ვერ ვუშლი
აფრინდნენ ყვავები და თითქოს სიკვდილი დაჩხავლეს
აფრინდნენ ყვავები და თითქოს სარკმელთან განათდა
ასეთი უდროო უმიზნო უხორცო ლაჩარი
გულწრფელი ღიმილით

წარვსდგები სულ მართალ ქალაქთან
რამდენი ბავშვი და რამდენი ნათელი გულია
რამდენი ჟირაფი რამდენი ზებრა და მარტორქა
რამდენჯერ დაბრუნდა წერილი ცრემლიან ავტორთან
აფრინდნენ ყვავები

სარკმლის წინ თითქოს წრეს უვლიან
აფრინდნენ ყვავები მართავენ სიკვდილის რიტუალს
არც რამე ნაღველი მზით სავსე ოთახში მარტო ვარ
ოღონდ ის არ ვიცი მართლა ვარ თუ ისევ ვითომ ვარ

შენ ფიქრობ ამ ტექსტს სინანულის ლოცვა ქვია და
ის კი არ იცი ვმლერი როგორ დამავიანდა
როგორ დავუშვი შეცდომები როგორ დავუშვი
ყველა ფარდა და ყველა ნიჭი ბედნიერების
რას მიხვდებოდი იმ ქარში და აურზაურში
რა მართალი და ცხელი იყო ჩემი ხელები
დილიდან ვმლერი საღამოდან შუალამიდან
ვმლერი რამდენი უსასრულო წამი გავიდა
შენში ჩაფლობის შენგან წასვლის შენთან დარჩენის
ვმლერი შენს ხელებს

შენს მხრებს ვმლერი თვალებს წამნამებს
ყველა არშველა სულ ერთბაშად გადამარჩინე
შური იძიე ყველა ცილი ერთად დამნამე
რაც მე დაგნამე რაც დაგნამე უკვე მე თვითონ
ჩიტებს ვუსმენ და გაბრუებულს მინდა როგორმე
სინანულის ლოცვა შევთითხნო

არც ისე რომანტიულ, არც ისე მარტოსულ
აჩრდილად დაგირჩი. აჩრდილად დამტოვე.
და რომ მომიყვანო თუნდ ათიათასი
მიზეზი რატომაც — მკიდა! მარტო ვარ.
და მთელი სეზონი მეყოფა სანერად,
სეზონი — წვიმების, წყლიანი მზებების.

ხან ვინმე თუ მოვა — ფარდის გადამწევი
ოთახში, რომელშიც კვლავ განისვენებენ
უშენო დღეები და შენი ნივთები,
ნივთები, რომლებსაც ვერაფერს ვუმაღავ,
თუ როგორ ვქრები და თუ როგორ ვინთები,
რა უნდა გაიგოს კეთილმა სტუმარმა.
კეთილი სტუმარი თავის გზას მოძებნის,
რადგან მე არა მაქვს არცერთი ადგილი.
ასე მხიარულად როგორ ვიხოცები,
ვინ უნდა გაიგოს. ბნელი ბუნაგით,
მისატოვებელი და კომფორტული ვარ.
ოთახი ცისფერი. ოთახი უშენო.
მისატოვებელი და კომფორტული ვარ.
თავს უნდა უშველო.

მერე ჩვენ რა ვქნათ თუ ყველა ეჭვი მართალი აღმოჩნდა
ეჭვებს რომლებსაც არასოდეს ვთვლიდით სიმართლედ
სად წავილეთ თავები
და რას ვახალოთ გულები
მერე რა ვქნათ თუ ვინც გვიყვარს

ველარავისზე ვიეჭვიანებთ
თუ ვისი იმედიც გვაქვს უტყუარები გამოდგებიან
სად ვახალოთ გულები
ჩვენ ვინც ვკვდებით სიყვარულით
და ვისრუტავთ ადამიანებს
ხელის გულებით ვეზომებით
და მათი ხაზებით ვეკვებებით ცხოვრებას
და მერე რა ვქნათ თუ ყველა ხაზი დაემთხვევა
თუ ყველა გული ტოლი იქნება
ჩვენ რა ვქნათ ზღვებმა
რა ვქნათ ქვიშებმა
მკვლელებმა და თვითმხილველებმა
მკვლელებმა და თვითმკვლელებმა
მერე ჩვენ რა ვქნათ თუ ყველა ეჭვი მართალი აღმოჩნდა
რომლებსაც ჩვენი მახინჯი გულებიდან ვინოვდით

ჩემი ლოცვა ლტოლვილთა სახლებს გასწვდა
და გაგრძელდა სამოთხე
ცეკვაო და არაფრის თქმას აზრი არა აქვს
ვერაგინ გაიგებს
ზოგჯერ როგორ შეიძლია იყო ღმერთი

ვილაცა მუდამ იქნება გარეთ.
თუნდაც მოხუცი ანდა შემლილი.
სულ რომ არავინ, ასეთ დროს მთვარე
ხომ მაინც გდია ცაზე, ლეშივით.
არაფერია, გაგივლის მალე
ყველა ბორგვა და წამოძახილი.
ხან ცას მიაპყრობ გაყინულ თვალებს,
ხანაც მინისკენ გრჩება დახრილი.
ვილაცა მუდამ იქნება გარეთ.
ვინმე მოვა და მაინც გიშველის.
ხან ტვირთისაგან გელლება მხარი,
ხან ლამის მკვდარი ბავშვი იშვილო.
არაფერია, გაგივლის მალე.
დრო მოვა, დროს და გზას გააგრძელებ.
და ვინმეს ნებით ან უფრო ძალით
იცხოვრებს შენი რალაც ნაწილი.

რამდენად ნაბიჭვარიც უნდა იყო,
არიან ბავშვები
და არის იმედი,
რომ მათ თუნდაც ერთხელ კიდეც ნახავ
და თავზე ხელს გადაგისვამენ,
მაგრამ აუღელვებლად განაგრძობ ნაბიჭვრობას.
რამდენად მკვდარიც უნდა იყო,
არის ადამიანი,
რომელმაც იცის, რომ ამ სიკვდილსაც თამაშობ,
მაგრამ აუღელვებლად განაგრძობ კვდომას.
რამდენად იყიდები?
რამდენად იყიდები?
საკმაო კომფორტი შეუძლიათ შემოგთავაზონ.
...მე უკვე ვხედავ შენს მაცდურ ღიმილს.
მზად ხარ, ერთ ძილზეც გაიყიდო.
„შორს გუმბათი ბეთანიის ტააძრის
და ცისფერი უბორკილო დღე.“

ნუ ამოხვალ ყვავილო
ნუ ამოხვალ გულო
საგულეში ჩადექი
ჩემო დაჩაგრულო
ნუ ამოხვალ ყვავილო
მინას მიეზარე
შენ ყოველთვის გარეთ ხარ
სულ სულ სულ სულ გარეთ
დაივინყე მშობელი
და ძვირფასი სატრფო
ხარ უბრალოდ ობოლი
ყველაფერი გართობს
მალე გამოგსრუტავენ
ბოლო ცრემლს და შვებას
უმზერ შენს აუტანელ
ყოფას როგორ შრება
ასე ნაწილ-ნაწილად
რა იციან სხვებმა
რა იციან სხვებმა რომ
მთავარია ერთი
ეჭვი არ შეგეპაროს
ეჭვი არ შეგეპაროს
ალარცერთი წვეთი
ყველაფერი გაივლის
შენც გაივლი მასთან
ერთად ვისაც სურდი
ვინც გინდოდა თვითონ
ოღონდ მშვიდად დახრილი
თვალებით და ფრთებით
ეჭვი არ შეგეპაროს
ეჭვი არ შეგეპაროს
მკვდარი გულიც თბება
და შენც ასე დაღლილი
შიგადაშიგ თბები
ვინმეს უნდა კითხო
ამინდები კარგი და
ამინდები ცუდი
თუ რამდენ ხანს გასტანს
რადგან ბოლო კადრიდან
კარგად გახსოვს ერთი და
კარგად გახსოვს ერთე
ღმერთი ასე ერთობა
ცინიკოსი ღმერთი

მე დავნერ შენზე შენ არ იქნები
ყველა გაიგებს შენ გარდა შენზე
რომ ვნერდი ჩემი მშრალი წიგნები
როცა გაიგებ ვერაფერს შეცვლის
მე დავნერ შენზე და გაგაბევრებ
და გაგიხშირებ გულში თუ ხელში
და ეს სიმშვიდე ამონაბერი
ვერაფერს ვერ შლის

დასანანია როგორ ყვავის წელსაც ბუნება
დასანანია რომ არაფრის წვერი არა ხარ
გაცხოვრა ლამის კომფორტულად თითქმის უენებლად
სიცოცხლის ერთი მინიმუმბაც არ გიკარნახა





სულ რამდენიმე სიყვარული თუ შემოდლია, იმასაც ვტირი და ხანდახან ისიც მაშინებს. ცაში გნახე და სამწუხაროდ დამრჩი ცაშივე. ჩვენ თურმე ზოგჯერ ღრუბლები ვართ — ქარები გვშლიან.

რამდენი დროა გასული, რომ აღარ მოსულხარ აღარც სიზმარში, აღარც სადმე, რითაც ვიმხნევებთ თავს. შენ მაშინაც იცინოდი, როცა ცივ ხელებს გითბობდი. მერეც, როცა შენი სასაფლაოდან ავხედე ცას და დაგინახე. შენი სიცილი გვიან ვიცანი. მთელი კვირა ვერ მოვიცილე. და ვიხსენებდი ექვსი წელი როგორ აორთქლდა. რამდენი დროა გასული, რომ აღარ მოსულხარ.

დაგირჩა ცოლი და სანოლი მტკვრის პირას და ხედავ — ღმერთების ციხე. სულ ტყუილად გიტყვი, მაშინ ვინც გიტყრა. შენ ახლა ღრუბლებში ზიხარ. და შენი თვალებით — კეთილი თვალებით დადლილი ღმერთივით გვიმზერ. ვიგრძენი, როდესაც ქარი ღრიალებდა. ვინეკი თეთრი კლდის ქიმზე.

სანამ ჩემი გულით გასაზრდოვებ და სანამ შენი არსებობით ვსაზრდობ სანამ ჩემი გულის თითოეულ ეკალზე შენს გამოდებას ვცდილობ სანამ ასეთი დაუცველი ხარ ჩემი გულისგან და ჩემი ხელებისგან რომელიც საცეცხბად იქცევიან როცა ახლოს ხარ და თუკი არ ხარ თვითმკვლელებად მინდა ავიხსნა რა შორია ღმერთი და რა შორია ცხოვრება ჩემგან როგორ გეძებდი წინა ცხოვრებაში და როგორ ვერ გიპოვე როგორ ველი შემდეგ ცხოვრებას და როგორ არ მინდა დავკარგო ერთი იმედიც რომელიც შეიძლება უკანასკნელი აღმოჩნდეს როგორ შეიძლება მოჩლუნგდეს სურვილები როგორ შეიძლება კუბოდ გექცეს სანოლი და გინდოდეს ძილი და ვერ იძინებდე გენატრებოდეს და ვერ პოულობდე გზებს ეძებდე და პოულობდე და მერე თვითონვე გკარგავდნენ გზები სანამ ჩემი გულით გასაზრდოვებ მანამდე მინდა იცოდე ვინ ვარ თორემ ვინ ვიყავი ეს რომ მოხდეს იმ ტკივილისთვის მეცოდები როდესაც შენი მხრები მახსენდება და შენი თვალები ჩემი ნისლიანი ვარსკვლავები



ოქროსულობად იმშვენებს დღე მისი ძარღვების ვერცხლს.

გინდა წინიდან, გვერდიდან გინდა, შემადრწუნებლად მკვეთრი, აუფერულეებს ყოველგვარ ფონს, ველარ ასახვად ვერც სიტყვიერებით, ფუნჯითაც ვერ.

ჰოდა, ასეთი ერთი, რომ არ ხეთქავდეს ფიქრს, ცნობიერებამ დაიყო ცხრად.

ფოთოლს, ჩაფარდნილს მის სათუთ უბეში, ქცევა სურს წინვად.

ჰაერს მინის შურს, გრილს, მისი ტერფების შემსმელის ცხლად.

ყოველ ცისმარე მისი ქვემოდან შემყურე მინა ჰაერს შენატრის.

და, როცა ნაპირზე ჯდება და მზერს ზღვაში ჩარგული მზის აალებული გემივით ნარჩენს, სრული ჩასვლისთვის დროს ჩვეულებრივზე მეტს ხარჯავს მზე.

რასაც გარშემო, ჩემ მეტი, ვერავინ ამჩნევს.

უკანვე გამიშვი, სისხლს თავი ახსენი, როდესაც, მასსავით მარტო და დენადი, კრწანისის ღამეში ხმლის უკანასკნელი მოქნევის ხმასავით მოვედი შენამდე.

მინა რომ მდევნიდა, მღრღინდა და მიღრენდა და ზღვების წყვიდადი სამკაპებს მიყრიდა, იმ ჭრილობებიდან მდიოდა ფიქრები ცაზე, და მდიოდი ყოველი ფიქრიდან.

ცრემლს, ოღონდ იღვაროს, მუდამდე იშოვი, სხვებს ნახავ, ისეთებს, ვინც შენით გაგიჟდა — ჩემს მოკლულ სიყვარულს რით გადაიშორებ, ხრამების სინესტედ კანში რომ გაგიჯდა.

ოვერლოუნი

ანგელოზების სასწრაფო თუ მოვა, — ასწრებს გაფიქრებას შეცივებული კურიერი, — აი სად დამენძრა, — მარცვლავს გონების ჯერ კიდევ ვარგის ნარჩენებში. მისი კუჭი კი ამ დროს ამაზონის წურბელასავით იწოვს გახეული პრეზერვატივიდან გადმოსულ ფენტანის. ის ცდილობს წამოდგეს, სინამდვილეში კი სავარძელს კიდევ უფრო მაგრად ეკვრება და, შიგ ჩაძირულს და უგონოს, დუჟი გადმოსდის.

ბერტრან რასელი, ამ სანახავს რომ მოსწრებოდა და მომხდარში წესიერად გარკვეულიყო, ეჭვქვეშ, ალბათ, აღარასდროს დააყენებდა რამეში რამის ყოფნის შესაძლებლობას.



ნიკა ჯორჯანელი

ნახევარიოდე საათის წინ სარკმლიდან ღრუბლებს დაჰყურებდა კუჭით ფენტანისის გადამზიდავი ბედნავსი კურიერი და, ახალ ვერცხლოვან პორშეზე მეოცნებებს, ნერწყვი ადგებოდა ყელზე; თავის დღეში ვერ გასწვდებოდა, არადა, რისკი ისევე ირეოდა მის საქმეში, როგორც ტბაში თევზი.

მატერიალურზე ფიქრისას ღრუბლებისკენ, როგორც წესი, არ იყურები. სულ რომ უკანასკნელი ადამიანი იყო. მაგრამ ფრენისას სხვა საქმეა — ძირს იხედები, გინდა არ გინდა, სადაც ღრუბლების ქვეშაგებია ხოლმე გაშლილი. მერე თან ისიც, რომ ჯერ მარტო ცარიელი პრეზერვატივების ყლაპვაც განა ხუმრობაა, და წამლით გაძეცილების — ხომ საერთოდ. ჰონორარი კი იმდენივეა, რამდენიც აფთიაქარის რეალური ხელფასი თუნდაც ისეთ დოვლათიან ქვეყნებში, როგორც ლუქსემბურგი

ან ჰონგკონგი. ან, შეიძლება, უფრო მცირედიც. შეფიქრებულს, ავინყდებოდა კიდევ მის კუჭში მდებარე ძნელსაცნაურად შეფუთული წამლის შესახებ, მხოლოდ ტურბულენცობისას ამოუტივტივებოდა ხოლმე, დაუსრულებლად ეფრინა მზად იყო, რადგან მინაზე არაფერი და არავინ ელოდა, აეროპორტის შორიახლოს გაჩერებული ტყვიისფერი ფურგონის გარდა შიგ მასზე ბევრად უარესი ორი ნაბიჭვრით, მზად იყო ამ თითქოს

მინის დედამინის ირგვლივ ეფრინა, სულ ნუ დაეშვებოდა თვითმფრინავი, ფრთაშეუხრელად ჯერ ისევ რომ მიფრინავს ახლაც, როდესაც ის, როგორც კაცის ხელიდან — ქალისაში, კომიდან სიკვდილში გადადის და ჰაერში სულის დაღევა მის ცხოვრებაში ავად თუ კარგად ერთადერთი ნათელი ნერტილის სახეს ღებულობს.

საშობაო

არც თოვა გარეთ, არც ლოლოს ლხობა. არც სხვა რაიმე ღმერთის კამეო. იმ პირველსახით ერთხელაც ხომ არ დამდგარიყავი, შობის ღამეო?

ღამე ძალიან ჩუმია დღესაც. თვალები ისევ მძიმედ მილულეს. არავინ ფხიზლობს, და უკვე მღვდლებსაც სძინავთ, სიზმრებზე გადახვეულებს.

გასაგებია ყველა იგავი. მაგრამ შობამდელ თოშში ვახველებთ. იქნებ ერთხელაც მოსულიყავი, სანამ ცეცხლით და სანამ მახვილით.



*
პირველად რომ მთავრი ნაწილი, ნახიროსი (უფრო სწორად, მამაჩემს გავყვი), 11-12 წლისა ვიქნებოდი, ლამის ოცნებად მქონდა გადაქცეული. მაშინ ასე გაუაზრებლად სხვანაირი წარმოდგენა მქონდა ამ ყველაფერზე.

ეს კი ასე ხდებოდა. სოფელი დაითქვამდა, რომ უკვე დრო იყო, პირუტყვი გაერიდებინათ საძოვრებისთვის, სათიბებისთვის. დაახლოებით დილის ხუთ საათზე მთელ სოფელში ატყდებოდა ერთი აურხაური, ადამიანების შეძახილი, საქონლის ბლავილი, ღორების ჭყვიტინი, ძაღლების ყეფა. ეს ყველაფერი ისე აზანზარებდა გარემოს, სანამ ყურს მივაჩვიე, ასე დამფრთხალი და დაბნეული ჩემს საქმეს ვერ ვაბამდი თავს ისედაც ნახევრად მიძინარე. ყველა მხრიდან მოდიოდა ეს ხმები და გროვებოდა სოფლის შუაში, გზაზე, რომელიც მთელ სივრცეზე შუაზე ყოფს სოფელს. ჩვენ, ახალგაზრდებს, წინ უნდა გაგვესწრო ყველასთვის, რომ სოფლის თავში, სადაც ნისკვილებიანი ვინრო ხევი და გზა სხვადასხვა მთისკენ მიდის, იქ დავლოდებოდით. იქ ვიყოფოდით, იქ ვუცვლიდით მიმართულებას ასე ერთმანეთში ახელილ, ასე ბრმად, ყველაფრის გამთელავად მომავალ ნახიროს. ძალიან ძნელი იყო. ძლივ-ძლივობით გამოვარჩევდით და მერე შევეფინებოდით სხვადასხვა მხარეს კედელივით აღმართულ ტყეებს. იმ მომენტში იქ მდგარს სწორედ ეს დღე გამახსენდა, შარშანდელი, როცა არ ვიყავი ამ პროცესის მონაწილე და აივნიდან ვაყოლებდი თავს. ვგრძნობდი, როგორ თანდათან იცლებოდა სოფელი ამ აუტანელი, მაგრამ სიცოცხლით სავსე ხმაურისგან და ივსებოდა თითქოს სასიამოვნო, მაგრამ უსიცოცხლო სიჩუმით და სიცარიელით.

ცოტას იწვიმებდა, მერე გადაიღებდა, ისევ განვიმდებოდა...

ყველა სხვადასხვა მხარეს გაუჩინარდა სქლად ჩამოწოლილ ნისლში, ხმებსაც რომ ახმოებდა. ათი-თხუთმეტი კომლის პირუტყვი უწყვეტ ზოლად დაიკლავდა გოლაის მხარის აღმართებზე. ასე ნისლში ავიარეთ ნახევარი გზა, „მოსასვენებელ ნიფლნარამდე“ დავაკებულ ადგილამდე, სადაც ვისვენებდით. გადაჭრელებული იყო ეს საუკუნოვანი ხეები დანით ამოტვიფრული სახელებით — ზოგი ახალი, ზოგი ძველი, ზოგი კიდევ იმდენად ძველი, ხის კანს შეხავსებულ-შეხორცებული, ძლივს შესამჩნევია „იავორ ქურასბედიანი. 1939.წ.“ როცა ტყე მორჩა, ალპური ზონის დასაწყისთან ისევ შევისვენეთ. ისევ სქელი ნისლი. ისევ მცირე ჟინჯღლი. ჯუჯა ხშირ არყებთან მშრალი ადგილი შევნიშნე, ნამოვჯექი, წერილ საძირებს მივეყრდენი და უცებ ძილა ნამიდი. მარტო დაღლილი კი არა, გალახულიც ვიყავი. ცოტა ხანში ვიღაც უხეშად მაჯანჯღლარებს და მალეძიქვს. ბიძაჩემია, გაღიზიანებული, უხასიათოდ ნამოვდექი, მაგრამ, ჰოი, საოცრება! ნისლი გაფანტულიყო და ჩემს თვალწინ ისეთი ხედები იშლებოდა... ეს იყო ბუნების ნამდვილი ზეიმი და სასწაული. უბრალოდ, მიახლოებითაც ვერ წარმომედგინა, ასეთ რამეს თუ შევეჯახებოდი. ჯერ მხოლოდ სველი ბალახის ეს პირველყოფილი სიხასხასე, ეს უცნაური ყვავილებით სავსე მთის ფერადი სათიბების რხევა, მერე უფრო იქით, ნაკადულებით და ჩანჩქერებით დასერილი, ალაგ კლდოვანი საძოვრები, ქედები, იალაღები. პატარა ხევ-ხუვებში ჩარჩენილი თოვლის ნაპირებზე ამოსული მალალი ყვითელი ყვავილები. ოდნავ ცივი ქარი და ის ცხოველი სურნელი ამ ყველაფრის... რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რამდენი კარგი რამე ჩაინახა თუ ჩაინთქა მესხიერების იმ მხარეს, სადაც მუდმივად ზნელა და ზოგჯერ საგანგაშო ნათურასავით თუ აკიმციმდება რომელიმე შორეული მოგონება და ასე მომანდომებს იქ, იმ შორეულში, იმ გარდასულში, იმ მოუხელთებელში რამის მოხელთებას.

*
ასეა იგი გაღიზიანებული არაერთხელ ვყოფილვარ — ზოგჯერ უმიზეზოდ, ზოგჯერ სამართლიანად. ხან სამუშაოდან გბრუნდები ხოლმე წერებში მყოფი. თუნდაც დღეს — მოვიდა უფროსი და მითხრა,

ქვევით გარაჟებში (სადაც სიბნელე და სიმყარეა) ჩავსულიყავი. საჩქარო იყო, მაგრამ მე იმან გამაღიზიანა, რომ იმ მხარეს ესპანელები მუშაობდნენ, მათ უნდა გაეკეთებინათ. ობიექტის იმ ბლოკში, სადაც მე ვმუშაობდი, კაი ხნის წინ გავაკეთე გარაჟის ტყრები. ვითომ მიზეზი ის იყო, რომ ეჩქარებოდათ. სინამდვილეში მათ არ უნდოდათ ისეთ პირობებში მუშაობა და მე აქ არ ვიყავი?! უარი ვუთხარი, ავუხსენი მიზეზი. სინამდვილეში ეს მან ჩემზე უკეთ იცოდა. დაჟინებით მომთხოვა. ისევ უარი მიიღო. მაშინ, კარგი და გაბრაზებულმა დამტოვა. მივხდი მის ჩანაფიქრს, სამუშაოდან ვერ დამითხოვდა, მას უფრო ვჭირდებოდი, ვიდრე მე ის, მაგრამ გამანვალბდა. ბევრ რამეში შეუძლია გიმუხთლოს „ობრის“ უფროსმა, ისედაც კაი გარეწარი იყო. დავბრუნდი სამუშაოდან „შინ“ — უფრო სწორად, ეკვადორელები-



სგან ნაქირავებ ოთახში. სახლში, სადაც შეიდი სული ცხოვრობდით. ყველა უცხო იყო ჩემთვის, ყველანი ლათინოამერიკელი ემიგრანტები იყვნენ. ოთახის გარდა ყველაფერი საერთო იყო. მივედი დაღლილი, წერვებმოშლილი, მივადექი აბანოს კარს, დაკავებულია. ვიფიქრე, დრო რომ არ დავკარგო, საჭმელს მაინც მოვიმზადებო. გავიხედე სამზარეულოსკენ, იქ ორნი ფუსფუსობენ, ხმამაღალი სულე-იციური მუსიკის ფონზე მზარეულობენ. ერთი შეუუკურთხე და შევედი ჩემს პატარა, ნახევრადბნელ ოთახში. იქვე ლოგინზე მოვეგდე, მივაშტერდი პატარა პლაზმურის ეკრანზე არეკლილ საკუთარ ბნელ ანარეკლს — „რა ოხრად გინდა ასეთი ფული? უკვე ათწლეულებია, არაფერი იცვლება შენთვის...“ იქვე პატარა პრილაყდინი თხელი წიგნები მეღაგა ტუმბოზე. რა ხანია, არ გადამიშლია, მხოლოდ მტვერს ვაცლი. მაინც ინსტიქტურად დავწვი, შალამოვი მომხვდა ხელში, უხასიათოდ შევუდექი კითხვას, განა პირველად, ან მეორედ... ალბათ მეოცედ ვკითხვოლობდი, მაგრამ ამჯერად სულ სხვანაირად „ნავიდა“. უცნაური რაღაც მოხდა, დღემდე რომ ვერ გამიხარებია, რა იყო. თითქმის დაზვიერებულ იმ სიტყვებს, იმ წინადადებებს თითქოს პირველად ვკითხვოლობდი და ვგრძნობდი, როგორ შემეშებოდა გულზე, რა აბსურდული და უმნიშვნელო იყო ის, რაც ასე მანვებოდა გულზე, რა სასაცილო იმ სინამდვილესთან შედარებით, რაც მანდ ეწერა. შემრცხვა კიდევ, იმდენად შემრცხვა, თავის დამშვიდება დავიწყე — „დღეს სხვა დროა“, არაფერიც...

*
ასეა იგი მოულოდნელ და უცნაურ შეკითხვას ორიოდ სიტყვით უნდა უპასუხო — „ღმერთმა უწყის“.

და მაინც...
— გახსოვთ, როგორ დაიბადა პოეტი თქვენში?

— თავიდანვე ვგრძნობდი, რომ რაღაც უცნაური ხდებოდა ჩემში, თუმცა ბავშვობაში ამის გააზრება მიჭირდა. შემდეგ რაღაც ჩემთვის გაუგებარი დამოკიდებულება ჩამომიყალიბდა ბუნებასთან, სამყაროსთან, ადამიანებთან მიმართებაში. რაც უცნაურ ჩვევებში გადაიზარდა. მხოლოდ ეს თუ განმასხვავებდა თანატოლებისგან. თანდათან ვუცხოვდებოდი ყველასთვის. რაღაც გაშტერებები დამჩემდა. მინდოდა, ყველაფერი ჩემში შემეწოვა. დროსა და სივრცეში ყველაფრის სამუდამოდ აღბეჭდვა მსურდა, მაგრამ ვერ

ქალებს მეც არაერთხელ შევსწრებდვარ მალაზიებში ქურდობისას. სულ-სსეთები მასხენდება რამდენ ბოშასაც მოვკრავ თვალს ქუჩაში. ერთხელ, სამუშაოდან წამოსული, ორმოცდათერთმეტ ნომერ ავტობუსს ველოდებოდი გაჩერებასთან, სანამ მივიდოდი, მანამდე შევნიშნე, ერთი ბოშა ბიჭი როგორ დადიოდა გაჩერებაზე და რაღაცას თხოვდა იქ მყოფთ. როგორც კი მივუახლოვდი, მაშინვე გამოემართა ჩემსკენ. სანამ რამეს მეტყოდა, ეგრევე უხეშად მოვიშორე. ჩამოვდგა ავტობუსი, ავედი, წინ ორსული ქალი მიდიოდა — უკან რამდენიმე ხანში შესული მგზავრი. უცებ იმ ბიჭმა თავი შემოქოდა ამ ფეხმძიმე ქალს გამოსძახა: „კარგი, ნადი შენ, რეკალდეს საავადმყოფოსთან დამელოდე, მე იქნებ ვნახო ვინმე, ავტობუსში თავისი ბარათით რომ გამატარებს“. სირცხვილისგან და უხერხულობისგან მუხლები ამიკანკალდა. დაბნეულმა ლამის გადავთელი ჩემს უკან მომავალი მგზავრები. „ამოდი, ამოდი, გაგატარებ“ — ისეთი ხმით ვუთხარი, თავად დავფრთხი. ყველამ მე შემომხედა. ამოვიდა, გაგატარე ჩემი ბარათი. მაღლობა გადამიხადეს, უფრო ქალმა, კაცს ვერაფერი შევატყვე კმაყოფილების. მერე საუბარი გამიბა, ალბათ რუმინელი ხარო, მაგრამ ეს ყველაფერი, უარიც და შემდეგ „პატივისცემა“ ისე სულელურად გამომივიდა, დავშორდი და სადღაც ხალხის სიღრმეში მივიმალე.

მას მერე არაერთხელ მომიკრავს თვალი რეკალეში, ეტყობა, მანდ ცხოვრობდა. ერთხელ „ლიდლის“ უზარმაზარ სუპერმარკეტში გადავეყარე, მაშინვე მიცნო, შენ ის არა ხარო, მაგარი კაცი ხარო. მეც მოვიკითხე. მალაზიაში გავიარ-გამოვიარე, მერე ისევ გადავეყარე, ლუდის ორი დიდი ბოთლი ამოეჩარა ილღივებში, ხელშიც რაღაც ეკავა. მომიახლოვდა — „იცი რა, მეგობარო, ამ ორი ბოთლი „სან-მიგელისთვის“ ფული არ მყოფნის და იქნებ დამიმატო“. — მაგრა მომეშალა ნერვები, თავი ძლივს შევიკავე, მაგრამ მაინც ჩუმად, ცივად, თითქმის კბილების კრაჭუნით მივახალა: „შე იმისთვის, მერე ეს ყველაზე ძვირია ლუდი რომ აგირჩევია, „აურუმი“ აგელო. მეორედ რომ შემხვდები, ისე გაიარე, თითქოს თვალთ არასდროს გინახივარ“.

მოკლედ, თავიდან ვიწყებ თხრობას — „ვერაფერი გავუგე აქაურ ბოშებს, ძალიან მურტალი ხალხია...“ და წერტილი.

*
მერამდინედ ვხედავ ამ სიზმარს, ისიც, ერთ სიზმარში, ერთი და იგივე კადრი მეორდება უსასრულოდ. ვიძახები, ძილში კბილებს ვაკრაჭუნებ, ყბები მეღვება. არადა, რა უბრალოა, დედის ხელებს ვხედავ ლამპის მოციმციმე შუქზე, რაღაცნაირად ნათელ ხელებს, ასე გრაციოზულად და სწრაფად რომ მოძრაობენ და სულ რაღაც მილიმეტრებში სცდებიან საჩქარელების მახათივით წვეტიან ლითონის კბილებს. ის კი დაბლა არც იხედება, ჩვენ გვიყურებს და რაღაც ძველებურ ამბებს გვიყვება. მე არაფერი მესმის, ხელებს მივშტერებდვარ. ღამეა, სადღაც ალბათ ჭოტიც კივის, მაგრამ თოვლით ამოგმანულ ფანჯრებში ვერ აღწევს მისი ხმა.

*
თხილის ნორჩი ფოთოლი თუ გაგისრესიათ თითებში? თუ დაგიყნოსავთ? რაღაცნაირი სურნელი აქვს, თავბრუდამხვევი, ცოტა მძაფრი, მოტკბოც, ინტიმურიც. ჰოდა, დღეს ჩამიარა ერთმა ქალმა და სწორედ ეს სურნელი დატოვა და უცებ დატრიალდა დილაუთენია ნახევრად მიძინარე გონებაში ყველაფერი, რაღაც დიდი კამკაშა გაეღვებასავით იყო. არადა, ვიყავი ჩემთვის, სადღაც მიკუჭული, მთელი არსებით მიძინებული, ბილბაოს რომელიღაც გარეუბნის მიყრუებულ სკვერში.

*
ძალიან მიყვარს ფიქრი, ბევრი ფიქრი, ურთულესი ფიქრების ლაბირინთში ბორიალი. ხშირად ისე მეღვება გონება, მარტო რომ ვრჩები, გარშემო კი სრული სიჩუმეა, თავი ქვესადგურის ტრანსფორმატორივით ზუზუნებს (გადაჭარბების გარეშე), მაგრამ რად გინდა, წერა მეზარება საშინ-

ქალებს მეც არაერთხელ შევსწრებდვარ მალაზიებში ქურდობისას. სულ-სსეთები მასხენდება რამდენ ბოშასაც მოვკრავ თვალს ქუჩაში. ერთხელ, სამუშაოდან წამოსული, ორმოცდათერთმეტ ნომერ ავტობუსს ველოდებოდი გაჩერებასთან, სანამ მივიდოდი, მანამდე შევნიშნე, ერთი ბოშა ბიჭი როგორ დადიოდა გაჩერებაზე და რაღაცას თხოვდა იქ მყოფთ. როგორც კი მივუახლოვდი, მაშინვე გამოემართა ჩემსკენ. სანამ რამეს მეტყოდა, ეგრევე უხეშად მოვიშორე. ჩამოვდგა ავტობუსი, ავედი, წინ ორსული ქალი მიდიოდა — უკან რამდენიმე ხანში შესული მგზავრი. უცებ იმ ბიჭმა თავი შემოქოდა ამ ფეხმძიმე ქალს გამოსძახა: „კარგი, ნადი შენ, რეკალდეს საავადმყოფოსთან დამელოდე, მე იქნებ ვნახო ვინმე, ავტობუსში თავისი ბარათით რომ გამატარებს“. სირცხვილისგან და უხერხულობისგან მუხლები ამიკანკალდა. დაბნეულმა ლამის გადავთელი ჩემს უკან მომავალი მგზავრები. „ამოდი, ამოდი, გაგატარებ“ — ისეთი ხმით ვუთხარი, თავად დავფრთხი. ყველამ მე შემომხედა. ამოვიდა, გაგატარე ჩემი ბარათი. მაღლობა გადამიხადეს, უფრო ქალმა, კაცს ვერაფერი შევატყვე კმაყოფილების. მერე საუბარი გამიბა, ალბათ რუმინელი ხარო, მაგრამ ეს ყველაფერი, უარიც და შემდეგ „პატივისცემა“ ისე სულელურად გამომივიდა, დავშორდი და სადღაც ხალხის სიღრმეში მივიმალე.

მას მერე არაერთხელ მომიკრავს თვალი რეკალეში, ეტყობა, მანდ ცხოვრობდა. ერთხელ „ლიდლის“ უზარმაზარ სუპერმარკეტში გადავეყარე, მაშინვე მიცნო, შენ ის არა ხარო, მაგარი კაცი ხარო. მეც მოვიკითხე. მალაზიაში გავიარ-გამოვიარე, მერე ისევ გადავეყარე, ლუდის ორი დიდი ბოთლი ამოეჩარა ილღივებში, ხელშიც რაღაც ეკავა. მომიახლოვდა — „იცი რა, მეგობარო, ამ ორი ბოთლი „სან-მიგელისთვის“ ფული არ მყოფნის და იქნებ დამიმატო“. — მაგრა მომეშალა ნერვები, თავი ძლივს შევიკავე, მაგრამ მაინც ჩუმად, ცივად, თითქმის კბილების კრაჭუნით მივახალა: „შე იმისთვის, მერე ეს ყველაზე ძვირია ლუდი რომ აგირჩევია, „აურუმი“ აგელო. მეორედ რომ შემხვდები, ისე გაიარე, თითქოს თვალთ არასდროს გინახივარ“.

მოკლედ, თავიდან ვიწყებ თხრობას — „ვერაფერი გავუგე აქაურ ბოშებს, ძალიან მურტალი ხალხია...“ და წერტილი.

*
მერამდინედ ვხედავ ამ სიზმარს, ისიც, ერთ სიზმარში, ერთი და იგივე კადრი მეორდება უსასრულოდ. ვიძახები, ძილში კბილებს ვაკრაჭუნებ, ყბები მეღვება. არადა, რა უბრალოა, დედის ხელებს ვხედავ ლამპის მოციმციმე შუქზე, რაღაცნაირად ნათელ ხელებს, ასე გრაციოზულად და სწრაფად რომ მოძრაობენ და სულ რაღაც მილიმეტრებში სცდებიან საჩქარელების მახათივით წვეტიან ლითონის კბილებს. ის კი დაბლა არც იხედება, ჩვენ გვიყურებს და რაღაც ძველებურ ამბებს გვიყვება. მე არაფერი მესმის, ხელებს მივშტერებდვარ. ღამეა, სადღაც ალბათ ჭოტიც კივის, მაგრამ თოვლით ამოგმანულ ფანჯრებში ვერ აღწევს მისი ხმა.

*
თხილის ნორჩი ფოთოლი თუ გაგისრესიათ თითებში? თუ დაგიყნოსავთ? რაღაცნაირი სურნელი აქვს, თავბრუდამხვევი, ცოტა მძაფრი, მოტკბოც, ინტიმურიც. ჰოდა, დღეს ჩამიარა ერთმა ქალმა და სწორედ ეს სურნელი დატოვა და უცებ დატრიალდა დილაუთენია ნახევრად მიძინარე გონებაში ყველაფერი, რაღაც დიდი კამკაშა გაეღვებასავით იყო. არადა, ვიყავი ჩემთვის, სადღაც მიკუჭული, მთელი არსებით მიძინებული, ბილბაოს რომელიღაც გარეუბნის მიყრუებულ სკვერში.

*
ძალიან მიყვარს ფიქრი, ბევრი ფიქრი, ურთულესი ფიქრების ლაბირინთში ბორიალი. ხშირად ისე მეღვება გონება, მარტო რომ ვრჩები, გარშემო კი სრული სიჩუმეა, თავი ქვესადგურის ტრანსფორმატორივით ზუზუნებს (გადაჭარბების გარეშე), მაგრამ რად გინდა, წერა მეზარება საშინ-



ლად, სულ მეზარებოდა. ხან წერის თავი არ მაქვს. და ეს ალბათ ძალიან მაშორებს ნამდვილ მწერლობას. და ერთი იმათ თავებში ჩამახედა, ვისაც პირიქით სჭირს.

*

აღრე სად იყო ამდენი არჩევანის საშუალება, იმ აუტანელ ზამთრებში ჩავიკეტებოდი და რაც კი ხელში მომხვდებოდა, ყველაფერს ვკითხულობდი, ათასი სისულელით ვიტენიდი თავს. ახლა კი ამდენი კარგი წიგნი მიდევს და ვერ ვკითხულობ (და მაინც, იმ დროში ნაკითხული წიგნებიდან, მიწურინის ტომები გამომადგა ყველაზე მეტად; მამაჩემის კოლექციიდან).

*

ტალეპინიზი მინც თავისას შეება. ვუსმენ ამ პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, მწერლებს, მსახიობებს, ამათ, იმათ... და მგონია, ჰაერსაც ყალბს ვსუნთქავ.

*

სულ ცალ ფეხზე კი მკიდია, მაგრამ მერამდენედ წავანყდი, სადაც საკუთარ თავზე დიდი ნარმოდგენის მქონე ავტორები ერთობ აღმფრთხილები წერენ, რომ თურმე მათ სტრიქონებს უნამუსოდ იპარავენ. გაოცდები კაცი. მარგალიტის მოპარვა კიდევ მესმის, მაგრამ თხის კურკლის, კაცოო?!

*

ესაქ რა თავბრუდამხვევია, ასე სასწაულებრივად შემორჩენილ, ჩემს ბავშვობისდროინდელ სათამაშოს რომ მოვკრავ თვალს დედაჩემის მიერ განყოფილ ნაძვის ხეზე. რამდენ შორეულ მოგონებას წამოშლის გონებაში, იმდენად თბილს და სათუთს, ფურცლებზე ჩანიშნისაც გეშინია, რომ არ გაუხეშდეს და გაუფასურდეს. ამიტომ არ ავყვები ხოლმე ამ ცდუნებას.

*

ჩემს თანატოლებთან შედარებით ფიზიკურად დიდი და ღონიერი ბავშვი ვიყავი, მაგრამ რაც უფრო ვგრძნობდი ამას, მით უფრო ვერ ვიტანდი ძალადობას, სულ ვერიდებოდი ვინმესთან ჩხუბს. ბევრს ვითმენდი, ამის გამო ზოგს მშიშარა ვეგონე, მაგრამ ისინი ღამით სახლიდან ეზოში ვერ გადიოდნენ მოსაშარდად, მე კი ღამეები ვრჩებოდი მარტო მთაში, მეჯოგეთა ქოხში.

*

ფინსპუშვი ვილაც უცხო მთხოვს სამეგობროში დამატებას — ვიფიქრებ,

უკვე ცნობილი მწერალი ვარ, იქნებ იმიტომ მიმეგობრდება, ლიტერატურა აინტერესებს, რამე, რაღაც... ვიმატებ და ცოტა ხანში ლინკს მიგზავნის: „გამარჯობა! თუ პოეზია გაინტერესებთ, შედით ამ ლინკზე და შეაფასეთ ჩემი ლექსები“. ამ ბოლო დროს სწორედ ის მალიზიანებს, რომ მსგავს რამეებზე საერთოდ არ მაქვს რეაქცია.

*

ბიძა კი არა, ძმაკაცი იყო, ყველაზე ნამდვილი, ალალი და გამგები ძმაკაცი. მთელს სანათესაოში რომ ყველაზე ზუსტად ესმოდა ჩემი. შევხვდებოდი ერთმანეთს სათიბში დილაუთენია, ვთიბავდით უბრადად, მხარდამხარ. მზე დაგვაჭერდა, ჩამოვსხვდებოდი ჩრდილში. გარეული თხილის ბუჩქებს შორის გავშლიდით სუფრას, ცოტას გადავკრავდით და ლაპარაკის საღერდელი აგვეშვებოდა ამ სიტყვაძუნ კაცებს. ძირითადად იმათზე ვსაუბრობდით, ვინც ჩვენამდე აქ ირჯებოდა, შრომობდა და უკვე სამუდამოდ დასვენებდა. იმ ნამდვილ ადამიანთაგანი იყო, ვისაც ყოველთვის პოეზიის ხასიათზე მოვყავდი:

„...ჯერ წყალს გამოივლებ, თივის მტვერს გამოირეცხავ პირიდან, შემდეგ პურის ბზარში შეპარულ ჭიანჭველებს გადმოფერთხავ, ბურის ფოთლოში გახეულ ყველს დაწვდები და...“

აქედან რომ ჩავდიოდი, სულ გავუვლიდი ხოლმე, ლუდს წავუღებდი, თვითონ ჩემთვის გადანახულ საუკეთესო ღვინოს გამოიტანდა.

წელს ვერ ვნახე, გულმოსული ყოფილა, დედაჩემმაც მისაყვედურა: „ხომ იცი, როგორ უყვარხარო“.

ახლა გავიგე, რომ გარდაცვლილა, ძალიან დამწყდა გული, ძალიან.

*

ზომჯარი გინდა, ჩაერთო პოლემიკაში, სადაც ლექსში მუსიკა და ხმაური ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისგან, მაგრამ უცებ ხვდები, რომ შენს გარდა მანდ ყველა ელიოტია და სევდიანად ახედავ გიფსო-კარდონის გასაშპაკლ ჭერს.

*

მცირემინიანები სიმინდს, ლობიოს, კვახს, კარტოფილს ერთად ვთესავთ. ჰოდა, როცა იზრდებიან, ისე იხლართებიან ერთმანეთში, შემოდგომაზე ღორიც ვერ შეყოფს თავს. ორ ღერ სიმინდს რომ მოჭრი და მოქაჩავ, მთელი ყანა მოყვება. ვაი-ვაგლახით შეძვრები, გეხახუნება სიმინდის გამხმარი, მჭრელი ფოთლები ოფლიან სახეზე, კისერზე, მკლავებზე... მერე რომ დღეები გეწვის, საშინლად უსიამოვნო გრძნობაა და ძალიან სასიამოვნო, როცა

ამ ყველაფერს ახლა იხსენებ, ამ მარტოობაში, ამ უცხოობაში, ეკვადორელებისგან ნაქირავებ პატარა, ნახევრადჩაბნელებულ ოთახში.

*

ასაქო რამეც ჩამინიშნავს რვეულში, არა მგონია, მარტო დაღლილობის ბრალი იყოს: „განა არაფერი არ მოდის თავში?! მოდის, ვგრძნობ, ძალიან კარგი რამეებიც მოდის. მოვალ სახლში დაღლილი, დავადებ ზურჩანთას, მიფუჯდები მაგიდას, ავიღებ კალამს და რვეულს, დავყურებ და ვხვდები, ძაან სისულელეა ეს ყველაფერი. ვსვამ სამ ჭიქა J&B-ს და ვიძინებ.“

*

ეს სახალისო პოსტად დავდე ფეისბუქზე, თუმცა, შემდეგ რომ გადავანყდი, დავსევდიანდი, მაინც რა უცნაური სიტუაცია იქმნება ამ ძალიან უბრალო ამბიდან, როცა ასეთი სახელები ასეთ სიტუაციაში ასე ერწყმის ერთმანეთს. სამუშაო ობიექტზე, სადაც პაკისტანელები, მაროკოელები, ჩინელები, ესპანელები და ქართველები ვმუშაობთ, უფროსს ვთხოვე იმ ადგილის დალაგება, სადაც ვმუშაობდი: „მოიცა, ვეტყვი ხესუს (იესოს) ან მუჰამედს და გაზიდავენ ნავაგს!..“ თქვა და ბოლოს დაამატა — „შენ დამშვიდდი, იოსებ.“

*

პლატონი არ ვიცი, მაგრამ, მგონი, მართლა არ არის პოეტების ადგილი ამქვეყნად. ამ მიგდებულ ზღვისპირა დასახლებაში ერთი ყრუ ქუჩის ბოლოში ვცხოვრობ. აქვე ერთი ტყიანი ადგილია, სადაც კაციშვილის ჭაჭანება არ არის. ავედი, ქვაზე ჩამოვჯექი, სიგარეტს მოვუკიდე. ცოტა ხანში ჩემს უკან ვილაცამ ჩახველა. მოვბრუნდი, ორი პოლიციელი მადგას თავზე.

— აქ რას აკეთებ? — მეკითხება ერთი. დავიბენი, ნამოვდექი.

— რა ვიცი, ვენევი, ვფიქრობ... — თან ხელი წავიღე ჯიბისკენ, საბუთებისკენ.

— არ არის საჭირო, დაჯექი, იფიქრე, — მეუბნება ერთი ძლივშეამჩნევი ღიმილით და მიდიან.

აწი რალას ვიფიქრებ, შე კაი დედამამიშვილო, ჩემი კი დამემართა — სიგარეტიც ინსტიქტურად მოვისროლე, ერთი შევუკურთხე და მეც წავედი.

*

სვანურ-მებრუნ ენებზე ატეხილ აჟიოტაჟზე ბევრის დაწერა შემიძლია, მაგრამ მეზარება. მოკლედ ვიტყვი, სხვისი არ ვიცი და მე უდიდეს სიხარულს მგვრის, როცა ტელეფონში ჩემი ექვსი წლის ქალ-

იშვილის ხმოვანი წერილი მხვდება. „მამა ვარდ ხარი, მამი“ (როგორ ხარ, მამა).

*

რახან კოლოებმა თავისი გაიტანეს და ლოგინში ნოლასაც აზრი აღარ ჰქონდა, ავდექი და შუალამისას ეზოში ჩამოვჯექი. ვარსკვლავებით გაძედილი ცა, ჭრიჭინების გაუთავებელი ჭრიჭინი, სადღაც, ძალიან შორიდან წამოსული ძაღლების მოგუდული ყეფა, ხმები, ასე უცვლელად რომ ჩამესმის გაჩენის დღიდან. ისე, რალაცნაირად, განსაკუთრებულად საოცარი მომეჩვენა სიცოცხლე. მაშინ მივხვდი, რომ მაქსიმუმ ერთი ამდენი (ერთი ამდენიც საეჭვოა) და მორჩა, ყველაფერი დასრულდება, ფინიტო! არადა გუშინდელივით მახსოვს, როგორ ვწვავდით რიყეში ცივ წყალში ნაღვალუნები, დამშეული ბავშვები ტარობს; რა ხარბად ვჭამდით. შემდეგ დესერტად მოპარულ კიტრებს ვაყოლებდით. ჰო, მაქსიმუმ ერთი ამდენი დამორჩა, ფინიტო! თუმცა, რალაც ფორმით მაინც მგონია, რომ ოდესმე ისევ განვმეორდებით.

*

იშვიათად მამახსოვრდება, სად რა დავწერე. წლების წინ ტოლედოში შევხვდი შობას, შობის ღამე მარტომ გავატარე იაფფასიან ძველ სასტუმროში, პატარა ტელევიზორს მიმჭერებულმა. მეორე დღეს გადავწყვიტე, მოზიემ ხალხში გავრეულიყავი. სალამოხანს გავედი, მაგრამ რად გინდა, რამდენ ბარშიც შევიარე, ყველა ყველას იცნობდა, ზედმეტად ვგრძნობდი თავს. ასე რომ, ყველგან მარტო აღმოვჩნდი. ქუჩაში გამოვედი, საშინლად ყინავდა, განათებულ სანაპიროს გაუფყევი, უცებ ქალაქის გასასვლელში თვალს მოვკარი დიდ აბრას, სადაც ისრებით მიმართულებებია მითითებული. ერთი შედარებით წვრილი ისრის ქვეშ ეწერა „ტობოსო 123 კმ.“ არ ვიცი, რატომღაც ისე მომინდა იქ წასვლა, ღამის ფეხით დავადექი გზას, ნომერში დაბრუნებულმა ბლოკნოტში ეს ჩავწერე:

თოვლსა და ტალახს ერთმანეთში
კარგად მოზეილის
მოყინავს სუსხი, ძველ სახლს უკან
რომ დგას ბოსელი,
ღრმა სიბერისგან მოგუდულად
ყეფდა ქოფაკი,
ვილაც გვიან მე ზავრს კარს უღებდა
ბრმა ტობოსელი.

*

არანაირ სიტყვის სადარაჯოზე მე არ ვდგავარ, უბრალო მალიარი ვარ, რომელსაც რალაც დამემართა და პოეტით თუ მწერალივით დავიწყე ფიქრი და აზროვნება და მაინც იმხელა პასუხისმგებლობას ვგრძნობ, სადმე რომ ტექსტებს ვაგზავნი დასაბეჭდად, ერთი კვირა მოსვენებას ვკარგავ, ღირდა?.. არ ღირდა?.. და ნეტავ ასეთ დღეში არის ეს ამდენი (რატომღაც) გაყოყნიებული ავტორი, ფრონტის წინა ხაზზე რომ ჰგონიან თავი? „რალაც არ მგონია.“

*

ჩამი პატარა სოფელი ასეთი სახელწოდების პატარა თემებად არის დაყოფილი:

- ჭუჭმურ.
 - მოგელშურ.
 - ჯაშურ.
 - ბამბლოდშურ.
 - დეველეთურ.
 - ხვახინოლშურ.
 - დაჭკელაშურ.
 - ესაშურ.
 - და ასე შემდეგ.
- ყველა ეს სახელწოდება მათივე წინაპრის სახელიდან მომდინარეობს:
- ჭუჭა.
 - მოგე.
 - ჯაშარ.
 - ბამბლოდ.
 - დეველეთ.
 - ხვახვი.
 - დაჭკი (ალბათ).
 - ესავე.

იმის თქმა მინდა, რომ ამ სახელებს რა ხანია, არავინ არქმევს შთამომავალს, მე ძალიანაც კარგად შევირგებდი „ბამბლოდს.“





ბექა ახალაია



წინდა ანა

— მე თუ დავდივარ, იმას არ ნიშნავს, თითქოს ყველაფერს ვამჩნევდე, თითქოს ყველას ვცნობდე და ყველა შემხვედრის სალამს უსალმოდ რომ არ ვტოვებდე, იმას არ ნიშნავს, რომ მე ვარ ისევ სიცოცხლით სავსე და არ გამიშრა სისხლი ძარღვებში, და გადარჩენილ სიზმრებს ვხედავდე.

მე თუ ვზივარ და უხმოდ ავყურებ ფოთლებდაცვენილ ჭადარს, არ ნიშნავს, რომ ის მიკვირდეს, როგორ შევედი ჩემს სამოთხეში, თქვენს სამოთხეში, და ვერ გავძელი.

მხოლოდ ის მიკვირს, როგორ უეცრად ჩამოხვდებოდა, როგორ გამასწრო უკანასკნელმა ავტობუსმა, და როგორ ჩაქრა ელექტროდაფის ციფერბლატი. ნალურსმნალ ტერფზე სულს რომ სათუთად მიბერავდი, რამ დამავინყა?! შენი შეშლილი გამოხედვა რამ დამავინყა?! ცოტაცაა და ბევრიც არის (რამ დამავინყა?! ეგ შენი წლები, რამ მომწუსხა: წელში მოხრილი წინ მედეგი და ვერ გიცანი.

— რა გეხსომება იმ ძილდამფრთხალი შუალამიდან, ბებიაქალმა რომ ვერ მოვისწრო და მე მომიხდა შენი მიღება, და ჩათვლემილი ყვაი დააფრთხო შენმა ტირილმა, სოფელსაც გასცდა და იმ საავდრო ღრუბლებსაც ასცდა. ღიმილი მორთე, როცა გამიტყდა

თიხის ემბაზი, რომელშიც გბანდი. შენი გაჩენა ჩვენმა ძალმაც კი იზვიამა და მთელი ორი დღე იმ ზეთისხილის ფესვებთან იწვა, ბაბუაშენმა

შენი ჭიბლარი სადაც დამარხა. იზრდებოდი ყველა კამათის, შერიგების და ჩხუბისთავი, ხოლო, ერთ დღესაც, თიხანარევი მერგელისგან შიშველი კაცი გამოგვიძენრე, ბებერი და შიშველი კაცი. ცურვა გიყვარდა, ისე გრძობდი წყალში თავს, როგორც თევზი წყალში. და გაიხსენე მამამ რა გითხრა?! როცა მამისგან სულ გიცავდი, დედამ რა გითხრა?! იმ უცნაური ღამის მერე

— შენთან კარგა ხანს აღარ მიშვებდნენ, მაგრამ ყოველთვის ვიპარებოდი. სრულ სიბნელეში შენს ძველ სახლამდე თვალდახუჭულიც კი მოვაგნებდი. მერე, დაღლილი, გიცქერდი: ბაბუი როგორ უვლიდი ზამთრის ყვავილებს, მიცქერდი: ნოხზე გამომხმარ ტალახს როგორ ვტოვებდი,

გიცქერდი: მჭადზე ხელის კანკალით რომ გამოგყავდა ძელი, რომელზეც დამნაშავეებს ლურსმნით აკრავდნენ, თან, ცრემლს ყლაპავდი, და გინყრებოდა ცხელ სამოვართან

მჯდარი ბაბუა. ხანდახან, ღამით, გაღვიძებულს გეტირებოდა, ფრთხილად მკოცნიდი, და მიკრავდი გულში, გეგონა, ბაბუასავით, მეც მეძინა, თითქოს იყავი დედა და იმ წამს შეგეძინე, ისე მიკრავდი. ყოველთვის რატომ გავინყვებდა, რა დაგესიზმრა?! თქვი, თუ რატომ ხარ მოწყვნილი, რა დაგესიზმრა?! ბე, ერთი კარგად დამაკვირდი, ჯერ არაფერი არ დამმართნია, ცოცხალი ვარ.

— მხოლოდ სოფლები ცვლიდნენ ერთმანეთს, მარგი მდინარის შხუილში, ბევრჯერ შემომანგრეეს, შემომამუნეს დაბები, წინ კი ბლომად ცვიოდა ისევ და ისევ: შეკელი, დრაქმა, სომი, აბაზი, პესო, პაისა, თეთრი, დირპემი, ფელსი, ტალერი, დანგი, დინარი, დრამა... პეშვში და დრამა სულში და დრამა ლოდინში, და ვუფრთხილდები ჩემი დაშლილი თავის ნარჩენებს, ყველას სახელით რომ გადავრჩე და გითხრა ბოდიში.

გრუნტზე, ასფალტზე, ტორსფენილზე თუ ქვანაწილზე როგორ მძიმედ და როგორ მსუბუქად დააბიჯებს ამდენი ხალხი და, მგონი, სულაც არ აძინებს (მეორედ როდის?! მოსალოდნელი განაჩენი. როდის მომიწევს?! ჩემი ჩამტყდარი საფლავიდან... შენ კეთილი ხარ, მოწყალე და შეწყალე, მუდამ დიდო და მუდამ პატარა ჩემო ბიჭო, მეორედ როდის?! მე გელი, არსად მეჩქარება.

— ჩართულ დაზგასთან რას გავიგებდი. როცა დაღლილი ძლივს ჩამოვჯდებდი, ეს ყველაფერი თვალში მესობა დისკური ხერხის ჩამოტეხილი კბილანებივით, მაგრამ დანყებულ საქმესაც თავს ხომ ვერ მივანებებ. და, თან, ისე ვარ შეჩვეული, რომ მიყვარს სახლივით აქაურობა — ტონა ნახერხი, ტონა ნარანდი... სწორედ ის იდგა, რომ გადმოსახლდა ჭიშკრის მეზობლად, ვერც კი შევნიშნე, როგორ მოვიდა ღია კარამდე.

მერე კი, როცა მთელი დღე ერთად ვიარეთ და რომ შევისვენეთ (მისი სახის და თმების გარდა ვერას ვხედავდი, იდგა სურნელი აზალიის) და ვაგროვებდი სამარადუაშამ საგზალივით. ნიაფი ქროდა, ქროდა და ოდნავ ფრიალებდა ლორის ბირკებით დამძიმებული ჩემი კვართი, შემეხო (გოგო, ორი ნახვით რომ შემიყვარდა) და მითხრა: „იცი? მე ერთი ნახვით შემიყვარდი!“

— „შელის ნუკრი!“ — დგას და პატარა გოგო ცრემლებს იკავებს, „შელის ნუკრი!“ — დგას და პატარა ბიჭი ქვიშას დასცქერის.

შალაფებში კი მწყრის ჩორჩრებისკენ მიიპარება გველი (ანკარა). პატარა გოგო, ირმისთვალეზა „მკვდარია!“ — ტირის... და ეხსომებათ, როგორც იგავი, ქვიან რიყეზე როგორ გარბოდი მჭახე ძახილად — არ შეხებოდნენ! — ქცეული. არა! არა! არცერთი! და თვალზე ხელი როგორ დაადე. მან გაახილა.

ნარეკალათი და ნარცეცხლათი დაჩხვლეთილი ტერფი გწინკნიდა. გაღმა აული, მინარეთი ჩანდა. თხუნელამ თავი ამოჰყო სოკოებთან. ნუკრი (შელის), ბავშვი (ბიჭი) და ბავშვი (გოგო) ერთად —

რიყის სამება — ეს ჯადოსნური გაკვეთილი გართობდა, იყო ზუსტად ისეთი, შენ რომ ცქერა გიყვარდა. სდუმდნენ მერცხლები, მარგი მდინარეც კი ტანშეურხველად განოლილიყო — გველხოკერა.

— გამოდიოდა კოლიოს სუნი და დიოდური ნათურის შუქი ღია ფანჯრიდან, მე კი გავრბოდი — მომდედნენ — გზაზე, გარაჟებს შორის, ბნელი სკვერების გასწვრივ, მათიდან, მათში, სწრაფად თუ სვენებ-სვენებით.

მთვარე კი იყო დაუჯერებლად გრანდიოზული, და გარეუბნის მეტროსადგურის ღია ბაქანზე დაძრწოდა ტიპი და ასალბდა მსუბუქ ნარკოტიკს... მალე ჩამოდგა, გავიქეცი და — ტყვია (ყაჰანი)

მარცხენა ბეჭში — ვერ შევასწარი... რად გინდოდა, ჩემი ყვითელი და სისხლიანი მაისური რომ შეინახე. ჩამოიღებდი ყოველკვირა და ყურს ადებდი, რომ გულისცემა მოგესმინა. ხოლო, ერთხელაც, ზამთრის დღეების დადგომამდე, ნიკაპზე ცრემლის ბოლო წვეთილა დაგეკიდა, ნამონქეი და წყვილი სიბრმავე გაისროლე ისევ ცისფერი, თუმცა დამშრალი თვალებიდან.

— როდესაც ხალხი დაიშალა და მარტო შენები შემოგრჩით, მხოლოდ მაშინ ჩავჯექი და რაც ვითმინე, ამოვიყმულე თმებით, ფრჩხილებით, რა დამრჩენოდა შენს მერე?! ის ბრბო ეშმაკს წაელო, გადარჩებოდა თუ განყდებოდა! ნამსჭვალეებიდან აღმოცენებულ ტკივილებს გწყვეტდი, ღამის რომ დაგყვა დედის მუცლიდან.

მზე ჩადიოდა და თან ჩაჰქონდა რაღაც უთქმელი, ჩვენ კი ვიდევით და არ ვიცოდით, თუ რას ვუცდიდით.

და მაშინ ფიქრი სწორედ იმ დღეზე შევაჩერე, რომ არ დაღამდა და უჩვეულოდ გაინელა, იმ დღეს ბელურა ჩიტი გალობდა უნაბებში, იმ დღეს ეუნყა ბაბუაშენს, რომ უნდა მეშვა მუდამ დიდი და მუდამ პატარა დედაშენი. მე კი ვინეკი ბაბუი. ნელნელა რომ ეშვება — მიყვარდა დათვლა — ალუჩის, ატმის, ბრონეულის ყვავილები და, თავბრუდახვეულს, მომეჩვენა,

— თითქოს საკუთარ თავს დავცქეროდი, როცა ეკლიან მავთულში მჭიდროდ გახლართულ დრაგუნს თავზე ვედექი,

მაინც ინევდა და ბლაგვი ხიშტი ფერდში ვაძგერე, მის კივერს ცერიც კი ამოვკარი და გავაგრძელე სროლა. ვფრთხილობდი, მტრის ცხედრებს შორის რომ გამეკვლია გზა და გზადაგზა ფეხს ვარიდებდი ქვებს, ფინდიხების გამსკდარ კორპუსებს, არ მადარდებდა ომის შედეგი ასეთ დროს, მაგრამ, ხანდახან, როცა უკან ვიხვედით,

როგორ საშინლად მენატრებოდა ფანჯარასთან საქსოვით ხელში მიმჯდარი დედა, სახვალის ამინდზე ფიქრში გართული მამა, და დილიდან მთვრალი ბაბუა, დიდი ცაცხვის ქვეშ სადილი და — რიკულებს შორის, სახელდახელო ქანდარაზე — მტრედი, რომელიც ოდის დერეფანს არ სცილდება, და შენ, რომელიც წევხარ და უსმენ კუტკალიებს, შენს დამჭკნარ მკერდზე თავის დადება, დაძინება.

— მითხრეს, არაფრის არ მეშინოდეს. სადღაც ყმუიან კოიოტები, ვხედავ, თანდათან, როგორ მიილო ჩემმა ოთახმა კუბოს ფორმა და თითქოს მინაში ჩადის. მინიდან — ის ვინ იქნება — შენ სისხლს ვინ წაშლის?! ის ვინ იქნება, ჩემ ცრემლს ვინ წაშლის?!

დასასრულია — არ მეშინოდეს! — და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე: „რა იყო ჯვარი?! ერთი უბრალო ხის ძელი იყო, ვაი, შენს ბებოს! სანამ, ნანამებს, მიგალურსმნავდნენ!“

ჯერ არ ვაპირებ, სანამ არ მოხვალ, გელოდები, უნდა მომისწრო, მხოლოდღა სამი, სამი ღამე დაგვრჩა, მოხვიდე, უნდა მოხვიდე ყველა მხრიდან, გზების სიშორე, წლების სიშორე ვერ დაგლიოდა, თავთან დამიჯდე, სანამ კანდელი აინთება, ცივი საბნის ქვეშ თბილი ხელები შემომიწყო, შენი ღიმილით უკანასკნელად გამიღიმო, ერთხელ მკვდარო და მუდამ ცოცხალო ჩემო ბიჭო!

ფიქვამაც გაიბონ

ირინას

არც ვიცოდი, რომ ყველაფერი ამ გზით წავიდოდა, რაც უნდა მითხრა, უკვე ვიცი, ისე დანერვილებით, როგორც წარსული, რომლიდანაც ვცდილობ საბოლოოდ გამოვძვრე, ვცდილობ. როგორ არა, როგორ არ მინდოდა შენი თითები ჩემს ხელებში, თვალს არ გაცილებდი შორიდან, მაგრამ რაღაც ძალა თითქოს მაბრკოლებდა. ბილიკზე ვდგავართ, ვემზადებით ტყეში შესასვლელად, და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი!

წყვეტილად ისმის საიდანლაც ძველი მელოდია — „Miss Your Kiss“. მომცრო გირჩების ქვეშ შემძვრალ ჭიანჭველებს ვაშინებთ, დილის ჰაერია ისე გამჭვირვალე... და სანამ შევალთ, ეს ხეები ჩვენში შემოდიან, გადიან. წინ დგას ხმელი ფიჭვი, უხმოდ მიაჩრდი, ქვევიდან ზევით, უთვალავჯერ. ვერ წყვეტ ნამძინარეც თვალს. ვდგავართ და ვემზადებით ტყეში შესასვლელად, და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: გვაცალეთ ერთმანეთი!

ნეტავ ვინ იცის, როგორ სწრაფად, როგორ უცნაურად მოხვედო, დარჩი. ჩვენი ღამე. თეთრად გათენება და დაღამება. ყველაფერი. თითქოს მეთასედ, განა პირველად. და ეს იყო მთელი სასწაული. იმ დილით ცრიდა და წვეთები დენის სადენიდან წყდებოდნენ, ვიღაც იჯდა თავის მოზრდილ ვერანდაზე. და ახლა აქ ვართ, ვემზადებით ტყეში შესასვლელად, და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: ჩვენ გვინდა ერთმანეთი!

ცარიელ პროსპექტს მივყვებით, და შენ იხსენებდი ბავშვობას, სოფელს. ღია იყო ღამის საკონდიტრო. მოხუცმა წყვილმა ჩავკვიარა, მზერა გააყოლე: „— თუ შევძლებდით, რომ ერთმანეთი ასე, სიბერემდე, გვეყვარებოდა და საბოლოო ზარის ჩამოკერის დროს შეგძლებოდა და ყოფილიყო ირგვლივ გაზაფხული?!“ ახლა კი აქ ვართ, ვემზადებით ტყეში შესასვლელად, და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: ვიპოვნეთ ერთმანეთი!

თუმცა, ოდესმე, დამთავრდება, მაინც დამთავრდება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ დარჩეს მოსაყოლად ზღაპარი, დავრჩეთ ამ ზღაპარში, დავრჩეთ სამუდამოდ. ყველა სიყვარულს, მეტნაკლებად, თუ აქვს გამართლება, ჩვენ გავამართლებთ სიყვარული ჩვენი სიყვარულით, მე ეს ვიცოდი, შენც იცოდი, ანუ თავიდანვე ვიცოდით. ახლა დილაა და ტყეში შესასვლელად... და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: ვგიჟდებით ერთმანეთზე!

წუხელ ჰამაკი დარჩენილი, წიგნი (აპდაიკი) — ჰამაკში. იქვე, მოშორებით, ვხედავთ სხვა ჰამაკსაც. მარტო ჩვენ ვართ და ჩამონოლილი თითქმის სიჩუმეში ვიძახი: „მა სი მათროფენი!“ მინდა, რომ გაიგონ ფიჭვებმა. ვივლით დაღვამდე და ვივლით საღამომდე, თანაც, გზადაგზა, ბადმინტონი უნდა ვითამაშოთ. ჯერ კი აქ ვდგავართ, ვემზადებით ტყეში შესასვლელად, ამასაც ვამბობ, ამას ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: ჩვენია ერთმანეთი!

ხშირად განვიცდი განუცდელს და ხშირად წარმოვიდგენ, რომ მე ვიღვიძებ სამყაროში, სადაც შენ არ მხვდები, ან მხვდები, მაგრამ სხვასთან ხარ და ჩემთან არც ყოფილხარ, ღია ფანჯრიდან ნიავს გააქვს ყავის არომატი, და მასთან ერთად — სასიცოცხლო მთელი შემართება, და თან შემოაქვს ქაოსი და მძიმე განწყობისთვის საჭირო ხმები. ვემზადებით ტყეში შესასვლელად, და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: ჩვენ ვაფრენთ ერთმანეთზე!

დროდადრო, როცა ერთმანეთი ისე გვენატრება, რომ გაძვლოთ, უკვე საბოლოოდ გამორიცხულია, შენ ჩამოდიხარ, და მომხდარი უფრო გამძაფრებით მეორდება და ჩვენს ფანჯარას სუსტი მზე ადგება, გადახრილი და ჩამავალი, ბოლოს, სამერცხულსაც ჩაცდება, ფარებს აანთებენ მწკრივში მანქანები. ახლა აქ ვდგავართ, ვემზადებით ტყეში შესასვლელად, და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: გვჭირდება ერთმანეთი!



შენი დარგული ალუბალი ვინრო ტროტუარის კვადრატში. ქარი, და მას მოაქვს ფეროშენადნობთა ქარხნიდან კვანძი, მძაფრი სუნი. და ამ ინდუსტრიულ ჭაობში შენ და ალუბალი, ისე მოუარე, როგორც სიყვარულს, სხვებს რომ ჰქონდათ, მაგრამ ჩვენც ვნატრობდით და მოვიპოვეთ, ჩვენია და რა არ შეუძლია. ახლა კი აქ ვართ, ვემზადებით ტყეში შესასვლელად, და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი!

ბილიკთან ახლოს, წინა ღამით, ვითომ მილაგებულ პიკნიკს, ნარჩენებს, მზე აშრობს და თეთრი ძალი ყნოსავს, და შენ ნელ-ნელა ეპარები, ჩუმად ფოტოს უღებ, იქვე წყაროა, გაივლის და უცებ იკარგება მინაში, უღებ. ისე ნაგავს ყნოსავს ალბინოსი ძალი, შენ ისევე ფოტოს უღებ, ის კი საპასუხოდ გიყვებს. აქ ვართ და ვემზადებით ტყეში შესასვლელად, და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: გვაცალეთ ერთმანეთი!

როგორი დღე და, შეკუმშული, და ჭადრის წვერამდე ჩამონეული ღრუბლები და ჩქარი ნაბიჯები — ჰა და ჰა წვიმა — და ზეცაში ცქერა, დაკეცილი ქოლგები, სწორედ ასეთი დღე, თანაც ის ფერადი ბუშტები კედრის გამხმარ ტოტზე, და თუ დამიჯერებ ასეთი, არა — სხვანაირი, და თუ დაგვაცლიან ასეთი იყოს. მაგრამ ახლა ტყეში შესასვლელად ვემზადებით და ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: ჩვენ გვინდა ერთმანეთი!

როცა მიდიხარ, მარტო ვრჩები და ცარიელდება შემზამოყრილი პარკები და ზოგან დამულჩული სკვერები, გრძელი პროსპექტები, მოკლე ქუჩები და ჩიხები. მე კი დავდივარ და უკან იარდები, მეტრები მრჩება, ვეუბნები მუდამ დამუნჯებულ ძეგლებს: „— ყოველი იმ წამიდან და იმ წუთებიდან, მკაფიოდ მასსოვს ყველაფერი!“ ტყეში შესასვლელად ვემზადებით და ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: ვიპოვნეთ ერთმანეთი!

შენი ოთახი. თაროები. თარო. ო. ჭილაძის პორტრეტის გვერდით ჩემი წიგნი. ლურჯი გარეკანი. მოგრძო სანათი. შენ ზიხარ და ჩამოგიცურდება მკლავზე ზონარი, გაისწორებ. იცი, რომ დილაზე თვალს ვერ მოხუჭავ, ეს ნევროზი! ჩემთან დარეკავდი, რომ არ მეძინოს. იყვირებდი, მაგრამ მეზობლები... ახლა აქ ვდგავართ, ვემზადებით ტყეში შესასვლელად, და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: ვგიჟდებით ერთმანეთზე!

ჩემი ოთახი. თაროები. თარო. უ. ფოლკნერის პორტრეტის გვერდით ჩემი წიგნი. ლურჯი გარეკანი. შუალამეა და ტურები ვერეს სეობაში მოთქმით ტირიან. გორაკიდან ჩადის უმოკლესი ბილიკი, მაგრამ იქ რა მინდა. შენთან დავრეკავდი, რომ არ გეძინოს. ჭრაჭუნა პარკს ისე შემოვაცლი სიგარეტს, თითქოს ვენოფდე. ტყეში შესასვლელად ვემზადებით და ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: ჩვენია ერთმანეთი!

შენ გიყვარს, როცა მელოდები, და მე კიბიდან გწერ ერთადერთ სიტყვას: „გააღე!“, და კარი ღია მხედება, შევდივარ, შენ კი კარის უკან დგახარ, იმალები, როცა მივხურავ, მეხუტები, მეკვრი ტირილამდე მისული, მიყვარს ის კედლები, ჭერი, იატაკი, რადგან შენია, უმთავრესი და სხვა წვრილმანები სწორედ იქაა. ვემზადებით ტყეში შესასვლელად, და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: ჩვენ ვაფრენთ ერთმანეთზე!

ვცდილობ დაგხატო წარმოსახვით, ვზივარ და გიყურებ (გიხსენებ), იყო სევდიანი თუ სჯობს გაგალიმო?! ერთიც გიხდება და მეორეც, უნდა ავირჩიო. ამოვალავე სახატავი მთელი ფურნითურა: საღებავები, ფუნჯები და მოგრძო მასტიხინი... უკვე წლებია აღარ ვხატავ, დიდი ნაბიჯია ამოლაგებაც. ახლა აქ ვართ, ტყეში შესასვლელად ვემზადებით და ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: გვჭირდება ერთმანეთი!

მინდა გავსრისო საითათოდ ყველა ის ყვავილი, რომელიც შენთვის უჩუქნიათ, თუმცა ყვავილებმა რა დააშავეს, მაგრამ მინდა თავი მოუყუარო, ნიხლებით შევდგე, მიყურო და ცუდი სიზმარივით ონკანს მოუყვე, რადგან მეტჯერ არა, არ იქნება, მეტჯერ არ ვიზამ, დაგპირდე და ამით საუბარი მორჩეს. აქ ვართ და ვემზადებით ტყეში შესასვლელად, და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი!

რამდენს გეძებდი! ბოლოს მივხვდი, რომ იქ არ გეძებდი, სადაც იყავი და თვალები, სველი ბუნდებივით, დამეთხარა და ჩატეხე და ახლა სხვას ვერავის და სხვას ვერაფერს ვხედავ, მხოლოდ თქვენ: შენ & (ამპერსენდი) შენ. თანაც ისე, თითქოს რა და, იყოს ბუნებრივი ის, რომ თვალში მყავდეს შენი ორი ნახევარი. და ახლა აქ ვართ, ვემზადებით ტყეში შესასვლელად, და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: გვაცალეთ ერთმანეთი!

მე შენკენ ვუშვებ პირველ პეპლებს, უნდა გაიარონ ქალაქი, მერე ხიდი, ტრასა, ავტომაგისტრალი, მომცრო გვირაბი, მერე — დიდი. ცოტაც, სულ ცოტაც და შენთან არიან, მოაღწიეს უკვე, კარგია, რომ არ გაუწვიმდათ, მაგრამ ფრენით როგორ დაილაღნენ... ჩამოასვენე თითებზე და, ღამით, შენს ოთახში დააბინავე. ვემზადებით ტყეში შესასვლელად, და ახლა ვამბობ, ახლა ვყვირი: ყველას, ყველას, ყველას: ჩვენ გვინდა ერთმანეთი!

ქრის რი გაჩუმდა, აღარ ისმის ძველი მელოდია — „Miss Your Kiss“. წყარო, ნარჩენები, იქვე — ალბინოსი ძალი, ჰამაკში — აპდაიკი, ხელში — ბადმინტონის წვეილი ჩოგანი, მოჭრილია უკან დასახევი ყველა გზა, და ჯერ ეს ფიჭვები ჩვენში შემოდიან, და მე ვიხრები წყაროს თვალზე, წყაროს წყალი მოვსვი. რაც ირგვლივაა, ყოველივეს, უკან მოვიტოვებთ, და მოვიტოვებთ მთელ ამ ქაოსს, ხმაურს, მთელ საგაყეთს, ამოვიღე და გადავაგდე სახლის გასაღები, მერე კი ხელი ჩაკვიდე და ტყეში შევაბიჯეთ!



გიორგი შერვაშიძე გოგლიმობლი ავსაზურად ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

დასასრული

— და თქვენ არსებული გაყინული კონფლიქტიდან რა გამოსავალს ხედავთ? მოდი, ასე შეხედეთ ამ ყველაფერს — ეს არის პირველი ნაბიჯი და სწორედ ეს პირველი ნაბიჯია ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო. თქვენ ეტყობა, კარგად არ მისმენდით. მე გითხარით, რომ პირველ ეტაპზე იქმნება სამთავრო და სამთავრო კი, თავისთავად, დამოუკიდებლად არ არსებობს. ის ვილაცის ტერიტორიაში, საზღვრებში მოიაზრება. აბა, კარგად დაფიქრდით... ხვდებით, ეს რას ნიშნავს? და მეორეც, არანაკლებ მნიშვნელოვანი — იდება ხელშეკრულება... და ხელშეკრულება კი იმას გულისხმობს, რომ რაც იქ ჩაინერგება, ის იქნება ახალი რეალიზაცია. არ არსებობს არანაირი ჩარჩო და არის მხოლოდ შეთანხმება... — კარლმა თვალი ჩაუკრა და ხელით ანიშნა, დამშვიდდით.

— რაღაც ვერ გავიგე. კონფედერაცია ხომ თავისთავად იმდენად მყიფე კავშირია, რომ ნებისმიერ მხარეს ნებისმიერ დროს მისი გაუქმება და შეთანხმება უარის თქმა შეუძლია. მაშინ რა გამოადის... დამთავრდა... ბასტა... აფხაზეთი იურიდიულად დამოუკიდებელია და საქართველომ ის საბოლოოდ დაკარგა?! — პლატონმა სიგარა ნერვიულად მოქაჩა და პირიდან კვამლის სქელი ქულა გამოუშვა.

— ყოჩაღ, ბრავო... ნამდვილად არ მეგონა, თუ კონფედერაციული მოწყობის საკითხებშიც იყავით გარკვეული. კიბატონო, კლასიკური გაგებით ზუსტად ვერკე. კონფედერაცია არის დამოუკიდებელი სუბიექტთა კავშირი. არა ჯარი, არა ერთიანი სამონეტო პოლიტიკა და არა საერთო საგარეო კავშირები. ყველა ცალ-ცალკე და თან ერთად. როცა გინდა, ქუდი დაიხურე და გადი, მაგრამ მე არ მითქვამს, რომ ეს კლასიკური მოდელი უნდა იყოს. პლატონ, ეს ხომ ხელშეკრულებაა... აბა, კიდევ ერთხელ კარგად დაფიქრდით? რა არის ხელშეკრულება, თუ არა შეთანხმება და პირობები?! ხელშეკრულებაში ხომ რასაც გინდა, იმას ჩანერ და მთავარიც სწორედ ესაა... ჩვენ სრულიად ახალი კონცეფცია შევქმენით, სადაც ყველაფერი სრულებით სხვანაირად იქნება მოწყობილი... ვერაფერს შეძლებს ხელშეკრულების ერთპიროვნულად განყვეტას. ეს იქნება შეთანხმება სამთავროსა და სახელმწიფოს შორის... — კარლი აშკარად თათამაშობდა და თან აქეზებდა. უდავოდ, თავისი საქმის — დემოკრატიის — დიდი პროფესიონალი იყო და თუ პლატონი თავს დროზე არ უშვებდა, უპირობოდ მისი იდეოლოგიის მსხვერპლი გახდებოდა. ახლა, ალბათ, საქმეში მძიმე არტილერიასაც — ღირებულებებს — ჩართავდა და მერე რამე ისეთ სენტიმენტალურ თემაზე ნამოიკიდებდა, შეიძლება კიდევ აეტირებინა.

— და გარანტი... ვინ იქნება ამის კონსტიტუციურად აღსრულების გარანტი? რუსეთი? ახლა რუსეთმა ყველგან ისე თავისი სამხედრო ძალები უნდა ჩადგას და საქართველოში ახლა ოფიციალურადაც, როგორც მომრიგებელი, დამკვიდრდეს?! — კარლი სიგარის კვამლში საერთოდ აღარ ჩანდა და პლატონს მოეჩვენა, რომ საკუთარ თავს ესაუბრებოდა. ამ ფუტურისტულ მონოლოგს კი ბოლო აღარ უჩანდა...

— პლატონ, ახლა ყველაფერს მართლაც ვერ განვიხილავთ. ახლა არც ამის დროა და არც საჭიროება. სიღრმეში რომ ჩავივლით და ასეთი დეტალები განვიხილოთ, ჯერ სხვა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხები უნდა გადავწყვიტოთ. ახლა მნიშვნელოვანია, ის გავარკვიოთ, სამთავროს მმართველის პოზიციაზე ნომერ პირველი კანდიდატი ვინ იქნება. როგორც გითხარით, საბოლოო სიტყვა ჩემი არაა და ეს გადაწყვეტილება საბჭომ უნდა მიიღოს. საბჭოს წევრები კი ზუსტად ამ კვირის ბოლოს ავსტრიაში, ვენაში შეიკრიბებიან. იქ გაიმართება ასოციაცი-

ის თავყრილობა და კანდიდატებიც საბჭოს წევრებს სწორედ იქ შეხვდებიან. რა თქმა უნდა, თქვენც დაპატიჟებული ბრძანდებით. აი, ინებეთ, ესეც მოსანვევი... ალბათ, ამდენმა ფორმალობამ კიდევ დაგაბნიათ, თუმცა ეს ეტიკეტი და ჩვენი საზოგადოების შიდა განაწესი. ისევე როგორც აქ, ამ მოსანვევს, ვენაში მითითებულ მისამართზე წარადგენთ და კიდევ ერთ გასაუბრებას გაივლით. მერე კი ვნახოთ... დანარჩენი მერე გამოჩნდება... და თქვენს კითხვებსაც პასუხები იმის მიხედვით გაცემთ, მომავალში რამდენად მნიშვნელოვანი იქნებით ამ პროექტისთვის. ახლა კი ბრძანეთ, თქვენ თქვით, რაღაც პრობლემა შემექმნაო. აბა, რაშია საქმე, რით შემიძლია, დაგეხმაროთ?! — კარლმა საუბრის თემა ისე ოსტატურად შეცვალა, რომ პლატონს დისკუსიის გაგრძელების სურვილი უშალ გაუქრა.

— ა... ჰო... ისა... აეროპორტში რაღაც გაურკვეველობა შემემთხვა... უფრო სწორად კი, გამძარცვეს და ყველაფერი დავეკარგე... ტელეფონი, საფულე და პასპორტიც კი... არც კი ვიცი, უპასპორტოდ რა ვქნა... ალბათ, ვერაფერსაც ვერ შევძლებ და ვიფიქრე, იქნებ თქვენ რაღაც ნაირად... რადგან ასეთი მძლავრი ორგანიზაცია ხართ... და თან თუ, მითუმეტეს, ვენაში უნდა ჩამოვიდე, მაშინ... — კარლმა თავი გაგებით გააქნია და ფურცელზე მისი სასტუმროს მისამართი ჩაინერა. შეჰპირდა, რომ აუცილებლად დაეხმარებოდა და სამი დღის ვადაში პრობლემას მოუგვარებდა.

— პლატონ, თქვენ კიდევ ბოლომდე მართლა არ იცით, ჩვენ როგორი მძლავრი ორგანიზაცია ვართ. ამ პრობლემას ადვილად მოგიგვარებთ. უბრალოდ, ჯერ იქ დარჩით, სადაც ხართ და დანარჩენს ჩვენ მივხედავთ. კიდევ რამე ხომ არ არის, რაშიც შემიძლია, რომ დაგეხმაროთ? — მართალია, პლატონს ტელეფონიცა და ფულიც ძალიან სჭირდებოდა, მაგრამ მოერიდა და აღარაფერი უთქვამს.

— არა, მეტი არაფერი... ისე კი, უბრალოდ, ძალიან მაინტერესებს, იმ ვილაც ნინაპართან, რომელიც აფხაზეთის უკანასკნელი ანჩაბაძე მმართველი იყო, მე როგორ დამაკავშირებთ? რის საფუძველზე? — მოსანვევი გამოართვა, რომელიც ნინაპართანთან არაფრით განსხვავდებოდა, თუ არ ჩავთვლით ზედ გამოსახულ სასახლესა და მისამართში ცვლილებებს და პიჯაკის შიდა ჯიბეში შეინახა.

— ჰა... ჰა... ჰა... მაშ, შეხვედრამდე... ახლა ჩვენ ჯერ თქვენს საბოლოო პასუხს ველოდებით, მონაწილეობით თუ არა ამ პროექტში და მზად ხართ თუ არა ბოლომდე მიჰყევით დასახულ ამოცანას, — კარლმა დამშვიდობებისას ხელი ჩამოართვა და თავისი სავიზიტო ბარათიც გადასცა, — რაც შეეხება თქვენს ბოლო შეკითხვას. ამ სავიზიტო ბარათზე ჩვენი ინტერნეტ-გვერდი მითითებულია. შედით და დაათვალიერეთ. თქვენ კითხვაზე პასუხიც იქ დაგხვდება.

— ნახვამდის... — პლატონმა სავიზიტო ბარათი გამოართვა და გასასვლელისკენ დაიძრა. მძიმე კარი ძლივს გამოაღო, ღიობში გაძვრა და გარეთ გავიდა, — „ჩემი ბედის დედა მოგტყვან... ეს რა ჯანდაბაში გავვხვები... რომელი დავით აღმაშენებელი მე მნახეს, ჯერ აფხაზეთის მთავარი რომ უნდა გამხადონ და მერე მთელი ქვეყანა გამაერთიანებინონ... არა, რა, ესენი მართლა მაგრა უბერავენ... კონფედერაცია არა კვახი...“

ეზოში გავიდა და გრილი ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა. გარეთ დაბნელებულიყო. ათასწორად განათებული ქალაქი ლამაზად მოჩანდა. უეცრად ყურებში წული დაეწყო და უჩვეულო სისუსტე დაეუფლა. სახლამდე მისასვლელი გზა მოაგონდა და მთქნარება აუტყდა. იქვე სკამზე ჩამოჯდა და ცხვირი პიჯაკის საყელოში ჩამალა. იფიქრა, ცოტას დავისვენებ და მერე გზას გავუდგები. ამის გაფიქრებლამ მოასწრო და უშაღ უძირო უფსკრულში დაინყო ვარდნა...



თეკლა ერემიშვილი ლურჯი ღამეები რომ განთიადებად ტრანსფორმირდებიან

ტყიბულის ჯართსაყრელზე რკინის და მოსანვევის სუნი დგას. სიმარტოვით საცე გეტოში ძმაკაცები უბორბლებო და უფანჯრეო, ძველისძველ „ვოლგაში“ მარბიხანას ვზრდით.

სანამ მემუხატეების სახლში დაბრუნებამდე მათი ცოლები გაუბედავი შიშით იყურებიან გზისკენ, ბიჭები ორლობეში გამომწყვდეულ ავადმყოფ ღამეებს გაფურბივართ. მშვიდ გაზაფხულზე, უკეთეს ზაფხულზე და საერთოდაც სხვანაირ ცხოვრებაზე ფიქრსაც ვებღავთ.

ჯართსაყრელის გარდა კიდევ ერთი ამოჩემებული ადგილი გვაქვს და ღამე-ღამეობით ავდივართ. ასე ვიკმაყოფილებთ გადაკარგვის სურვილს იმ სახლებიდან, რომლებშიც შეიძლება ერთ დღესაც ველარ დაბრუნდნენ ჩვენი მამები...

ფერდობისკენ მარტო მივდივარ, მერე ალბათ ბიჭებიც ამოვლენ. დამტვერილ ფანჯრებზე მომწყდარ მისუსტებულ ნათებას უკან ვიტოვებ. სახლებისკენ მიმავალი მემუხატეების ლაპარაკი ჩამესმის, ხმებს ვითვლი... მამაჩემის ხმასაც ვპოულობ სხვებში. წარმოვიდგენ, როგორ ამოიყენებს ხოლმე სიკვდილს გვერდით ყოველ დღე და მასთან ერთად რელსებს მიუყვება შახტაში... ფიქრებიდან კენჭების აქეთ-იქით გადასროლის ხმას გამოვყავარ. უკან ვიხედე, ვილაც მოდის. სიბნელით ნახევრად შეჭმული სხეულის კონტურები მითჩის ამოვიცნო, სულეირია თუ არა, ქალია თუ კაცი... მგონი, ოდნავ ნელში მოხრილი უნდა იყოს. მოხუცია? ჩვენ შორის მანძილი მცირდება.

ვიძაბები. მიახლოვდება, მაგრამ არაფერს ამბობს. უცნობია? უცნობს აქ რა უნდა, ამ დროს? — ამ ფიქრებში ვარ და თანდათან გამოსახულება მკვეთრდება, ადამიანის სახეც ცხადი ხდება. კრავია?! — ზედაც არ მიყურებს, ისე აგრძელებს გზას. აქ რა ჯანდაბას აკეთებ? — ვეკითხები. ვერ დამიძახე, შენ თუ იყავი? გული გამიხეთქე, გოგო! — ვკიდევარ, ისე არაფერს მუუბნება. კრავია ერთადერთი გოგოა ჩვენს სამეზობლოში. ლურჯი და ნავთისსუნიანი ღამეები გვაქვს საერთო, ომობანაც და ფეხბურთიც, მოკლედ, მთელი ბავშვობა. არ გეგონოთ, რომ ახლა აღარ ვთამაშობთ. ისე, რაც კრავიას დედა მეორედ გათხოვდა, მანაც და მანაც არაფრის ხალისი აქვს. ჩაიკვება, მაგრამ მე ასეთი კიდევ უფრო მომონს — მისტიური. რაღაც ფარული რომანტიკა ყოველთვის მქონდა მის მიმართ, სიღრმეში ჩაკარგული; აი, რომელიმე საღამოს რომ მოინდომებ დიფუზირებას ახლადაფეთქებული და გადახსნილი ატმის ყვავილის სუნში. აბა, მუდმივი რომანტიკისთვის ვის სცხეულა აქ. ისიც ფერდობისკენ მოდის როგორც ჩანს, აქეთ გზა სხვაგან არსად მიდის.

საღამო ღამედ ტრანსფორმირებისთვის ემზადება, მიდამო კრავიას კაბის ფერია. სასიამოვნო ფიქრებმა სიბრაზე გამიქრო და ახლალა ალვიქვი, მძიმე ტომარას რომ მოათრევს. დახმარებას ვთავაზობ — უარზეა. რა მოგაქვს-მეთქი? — ვეკითხები. ცოდვები — მპასუხობს. ისე გაბედულად მიაბიჯებს ამხელა ტომრით აღმართში ეს სიფრიფანა გოგო, რომ საკუთარი მძიმე ამოსუნთქვის მრცხვენია.

როგორც იქნა, ფერდობზე ავალნიეთ. კრავია ტომარას ბეჭიდან იხსნის და ხესთან დებს. გულის აჩქარებაც კი არ ეტყობა. მე კიდევ დალილობისგან ველარ ვძლებ და მინაზე ვჯდები. ფერდობიდან ვარსკვლავურ მტვერში გახვეული სოფლის ირიბი ნათება მოჩანს. ჯიბიდან გამხმარ მარბიხანას ვიღებ, ვახვევ და კრავიას ვანვდი. უარის ნიშნად თავს აქნევს. გულაღმა ვწვები და მოსანვეს რამდენიმე ნაფაზად ბოლომდე ვისრუტავ. ღამე შუალამის დასაბადებლად ჭინთებს აძლიერებს. მეფიქრება კრავიას არაქალურ, მაგრამ მაინც სექსუალურ ფორმებზე, სიფრიფანა სხეულზე, ჯერ კიდევ გასაზრდელ და გამოსაკვეთ ძუძუებზე. ფიქრები იზღაზნებიან. მინა შახტებიდან გამოუსული მამაჩემის ხელებივით შავი და ცივია. მაგას რას უშვრები-მეთქი — ტომარაზე ვეკითხები. მივხედავო — მოკლედ მპასუხობს. თანდათან ზანტ სიმსუბუქეში ვეფლობი. ცას ღრუბელი ამღვრევს, მე — მარბიხანა. მიდამო მოსრუტავს და უჭინარდები...

ძილმა რისმეღილაც ფაზიდან გამოიშროლა. თვალს ვახეულ, შუალამის მთვარის შუქზე სილუეტად იკვეთება კრავიას სხეული. მინას ეჩალიჩება სათამაშო ნიჩბით. მოწეულზე რომ ასეთ მისტიკას მთავაზობს განგება, ცოტა არ იყოს ვიზაფრები. რა ჯანდაბას აკეთებ-მეთქი, ვეკითხები. არაფერსო — მპასუხობს. მინის თხრას აგრძელებს. გოგო, არ გესმის შენ, რა გჭირს გამაგებინე!

ნერვიულად მიდის ტომარასთან, აპირქვავებს და ჩემ წინ მისი ძაღლის ლემი ვარდება. ყელგამოჭრილი ძაღლი. განზე ვხტები და ცხვირზე ხელს ვიფარებ ინსტინქტიურად. სპაზმი მენწყება. ეს ისევე აგრძელებს მინის თხრას.

დასავლეთის ქარს საიდანღაც მოსანვევის სუნი მოაქვს და ძაღლის ლემის სუნს უზავებს. შუალამე განთიადად ტრანსფორმირებისთვის კოსმოსიდან დასტურს ელოდება. ღამის უკანასკნელმა მატარებელმა ამოიხორა და ლიანდაგებს დაუყვა...

გაივლის წლები და სასამართლოზე მყოფი სიფრიფანა ქალი იტყვის, რომ, როცა ჯერ კიდევ თამაშის სურვილი არ ჩამცხრალა შენში და სანაგვეზე ნაპოვნი სათამაშოთი გინდა ისე ითამაშო, როგორც წლების წინ, მტკივნეულია, სინამდვილეში სხვა — არაბავშვური მიზნით რომ გინდეს ამ სათამაშოს გამოყენება. ნათქვამს ვერ გაიგებენ და ათასი კითხვით ჩაეძიებიან. ქალი გააგრძელებს, რომ ძალადობენ მამინაცვლები გერებზე და ვერ დაკმაყოფილებული სურვილის სანაცვლოდ, შეუძლიათ ყელიც გამოჭრან ძაღლებს. მე კიდევ, ისევე გამაკვირვებს იმის გააზრება, რომ ამდენი რამ ერთდროულად ამხელა სამყაროს ერთ პატარა ისტერიის სივრცეში შეიძლება ხდებოდეს. ხოლო, როცა იმ საღამოს გაიხსენებს და მოყვება, როგორ მოჰქონდა საკუთარი ყელგამოჭრილი ძაღლი მთელი გზა და თვითონვე როგორ მარხავდა, ისევე სპაზმი მომანგება, ისევე უსუსურად ვიგრძნობ თავს და დაველოდები შუალამის ათასი ღამისგან გასაქცევად ფერდობისკენ მიმავალ გზაზე...



ჯაკომო იაკობის იტალიური ფორმაა, **პონტი** იტალიური გვარია. პოემის ტექსტის გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ეს გამოგონილი სახელი და გვარი ავტორის ნიღაბს წარმოადგენს, ოღონდ ერთობ გამოჭვირვალე ნიღაბს — ძალიანაც არ ცდილობს პოეტი, გაასაიდუმლოს ის ამბავი, რომ ჯაკომო პონტი დიდნილადა (ცხადია, არა პირნილადა და უპირობოდ!) თვითონ არის. ეს მეტადრე მაშინ ხდება ნათელი, როცა ვხედავთ, რომ პოემა მამისეული, რეალურად არსებული სახლის ფასადისა და ერთ-ერთი ახლო წინაპრის ფოტოებით არის გაფორმებული.

ეს პოემაა, მაგრამ არა ძველებული ეპიკური პოემა, განსაკუთრებით მე-19 საუკუნეში რომ იყო პოპულარული, და არც ეგრეთ ნოდებული ლირიკული პოემა, მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან რომ გავრცელდა, არამედ — ამის შემდგომი ფორმა პოემისა, ეკლექტიკური პოეტური ტექსტი, რომელსაც თითქოს ლექსების ციკლი უფრო შეჰფერის სახელად, ვინაიდან ერთ გამჭოლ სიუჟეტზე არ არის აგებული, თუმცა რაღაც თემა, მეტ-ნაკლებად კონკრეტული, ანდა პერსონაჟი, რომელიც ლექსების ციკლს აერთიანებს, მიგვახვედრებს, რომ მაინც უფრო პოემასთან გვაქვს საქმე, ვიდრე სხვა ჟანრთან.

მოკლედ, „ჯაკომო პონტის“ სახით ჩვენ წინაშეა ფორმით ერთობ თანამედროვე და მაღალვერსიფიკაციულ დონეზე შესრულებული **სახალისო** და ამავედროულად **ღრმაზროვანი** საკითხავი.

მის სახალისობას დიდად განაპირობებს უხვად წარმოდგენილი სიტყვათა თამაშები. ჯერ თვითონ გვარი მთხრობელი პერსონაჟისა — პონტი — უკვე სახალისოა, ვინაიდან თანამედროვე ქართულ ახალგაზრდულ ჟანგონში არსებულ პოლისემანტიკურ (რამდენიმე მნიშვნელობის მქონე) სიტყვას ემთხვევა, რომლის სამი მნიშვნელობა გვაქვს გამოყოფილი ჩვენ „ქართული ჟანგონის ლექსიკონში“ (მე-3 გამოცემა — 2013): 1. ტყუილი (მაგალითად: არ მჯერა ეგ, პონტი იქნება!); 2. ამბავი/ამბავში (მაგალითად: მაგ პონტში მე არ გამრიო!) და 3. შეუძლებელია, არ მოხდება, არ არსებობს (მაგალითად: პონტია, მე ეგ გავაკეთო!).

აქედან ორი (პირველი და მესამე) არის გააქტიურებული პერსონაჟის გვართან გართიმვის შედეგად სტროფში, რომელიც პოემის ორ ადგილას გვხვდება:

„მე, მოქალაქე ჯაკომო **პონტი**, როგორ, რა გზებით გინდა მთაროთ, რასაც მებრალვებთ, ეგ არი **პონტი**, **პონტი** არ არი, რომ ვალიარო“.

ეს სტროფი უტყუარი „სტილისტიკური გასაღებია“, რომელიც მიგვახვედრებს, რომ ავტორის ნიღაბი ამ პოემაში კომიკური ნიღაბია.

საზოგადოდ კი სიტყვით თამაში, პოეტის (და, როგორც დაკვირვებული ხალხი გვარწმუნებს — არამარტო პოეტის!) ნიჭიერების ერთ-ერთი უტყუარი საბუთი, დათო მალრადის ძლიერი მხარეა და ამის ნიმუშებს კიდევ ვნახავთ.

სიტყვით თამაშის ერთ-ერთი სახეობა ასეთი ენობრივი პარადოქსიც:

„და რადგან უკვე მე ვარ **საძვალე**, რადგან **იღბალი შემხვედა ცბიერი**, რადგანაც **შხაში უკვე დავცალე**, **სავსე ვარ ჩემი სიცარიელით**“.

ბევრი მახვილგონივრული პოეტური ხუმრობა შეგხვდებათ ამ პოემაში. მაგალითად:

„და **სძინავს მშვიდად სანოლში გოგოს**, **მოუთენთია ფუჟერს გარემო**, **დგას გამოცლილი ფუჟერი**, როგორც... **მოდი, დავტოვებ უშედარებოდ**“.

ამ პოემას გემო ბოლომდე რომ ჩავატანოთ, რაღაც-რაღაცები უნდა გვახსოვდეს ადრინდელი ქართული პოეზიიდან, ვინაიდან თანამედროვე ლიტერატურული ქმნილებები წარმოუდგენელია ინტერტექსტების გარეშე, რაც წინამორბედებთან შეხმიანებას გულისხმობს.

რა გასაკვირია, რომ ცნობილი ლათინური გამოთქმა „in vino veritas“ („ღვინოშია ჭეშმარიტება“) ჩვენში, ღვინის სამშობლო-ქვეყანაში, დიდი პოპულარობით სარგებლობს და ლექსებშიც ბევრჯერ უხსენებიათ ის ჩვენს პოეტებს. თანაც ეს „veritas“ („ვერიტას“) რითმად ისე კარგად იფერებს შესიტყვებას „ვერ იტანს“, რომ, ტიცინ ტაბიდიდან მოკიდებული („ვინ სთქვა, ტიცინ / ღვინოს ვერ იტანს, / მამ ტყუი-

ლად უთქვამთ: / in vino veritas“), ეს სიტყვები მრავალმა პოეტმა გართიმა. ერთხელ მათ ერთად მოუყვარე თავი მცირე ოპუსში, რომელსაც „ერთი რითმის ისტორიისათვის“ დავარქვი და პირველად 2010 წელს გამოვაქვეყნე.

და ახლა, დათო მალრადის პოემაში თვალი რომ მოვკარი ამ ლათინურ გამოთქმას, მაშინვე მისი რითმისკენ გამექცა თვალი, და... შევბოთ ამოვისუნთქე, როცა იქ გაცვეთილი „ვერ იტანს“ აღარ დამხვდა: მის ნაცვლად „ამიერიდან“ ზის:

„— **ამოოოო, ამ არეს ამიერიდან** **ამორძალებს არევეს მარაო**, — **in vino, vino, vino veritas!**... — **ყელმოღერილი ვწარამარაო**“.

მაგრამ, უნდა გამოვტყდე, ცოტა გულისცემდა, როცა ეს თვალ- და ყურმიჩვეული „ვერ იტანს“ მოვისაკლისე!

მაგრამ... აი, ნახეთ, რას მოიმოქმედებს ახლა პოეტი, რომელიც თითქოს ჩვენს (ყოველ შემთხვევაში — ჩემს) გულში ზის: შტამპად ქცეულ რითმაზე ხელს იღებს, თუმცა ინარჩუნებს კიდევაც მას ძალიან ისტატურად — მის ქართულ კომპონენტს მომდევნო სტროფში დავგახვედრებს, ოღონდ სულ სხვა სიტყვასთან გართმულს:

ლევან ბრეგაძე

„მინაზე მაინც პერ დამაკავებთ“

„ამორალური ცელქობს ელიტა... ვზივარ და ვდევნი ფიქრებს უამურს, ერთი ადგილის თამაშს ვერ იტანს პირბასრი ფიქრი და სამურაი“.

საქმე გვაქვს ვერსიფიკაციულ ნოველასთან, რომლის უფრო შთამბეჭდავი ნიმუშს ცოტა ქვემოთ მივაპყრობ თქვენს ყურადღებას, ეს კი, მოდი, იმ სათქმელის შესავალივით იყოს!

ერთი ასეთი ლექსი აქვს მუხრან მაჭავარიანს:

„ამ სანუთროსი როა **კანონი**:
უკან წინანი!
წინ უკანანი! —
განა არ იცი?!
როგორ არ იცი?!
იცი?!
თუ იცი?!
რადღა განიცდი?!“

ამ ლექსს, სადაც ციტირებულია ახალი აღთქმის უცნობილესი ფრაზა, უთუოდ გავგახსენებს ეს სტროფი დათო მალრადის პოემიდან:

„და თუ **საკანი იქნება ბნელი**,
მზეს დააქინებს ხმა უკანონო,
დაინერება სიტყვები ძველი:
უკან წინანი,
წინ უკანანი“.

მუხრანის ციტირების გაგრძელება-განვითარება აქაც მომდევნო სტროფში გველოდება „კ“ და „ნ“ თანხმოვნებზე აგებული ალიტერაციული ფოიერვერკის სახით:

„— ჩამოდით კონი თქვენი კანონის,
გადაბრუნდება სანამ ურემი,
ჩემი კანონი — სიტყვის კონანი
შევეკონე, როგორც
საუკუნენი“.

ზემოთ ვთქვით, რომ სიტყვის თამაში დათო მალრადის ძლიერი მხარეა. მისი სხვა ძლიერი მხარე გახლავთ აზრის, სათქმელის აფორიზმულად ფორმულირების გამორჩეული უნარი:

„ფხიზელი თვალით მტერმა უყურა,
ამ ვინრო ვ ზებზე ვარდნას ზვაგების,
და ვფიქრობ ხოლმე,
თავად კულტურა, —
ისტორიაა თავშეკავების“;

ანდა:
„ჩამქრალა ჭალი ბროლის წკრილით,
ვზივარ და ვფიქრობ ღამის კაფეში, —
გამოპრანჭული სიტარიელი
ჩვენი ეპოქის არის აფიშა“.

კიდევ:
„თქვენ განიხილავთ დუელის ამბავს,
ცრემლების ფრქვევას ჩემგან ნუ ელით,
იქ, სადაც ლაღად ფრიალებს კაბა,
ჩასაფრებული არის დუელი“.

ესეც ვნახოთ:
„რის მოსმენა გსურთ, მოდი, გამეშვიო,
თქვენ — დამნაშავეს ეძიებ ჩემში,

მე — **ადამიანს დამნაშავეში**,
განსხვავებული გვაქვს გზა და გეში“.
ხიაზმის ჩინებული ნიმუშია ეს!
(ხიაზმი — რიტორიკული ხერხი. ამ დროს ჯვარედინად იცვლება ელემენტთა თანმიმდევრობა სიტყვათა ორ პარალელურ რიგში, წინა ფრაზა მომდევნოში თითქოს სარკისებურად ანუ შებრუნებულად აირეკლება, რაც ფრაზას კრისტალურობას ანიჭებს).

და ბოლოს:
„მე მამის სახლში ალვაველენ ლოცვას,
მაინც რა არის ეს მამის სახლი...
მარადიული სიძველე, როცა
მარადიული განცდაა ახლის“.

ეს არაჩვეულებრივი სტროფი გახლავთ პოსტსკრიპტუმი 34-ე თავისა, რომლის სათაურია „დაბრუნება“, და მას სახარები-სეული უძღვები შვილის შინ დაბრუნების მოტივი უდევს საფუძვლად.

ახლა ძალიან მნიშვნელოვანი რამე: ამ პოემაში „მამა“ ბიოლოგიური მამაც არის და მამაზეციურიც ერთსა და იმავე დროს, რაც ახლახან ციტირებულ სტროფშიც იგრძნობა, ხოლო ერთობ მკაფიოდ ჩანს ეს იმ თავში, რომელსაც რატომღაც „სამაიას ბალი“ ჰქვია. რას უნდა ნიშნავდეს ეს სათაური, ამისი განმარტება მარტო ავ-

ახლებური არაზუსტი, ასევე ტრადიციული ზუსტი რითმის დამფასებლთა-გემოვნებაც — არცერთი მათგანი არ რჩება განზილებული! ამის შედეგად იქმნება არაჩვეულებრივი მუსიკალური ეფექტი!

(თანაც ტრადიციული ზუსტი რითმის ჟღერადობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისიც, რომ ერთი სარიტმი სიტყვა მთლიანად, უნაშთოდ, ითავსებს მეორეს — ანუ თავისებურ „მატრიოშკასთან“ გვაქვს საქმე. ასეთი რითმა, რომელსაც შეთავსებულ ან შეცვლ რითმას ეძახიან, „რითმის ბირჟაზე“ მეტად ფასობს, ვიდრე ჩვეულებრივი ზუსტი რითმა).

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია! ამ სტროფებში მრავალგზის გამოვრე-ბული ზმნა-შემასმენელი „ელი“ ანუ „ელო-დები“ (შენ, მას) ამზადებს სახარებისეული ცნობილი ფრაზის „ელი, ელი, ლამა საბაქთანო!“ [ქართულად: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმაცოვე!“] გამოჩენას ამ თავის ბოლოს. (მოგეხსენებათ, ეს ებრაული ფრაზა, ჯვარცმული მაცხოვრის მიერ წარმოთქმული, უთარგმნელად არის გადასული სახარების თარგმანებში და, ბუნებრივია, ქართულშიც ასევეა).

და ვნახოთ ფინალიც:
„შენ ელი, ელი, ელი, შენ ელი,
შინ ელი, ელი, ელი, შინ ელი,
ანყვია ქვეები დაუშენელი
შენ ელი, ელი,
ლამა საბაქთანო!“

აი, ასეთი მოულოდნელი ფინალი აქვს ამ ეპიზოდს — კალამბურული! (კალამბური დაფუძნებულია სიტყვა „ელი“-ს ქართული და ებრაული მნიშვნელობებით თამაშზე).

საქმე გვაქვს ვირტუოზული ოსტატობით შესრულებულ **ვერსიფიკაციულ ნოველასთან**, რაც მეტად იშვიათი რამ გახლავთ საზოგადოდ!

ახლა უკომენტაროდ დავიმონწიებ კიდევ ორ სტროფს მამისადმი მიძღვნილი ამ თავიდან, რათა ზემოთ წარმოდგენილი ჩემი შეფასება — ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი, რაც უკიდრემე მამაზე დანერვილა-მეთქი — უფრო დამაჯერებელი გახდეს:

„ყმანვილი მუხლზე ვუზივარ მამას
და მამის მხრები მიცავს მთასავით,
მიმზადებს დედა ბრონქიტის წამალს
და მე ვუარობ ხელის სავსავით.
[...]
აქეთ დედა თვალების სარკით,
იქით ნისლია, შიშის ეჭვებით,
ორი სამყარო — ცუდი და კარგი,
გადატხროული მამის ბეჭებით“.


და ბოლოს: პოემაში გვხვდება ერთობ მახვილგონივრული, ღრმაზროვანი და დიდად აქტუალური პერიფრაზი ფიზიკის საყოველთაოდ ცნობილი კანონისა, მსოფლიო მიზიდულობის ანუ გრავიტაციის კანონის სახელით რომ არის ცნობილი, რომლის ავტორი ისააკ ნიუტონია:

„და ხან **ბოშების ვიყავ ბარონი**,
ხან მოპარული მეზურა ბენვი
და ყველგან ერთი მქონდა პაროლი:
— **მიზიდულობის კანონი ზეცის!**“

ეს კანონი — „მიზიდულობის კანონი ზეცის“ — გრავიტაციის კანონისაგან განსხვავებით, საყოველთაო ანუ, მსოფლიო კანონი არ არის: ეს კანონი პიროვნების პირადი არჩევანის შემთხვევაში მოქმედებს და მატერიალურ ინტერესებზე მაღლა სულიერი ინტერესების დაყენებას გულისხმობს. ციტირებულ სტროფებს მოსდევს კიდევ ერთი ჩინებული სტროფი — წინა სტროფის ამხსნელ-განმმარტებელი — ხუმრობანარევი გაკამათება მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმომჩენთან:

„ჯვარცმის ჯვარს თუმცა
ფრთები ხისა აქვს,
და ნიუტონმაც მომდო სადავე,
რომც გული დასწყედს ბატონ ისააკს,
მინაზე მაინც ვერ დამაკავებთ“.

პოემაში არსად არის ნათქვამი აშკარად და პლაკატურად, დღევანდელი მსოფლიოს დიდი პრობლემა სულიერების დევნიციტი რომ არის, მაგრამ ახლახან ციტირებული სტროქონები, ისევე როგორც მთელი პოემის სულისკვეთება, სწორედ ამ აზრს აღძრავს მკითხველში, რაც „ჯაკომო პონტის“ უმთავრეს ღირსებად უნდა ჩაითვალოს.



ტორს შეუძლია. მე კი ის შემიძლია ვთქვა, რომ ეს გახლავთ ერთ-ერთი უბრწყინვალესი ლექსი, რაც კი ოდესმე მამაზე დანერვილა. საერთოდ, დედაზე ბევრი ინერება, მამაზე — ცოტა (მასხენდება პაოლო იაშვილის ჩინებული ლექსი აფთიაქარ მამაზე).

პოემის ეს ნაწილი, თავი XXIV, თერთმეტსტროფიანია. პირველი, მეორე და ბოლო სტროფი ერთსა და იმავე რითმაზეა აგებული, ესენია „შენ ელი“ „მინელი“ და ამათი შემცველი სიტყვები „დაუშენელი“ და „სამინელი“. ამ სარიტმი ერთეულთა დაჟინებული გამოვრებით ავტორი მრავლისმეტყველი კალამბურის გაუჭირვებელი აღქმისთვის გვაზზადებს. მაგრამ, ვიდრე ამაზე ვიტყვოდეთ რამეს, ჯერ წავიკითხოთ ეს სტროფი და დაავაკვირდეთ მის ჟღერადობას:

„შორს არის მამა, ელი, შენ ელი,
ჩრჩილებმა დაფქვეს მისი შინელი,
ქვეები ჯერ კიდევ დაუშენელი...
შიშის მომგვრელი და სამინელი“.

გავარჩიოთ ეს სტროფი ვერსიფიკაციული თვალსაზრისით:

საქმე გვაქვს ორჯერად გართიმვასთან: ერთი მათგანია ამჟამად მოდური არაზუსტი, ბოლოდან მე-3 ხმოვანგანსხვავებული, რითმა „შენ ელი : მინელი“ და „დაუშენელი : სამინელი“, რომელიც მამინ გამოდის, თუ მივიჩნევთ, რომ სტროქონები პარალელურად არიან გართიმული (aabb); და მეორე — ზედმიწევნით ზუსტი რითმები „შენ ელი : დაუშენელი“ და „მინელი : სამინელი“, რაც მამინ გამოვა, თუკი მივიჩნევთ, რომ ჯვარედინ რითმასთან გვაქვს საქმე (abab). ამრიგად, გათვალისწინებულია როგორც



ჰაატა ნაცვლიშვილი HAPPY, მაგრამ არა ბედნიერი მკითხველის რეკლამა

შურნალ „არილის“ წლებადღეს პირველ ნომერში (მაისი, 2019) დაბეჭდილია ნინო ფირცხალავას უაღრესად საინტერესო სტატია „ფრედერიკ ბეგბედერი-სეულ franglais-ში ჩაკარგული ერთი ქართული აფორიზმი“. რომ არა ქვესათაური — „კულტურული სივრცე franglais-სა და Denglais-ს შორის“ — ეს სათაური, შეიძლება ითქვას, რამდენადმე დამაბნეველიც კი იქნებოდა, რადგან ბეგბედერის რომანში ჩაკარგული „ქართული აფორიზმის“ ამბავი სტატიის მხოლოდ შესავალია, მისი ძირითადი ნაწილი კი გერმანელთა ორენოვენებასა თუ მაკარონიზმს ეხება — პრუსიის ფრანკოფილი და ანგლოფობი ფრიდრიხ დიდიდან მოყოლებული, ვიდრე გერმანულიდან ინგლისურში გადაბარგებულ კლასს თომასის ძე მანამდე თუ happy, მაგრამ არა ბედნიერ გერმანულენოვან ებრაელ პოეტ მაშა კალეკომდე.

ამის მიუხედავად, „ქართული აფორიზმის“ ამბავი ავტორს იმდენად მნიშვნელოვნად მიუჩნევია, რომ არ მორიდებია ერთგვარ შეუსაბამობას და იგი სათაურში გაუტანია.

მაშა კალეკოს მოხდენილ მაკარონიზმს დავესხებები და პირდაპირ ვიტყვი, რომ როგორც დაუძინებელი მკითხველი, დიდად happy ვიყავი და ვარ საინტერესო დაკვირვებებითა და პარალელებით გაძედილი ამ სტატიის წაკითხვით, მაგრამ არ ვარ ბედნიერი და, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ სტატიის სათაურიც და შესავალიც რამდენიმე უზუსტობით სცოდავს და თუ სასურველს რეალობად არ წარმოვაჩინებ, ბეგბედერთან არავითარი ქართული აფორიზმი არ არის ჩაკარგული!

სტატიაში ავტორი სხვათა შორის წერს: „საგულსხმოა, რომ სწორედ ამ „ახალი ბაბილონის ენაში“, ფრანგლისურში, აღმოჩნდება ჩაკარგული ნებისმიერი ქართველისთვის სკოლის მერხიდან ასე კარგად ნაცნობი აფორიზმი „ბოროტსა სძლია კეთილმან“. ბეგბედერთან ეს აფორიზმი მოქცეულია მის ინგლისურ Good Defeats Evil და ფრანგულ Le Bien triomphe du Mal ვერსიებს შორის.

„Good Defeats Evil“ — ამ ინგლისურ წარწერას ბეგბედერი „ამერიკული გიგანტიზმით“ ტკობისას გაეროს ეზოში გადააწყდება. აქ განლაგებულ ქანდაკებებს შორის ფრანგი მწერლის ყურადღებას მნიშვნავს გიორგის გამოსახულება იპყრობს, რომელიც ურჩხულს განგმირავს. მწერალი რომანის ტექსტში ამ სკულპტურის ფოტოსაც გვთავაზობს მისი სახელწოდების ფრანგულ-ინგლისურ ვერსიებთან ერთად. ბეგბედერის თქმით, „ეს მასიური ძეგლი, სახელწოდებით Good Defeats Evil, გაეროს 1990 წელს საბჭოთა კავშირმა აჩუქა. ის რუსული და ამერიკული კოსმოსური რაკეტების ნარჩენებისგანაა შექმნილი“. ამრიგად, „ამერიკული გიგანტიზმს“ რუსულიც ზედ ერთვის და ევროპელი მწერალი ერთდროულად ორი, რუსულ-ამერიკული, გიგანტური ძალის პირისპირ აღმოჩნდება. ოღონდ ურიგო არ იქნებოდა იმის გახსენება, რომ 1990 წელს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძეა, ვინც სულ მალე საქართველოს მეორე პრეზიდენტი გახდება. სკულპტურის ავტორი კი ქართველი მოქანდაკე ზურაბ ნერეთელია, ვის სახელსაც არც ერთხელ არ ახსენებს ბეგბედერი. ეს მით უფრო გასაკვირია იმის გათვალისწინებით, რომ ბეგბედერისეული რომანი უბრალოდ მხატვრულ ნაწარმოებს კი არ წარმოადგენს, არამედ ეპოქის დოკუმენტურ ხატს ჰქმნის“.

საუბარია პოპულარული ფრანგი მწერლის ფრედერიკ ბეგბედერის ინგლისურ-სახელწოდებიან რომანზე „Windows on the World“, რომელიც 2003 წელს დაინერა და რომლის ქართული თარგმანი 2012 წელს გამოიცა თბილისში.

რა კარგი იქნებოდა, რომ ამ წიგნის ქართული გამოცემის გარეკანზე გამოცემლობის დიზაინერს „ტყუპებთან“ ერთად ზურაბ ნერეთლის იმ ცნობილი ქანდაკების ფოტოც გაეთამაშებინა! ეს ქანდაკება ხომ ბეგბედერის ამ ჰიპერრეალისტური რომანის ერთადერთი ილუსტრაციაა! მე არ ვიცი, რატომ გადაწყვიტა ავტორმა ასე — მიხდოდა, თბილისში მასთან შეხვედრისას მეკითხა კიდევ ამის შესახებ, მაგრამ სხვა კითხვები ვარჩიე და ეს მიმჩნა. არც ის ვიცი, როგორ არის ნინო ფირცხალავას მიერ ციტირებული მისი

სიტყვები ორიგინალში, მაგრამ თუ ქართული თარგმანი ზუსტია, ბეგბედერს, რომელიც წერს, ურჩხული თვითმფრინავის ფიუზელაჟს ჰგავს, ამ ქანდაკებისა დიდი ვერაფერი გაუგია!

რა თვითმფრინავის ფიუზელაჟი! რის რუსული თუ ამერიკული კოსმოსური რაკეტები!

მონუმენტის მთელი კონცეფცია ისაა, რომ ურჩხული, რომელსაც წმინდა გიორგი ამარცხებს, საბჭოთა „სს-20“-ისა და ამერიკული „პერშინგ-2“-ის ნამხვრევებზეა ამოზრდილი. ხოლო „სს-20“ თუ „პერშინგები“ სხვა და თვითმფრინავი თუ

უცნაური ქანდაკება: ეგვიპტის მუმბასავით გახვეული მწლიარე შემოქმედის ფიგურა, რომლის ბალუსტრადაზეც როდენის „მოაზროვნესავით“ დაყრდნობილია „ბოროტი გენია“. ნელში მოხრილი, ჩაფიქრებული, ნავარჯიშები, დაბალიცეპსებიანი ბოროტი გენია მონპარნასის კოშკს შეჰყურებს და თავისი წინგავარდნილი ნიკაპით თითქოს საყვედურს უთვლის მას. პოლაროიდი თვითონ ვულვებს „ბოროტი გენიას“ და იმას, რასაც უყურებს.“

დავანებოთ თავი „ბოროტი გენიის“ წინგავარდნილ ნიკაპს, რომელიც ბეგბედერს შეიძლება საკუთარ თავს(აც) აგო-



კოსმოსური რაკეტები — სხვა! ეს ნამსხვრევები მათი განადგურების შემდეგ ქართველმა მოქანდაკემ საგანგებოდ გამოსთხოვა ორივე ქვეყნის ხელისუფლებას. რა არის ეს — ავტორის არაინფორმირებულობა თუ „თარგმანში ჩაკარგვა“ — ალბათ სხვა დროს მექნება დასაზუსტებელი, მით უმეტეს, რომ ნინო ფირცხალავა ამ დეტალზე არ ამახვილებს ყურადღებას და მკითხველს სხვა მიგნებაზე დაფიქრებას სთავაზობს.

ისევ მაშა კალეკოს რომ დავესხებოთ, ნინო ფირცხალავას სტატიაში კარგად ჩანს, რომ იგი, როგორც მკვლევარი, არის Happy, რადგან, მისი აზრით, აღმოაჩინა ბეგბედერის ფრანგლისურში ჩაკარგული ქართული აფორიზმი, მაგრამ არ არის ბედნიერი, როგორც ქართველი.

ავტორს უყვირს, რომ ბეგბედერი არ ახსენებს ზურაბ ნერეთელს და მან არ იცის, რომ „1990 წელს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძეა, ვინც სულ მალე (სინამდვილეში — მთელი ხუთი წლის შემდეგ — 3.5.) საქართველოს მეორე პრეზიდენტი გახდება“, და თავის გაკვირვებას იმით ასახულებს, რომ „ბეგბედერისეული რომანი უბრალოდ მხატვრულ ნაწარმოებს კი არ წარმოადგენს, არამედ ეპოქის დოკუმენტურ ხატს ჰქმნის“.

ჰო, მაგრამ ამ ლოგიკით ბეგბედერს ხომ შეიძლება იმ ეპიზოდის გამოც ვუსაყვედუროთ, სადაც იგი ამერიკის მთავარ სიმბოლოს — თავისუფლების ქანდაკებას ახსენებს და სადაც ამბობს, რომ ეს ქანდაკება საფრანგეთმა აჩუქა ამერიკას, მაგრამ არ ახსენებს მის ავტორს — ფრედერიკ ოგიუსტ ბარტოლდის და მით უმეტეს არ აინტერესებს, რომ 1885 წელს, როცა საფრანგეთმა ამერიკის შეერთებულ შტატებს ასეთი ძვირფასი ძღვენი მიართვა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯერ კიდევ ანრი ბრისონია, ხოლო 1886 წლის 28 ოქტომბერს, როცა ქანდაკება საზეიმოდ გაიხსნა, იგი შარლ ფრეისინემ შეცვალა.

ამავე ლოგიკით შეიძლება ვინმემ იქნებ ისიც გაიკვიროს, რატომ არაფერია ბეგბედერთან ნათქვამი იმ კენოტაფის ავტორზე, რომელიც ბოდლერის ხსოვნისადმი მიუძღვნიათ მონპარნასის სასაფლაოზე და რომელსაც მწერალი ასე აღწერს თავის რომანში:

„სასაფლაოს მეორე მხარეს ბოდლერის სახელის უკვდავსაყოფად აღმართულია

ნებდეს და მთავარი ვთქვათ: ბოდლერის ამ კენოტაფის ავტორია ჟოზე დე შარმა, რომელსაც ეკუთვნის შარლ ოგიუსტენ დე სენტ-ბევის გენიალური ქანდაკება იმავე სასაფლაოზე, თუმცა ბეგბედერი მას ერთი სიტყვითაც არ ახსენებს იმ თავის ჰიპერრეალისტურ რომანში; არადა მისი ვინაობის დადგენა, რაც მეც არ გამჭირვებია, მისთვის დიდ სიძნელეს, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენდა.

საქმე ის გახლავთ, რომ არც ჟოზე დე შარმა, არც ფრედერიკ ოგიუსტ ბარტოლდის, არც ანრი ბრისონის, არც შარლ ფრეისინეს, არც ედუარდ შევარდნაძისა და არც ზურაბ ნერეთელის სახელების სხენება, როგორც ჩანს, არ არის მნიშვნელოვანი ბეგბედერისათვის, რადგან „ეპოქის დოკუმენტური ხატის“ შემქმნელი იყოს მისი რომანი.

ამ სახელების გამოფერა რომანის კომენტატორებისა და მთარგმნელების საქმეა თუნდაც რომანისავე სქოლიოებში. პასუხიც მათ უნდა მოეთხოვოთ. მით უმეტეს, რომ რომანის ქართული გამოცემას უხვად ერთვის სქოლიოები.

სხვებისა რა მოგახსენოთ და, ზურაბ ნერეთლის სახელის სქოლიოში მოუხსენებლობა მაქსიმალური ტაქტიკაა და კეთილგანწყობით ვუსაყვედურე კიდევ მთარგმნელსა და რედაქტორს 2016 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“ (№ 6, 25 მარტი-7 აპრილი) გამოქვეყნებულ ჩემს წერილში: „ფონაინოსნარკვი ბეგბედერობა თბილისში“:

„თბილისში სტუმრობის შემდეგ საქართველო და ქართველები შეიძლება კარგა მსუყედ გამოჩნდნენ ბეგბედერის რომანებში, მაგრამ აქამდე მე მასთან მხოლოდ ორიოდ ქართული შტრიხი მახსენებდა.

იმ ინგლისურსათაურიან რომანში ბეგბედერი ისე გულსახმობს ქართველ ადამიანს, რომ წარმოადგენს არა აქვს ამაზე, აი, რას წერს იგი:

„გაეროს ეზოში განლაგებულ ქანდაკებებს შორის ჩემს ყურადღებას წმინდა გიორგის გამოსახულება იპყრობს, რომელიც ურჩხულს განგმირავს. ურჩხული საოცრად ჰგავს თვითმფრინავის ფიუზელაჟს. მოძრავი ტელესადგურების მანქანები ქანდაკებას ეფარებიან. ეს მასიური ძეგლი, სახელწოდებით Good defeats evil, გაეროს 1990 წელს საბჭოთა კავშირმა აჩუქა. ის რუსული და ამერიკული კოსმოსური რაკეტების ნარჩენებისგანაა შექმნილი.

Good defeats evil! — ეს ბრძოლა მთელ მსოფლიოსა და თითოეულ ჩვენგანში მუდმივად მიმდინარეობს“.

ჩანს, ეს ქანდაკება რომანის ერთგვარი კონცეპტუალური სიმბოლოა, რადგან წიგნში ამ ქანდაკების ფოტოცაა დაბეჭდილი, რაც ამ რომანის ერთადერთი ილუსტრაციაა. ხოლო სქოლიოში ეს ინგლისური Good defeats evil ასეა განმარტებული: „სიკეთე ამარცხებს ბოროტებას“. კარგი იქნებოდა, მთარგმნელსა და რედაქტორს სცოტრაციაა. ხოლო სქოლიოში ეს ინგლისური Good defeats evil ასეა განმარტებული: „სიკეთე ამარცხებს ბოროტებას“. კარგი იქნებოდა, მთარგმნელსა და რედაქტორს სცოტრაციაა. ხოლო სქოლიოში ეს ინგლისური Good defeats evil ასეა განმარტებული: „სიკეთე ამარცხებს ბოროტებას“.

ნინო ფირცხალავა კი მეტისმეტს ითხოვს, ერთი მხრივ, ავტორისგან და, მეორე მხრივ, მთარგმნელისგან, როცა მათ „ქართული კვალის“ და რუსთველური აფორიზმის მიჩუმათებას უკითხინებს:

„...ნიშანდობლივია, რომ ბოროტისა და კეთილის მარადიულ ბრძოლაზე მსჯელობის ბეგბედერისეულ ფრანგლისურ ნაზავში უკიდურესად გაძნელებულია ქართული კვალის მიგნება: „Good Defeats Evil“: ce combat a lieu en chacun de nous toute la Journée, et en ce moment dans le monde“ — პალიტრა

L-ის მიერ გამოცემულ ია ბერსენიძისეულ თარგმანში კი ეს პასაჟი ასე იკითხება: „God Defeats Evil — ეს ბრძოლა მთელ მსოფლიოში და თითოეულ ჩვენგანში მუდმივად მიმდინარეობს“. ფრანგულ დედანში ქანდაკების ქართველი ავტორის ვინაობის ნებსით თუ უნებლიეთ მიჩუმათება უდავოდ განაპირობებს იმას, რომ რუსთაველის აფორიზმი პირწმინდადაა გამქრალი ბეგბედერის რომანის ქართულ თარგმანშიც. აქ მისი ნიშანწყალიც კი აღარაა შემორჩენილი. ეს გარეობა კიდევ უფრო საგრძნობი ხდება, როცა ფრანგულ დედანში სკულპტურის ინგლისურ-ფრანგული სახელწოდება Good defeats evil = Le Bien triomphe du Mal მთარგმნელისეულ კომენტარში საერთაშორისო ორგანიზაციის შესაფერის, სრულიად საქმიან, მშრალ საუწყებო ენაზეა გადმოტანილი, როგორც „სიკეთე ამარცხებს ბოროტებას“. ენობრივად ეს მართლაც ზუსტი და ადეკვატური თარგმანია, ოღონდ როგორც საზოგადოდ ერთი რომელიმე ცალკე აღებული ფრაზის და არა როგორც კონკრეტული სკულპტურული ნამუშევრის დასახელება (უნდა ითქვას, რომ მთარგმნელმა ბეგბედერის ტექსტის ქართულ ენაზე გადმოტანისას მნიშვნელოვანი შრომა გასწია და დედანში უხვად მოხსენიებულ ისტორიულ თუ რეალურ მოვლენებსა თუ პიროვნებებს მრავალრიცხოვანი კომენტარები (უნდა იყოს კომენტარი — 3.5.) მიუძღვნა. თუმცა მას აშკარად გამოჩნა ქართველი სკულპტორის ვინაობა და ამასთან ერთად გამოეპარა მისი ნაშრომის ავთენტურობის სახელწოდებაც. შედეგად კი, თვალსა და ხელს შუა გაქრა რუსთაველის აფორიზმიც და ის საერთაშორისო უწყების მკაცრად საქმიან საკანცელარო ენაში ჩაიკარგა; ხოლო მთარგმნელის მიერ ფრანგულ-ინგლისურ ნაზავში გამოტარებული და ბოლოს მშობლიურ ქართულ ენაში დაბრუნებული, ის მკვდრადნაშობი აღმოჩნდა“.

მე რომანის ავტორის, მისი ქართულად მთარგმნელისა და კომენტატორის, ისევე როგორც მისი რედაქტორის, ადვოკატად ვერ გამოვდგები. მათ მიმართ არაერთი შენიშვნა მაქვს, გამოთქმულიც და გამოუთქმელიც, მაგრამ ვერც ერთ მათგანს ვერ დავაბრალვებ:

რომ „ბეგბედერისეულ ფრანგლისურ ნაზავში უკიდურესად გაძნელებულია ქართული კვალის მიგნება“;

რომ „ფრანგულ დედანში ქანდაკების ქართველი ავტორის ვინაობის ნებსით თუ უნებლიეთ მიჩუმათება უდავოდ განაპირობებს იმას, რომ რუსთაველის აფორიზმი პირწმინდადაა გამქრალი ბეგბედერის რომანის ქართულ თარგმანშიც“ და რომ „აქ მისი ნიშანწყალიც კი აღარაა შემორჩენილი“;

რომ „ეს გარემოება კიდევ უფრო საგრძნობი ხდება, როცა ფრანგულ დედანში სკულპტურის ინგლისურ-ფრანგული სახელწოდება Good defeats evil = Le Bien triomphe du Mal მთარგმნელისეულ კომენტარში საერთაშორისო ორგანიზაციის შესაფერის, სრულიად საქმიან, მშრალ საუწყებო ენაზეა გადმოტანილი, როგორც „სიკეთე ამარცხებს ბოროტებას“;

რომ „ნიშანდობლივია, რომ ბოროტისა და კეთილის მარადიულ ბრძოლაზე მსჯელობის ბეგბედერისეულ ფრანგლისურ ნაზავში უკიდურესად გაძნელებულია ქართული კვალის მიგნება: „Good Defeats Evil“: ce combat a lieu en chacun de nous toute la Journée, et en ce moment dans le monde“ — პალიტრა L-ის მიერ გამოცემულ ია ბერსენიძისეულ თარგმანში კი ეს პასაჟი ასე იკითხება: „God Defeats Evil — ეს ბრძოლა მთელ მსოფლიოში და თითოეულ ჩვენგანში მუდმივად მიმდინარეობს“.

ფრანგულ დედანში ქანდაკების ქართველი ავტორის ვინაობის ნებსით თუ უნებლიეთ მიჩუმათება უდავოდ განაპირობებს იმას, რომ რუსთაველის აფორიზმი პირწმინდადაა გამქრალი ბეგბედერის რომანის ქართულ თარგმანშიც“ და რომ „აქ მისი ნიშანწყალიც კი აღარაა შემორჩენილი“;

რომ „ფრანგულ დედანში ქანდაკების ქართველი ავტორის ვინაობის ნებსით თუ უნებლიეთ მიჩუმათება უდავოდ განაპირობებს იმას, რომ რუსთაველის აფორიზმი პირწმინდადაა გამქრალი ბეგბედერის რომანის ქართულ თარგმანშიც“ და რომ „აქ მისი ნიშანწყალიც კი აღარაა შემორჩენილი“;

რომ „ნიშანდობლივია, რომ ბოროტისა და კეთილის მარადიულ ბრძოლაზე მსჯელობის ბეგბედერისეულ ფრანგლისურ ნაზავში უკიდურესად გაძნელებულია ქართული კვალის მიგნება: „Good Defeats Evil“: ce combat a lieu en chacun de nous toute la Journée, et en ce moment dans le monde“ — პალიტრა L-ის მიერ გამოცემულ ია ბერსენიძისეულ თარგმანში კი ეს პასაჟი ასე იკითხება: „God Defeats Evil — ეს ბრძოლა მთელ მსოფლიოში და თითოეულ ჩვენგანში მუდმივად მიმდინარეობს“.

ფრანგულ დედანში ქანდაკების ქართველი ავტორის ვინაობის ნებსით თუ უნებლიეთ მიჩუმათება უდავოდ განაპირობებს იმას, რომ რუსთაველის აფორიზმი პირწმინდადაა გამქრალი ბეგბედერის რომანის ქართულ თარგმანშიც“ და რომ „აქ მისი ნიშანწყალიც კი აღარაა შემორჩენილი“;

რადგან ბეგბედერს სულაც არ ჰქონია მიზნად ქართული კვალის ნარმოჩენა ან მიჩურმათება თავის რომანში;

რადგან არც წიგნის ორიგინალში და არც მის თარგმანში, არც პირწმინდად და არც საერთოდ არ გამქრალა ქართული აფორიზმი, რაკი ეს აფორიზმი მხოლოდ ქართველთათვის და მხოლოდ მინიმუმებით მოიაზრება ქანდაკების ორიგინალურ სახელწოდებაში;

რადგან მთარგმნელისეულ კომენტარში სკულპტურის ინგლისურ-ფრანგული სახელწოდება სახელობით სამართლიანად არის გადმოტანილი საერთაშორისო ორგანიზაციის შესავლერს, სრულად საქმიან, მშრალ საუნწყებო ენაზე.

„ბოროტსა სძლია კეთილმან“ — დიას, სწორედ ასე გვიქვია ქანდაკებას ქართულად, თუმცა ეს არ არის მისი ავთენტური სახელი. და არც აფორიზმი, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი გახლავთ. სრულად რუსთველური აფორიზმი, ნებისმიერი ქართველისათვის მართლა სკოლის მერხიდან რომ არის ცნობილი, ასე უღერს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელა“. შეიძლება ითქვას, რომ ამ აფორიზმის პირველი სამი სიტყვა არის არა ზურაბ წერეთლის ნამუშევრის „ავთენტური სახელწოდება“, რომელიც „ფრანგულ-ინგლისურ ნაზავში გამოტარებული და ბოლოს მშობლიურ ქართულ ენაში დაბრუნებული“ „მკვდარდნაში“ აღმოჩენილია, არამედ ნამუშევრის „ავთენტური სახელწოდების“ სწორად და ზუსტად მორგებული ქართული შესატყვისია, რომელიც შეიძლება ავტორსვე ეკუთვნის და რომელიც მისთვის იქნებ ერთგვარი ინსპირაცია იყო.

მოსკოვში შექმნილი და ნიუ-იორკისთვის განკუთვნილი ქანდაკების „ავთენტური სახელწოდება“ იმთავითვე რუსულ-ინგლისური გახლდათ — **Добро побеждает зло** და **Good defeats evil**. მე თუ მკითხავთ, დიდი ვერაფერი სახელწოდება ვერც ერთ და ვერც მეორე ენაზე. რუსულად ხომ სულაც ორმაგი გაგება აქვს და პირიქითაც შეიძლება იქნას გაგებული — კეთილსა სძლია ბოროტმა! მაგრამ ასეა და ჩვენ ვერაფერს გაგანყოფილ.

სადღეისოდ ვეფხისტყაოსნის ექვსი რუსული თარგმანი არსებობს და არცერთში „ბოროტსა სძლია კეთილმან“ ასეთ მკაცრად საკანცელირით ნიუ იორკის გადმოტანილი. აი, ინებეთ: **Зло слабей в игре бо- рений. Благо шествует, творя** (კონსტანტინ ბალმონტი); **Одолела добродетель, да главенствует она** (პანტელეიმონ პეტრენკო); **В мире зло недолговечно, а добро вовек царит** (გიორგი ცაგარელი); **Зло сразив, добро пребудет в этом мире бес- предельно** (შალვა ნუცუბიძე); **Зло убито добротой, доброте же нет предела** (ნიკოლაი ზაბოლოცკი); **Надо злом добро взяло верх, жизнь его прочна и долга!** (არჩილ ხალვაში).

რუსთველური აფორიზმთან წერეთლის ნიუიორკული ქანდაკების სახელწოდების პირდაპირი კავშირი არ ჩანს არც არა-ქართულ პრესაში და არც ზურაბ წერეთლისადმი მიძღვნილ გამოცემებში, მათ შორის არც ლეე კოლოდნის სოლიდურ მონოგრაფიაში „გული პალიტრაზე“ (**Сердце на палитре, Художник Зураб Церетели, Москва, 2005**).


ავტორს რომ სახელწოდებაში ამ აფორიზმის გათამაშება სდომებოდა, არ გაუჭირდებოდა ვეფხისტყაოსნის რომელიმე პოეტური თარგმანის (ხალვაშის თარგმანის გარდა, რადგან იგი მაშინ არ არსებობდა) შესაბამისი ფრაზა შეერჩია, თუნდაც ზაბოლოცკისა (**Зло убито добротой**), მაგრამ მას ეს არ გაუკეთებია. ჩანს, სწორედ ასეთი საკანცელირით ან უკეთ — პლაკატური სახელწოდება დაისაჭიროვა დრომ და ვითარებამ. და ტყუილად ეძებს ნინო ფირცხალავა ამ სახელწოდების ორიგინალში რუსთველის აფორიზმს და ტყუილად ამუნათებს ამის გამო ვიკიპედიას, რომელსაც თავისი ნამდვილი შეცოდებანიც ეყოფა:

„ნიშნადობლივია, რომ ზურაბ წერეთლის ხსენებული ქანდაკების სახელწოდების მოძიება ინტერნეტ-რესურსების მეშვეობით თითქმის ყველა ენაზეა შესაძლებელი. მარტო ვიკიპედია რომ ავიღოთ, აქ სკულპტურის სხვადასხვა ენაზე დასახელების უამრავი ვერსიაა შემოთავაზებული — **Wikipedia: Good Defeats Evil; Le Bien**

vainc Mal; Добро побеждает Зло; El bien derrota al mal. ოღონდ, სამწუხაროდ, ვიკიპედიის ზურაბ წერეთლის ბიოგრაფიის სწორედ ქართულენოვან ტექსტში არ იძებნება მისი შემოქმედებისთვის ასე მნიშვნელოვანი ამ ნაწარმოების ქართული სახელწოდება. არც სხვა ინტერნეტ-რესურსების მხრივ არის უკეთესი მდგომარეობა. გამოთქმის ალბათ მხოლოდ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიოგრაფიული ლექსიკონი ნარმოადგენს, სადაც გაეროს ეზოში განთავსებული ქართველი მოქანდაკის სკულპტურის დედნის შესაბამისი ავთენტური დასახელებაა მოცემული — „ბოროტსა სძლია კეთილმან“ (აშშ, 1990).

არა. „ბოროტსა სძლია კეთილმან“ ზურაბ წერეთლის სკულპტურის „ავთენტური დასახელება“ კი არა, მისი თარგმანი — დედანზე გაცილებით უკეთესი, მაგრამ მაინც თარგმანია.

ავთენტურობას რაც შეეხება, გაეროს ეზოში განთავსებულ ქართველი მოქანდაკის სკულპტურას, რომელიც არა-



ერთხელ მაქვს ნანახი „ლაივი“, რამდენადაც მახსოვს, ქართულად არაფერი აწერია. და ამოა ზურაბ წერეთლისივე დედანში რუსთველის აფორიზმის ძიება. (აქ რომ საუბრობო ამ ავტორს ან ამ ავტორს არ ეხებოდეს, აუცილებლად გავიხსენებდი ნიუ-იორკში გადაცხობრებული ცნობილი ქართველი კინომცოდნის ყბადაღებულ ფრაზას: რეიგანს ავიწყდება ქართული ანდაზა — რაც მოვიგო დავითარ, ყველა შენი თავითაო!)

მაშ, საიდან და როგორ გაჩნდა ზურაბ წერეთლის ნიუიორკული ქანდაკების სახელწოდების ქართულ შესატყვისად „ბოროტსა სძლია კეთილმან“?

ძველი 1990 წლის 5 ოქტომბერს გახსნა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც რუსულ ენაზე ნაიკითხა გორბაჩოვის წერილი. მისმა ამერიკელმა კოლეგამ ჯეიმს ბეიკერმა პრეზიდენტ ბუშის წერილი ნაიკითხა ინგლისურად. ინგლისურადვე წარმოთქვა თავისი სიტყვა გაეროს გენერალურმა მდივანმა. არც ერთ გამოსვლაში ქართული აფორიზმი ან რუსთველი არ უხსენებიათ.

ამერიკულ პრესაში ძველის გახსნა ფართოდ გაშუქდა, მაგრამ აფორიზმისა და რუსთველის შესახებ არც იქ თქმულა რამე. საბჭოთა პრესაში კი ეს მოვლენა საკმაოდ ძუნწად აისახა და ამას იგივე ლეე კოლოდნი თავის მონოგრაფიაში ასე ხსნის:

„ნიუ-იორკის ტრიუმფი ნამყვანი ამერიკული გაზეთების პირველ გვერდებზე მოხვდა, გადაიცა სატელევიზიო არხებით და შეუმჩნეველი დარჩა მოსკოვური პრესისა და ტელევიზიისთვის. ეს მოვლენა რომ არცთუ შორეულ წარსულში მომხდარიყო, ყველა გაზეთი, საკდესის არხებით გავრცელებული ბრძანებით, დაწვრილებით მოუთხრობდა მკითხველს „საბჭოთა ხელოვნების მორიგი ბრწყინვალე გამარჯვების“ შესახებ, ფიქრობდა აჩვენებდნენ, რომ ამერიკის უდიდეს ქალაქში საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს უდიდესი პატივი მიაგეს... რითი აიხსნება პრესის გულგრილი დამოკიდებულება? მხოლოდ იმით, რომ როცა დიდი პოლიტიკოსი სფეროებში გომბაჩოვი და შევარდნაძე ნარმატებას ნარმატებაზე აღწევდნენ, დაბალ დონეზე — ეკონომიკაში, საშინაო პოლიტიკაში, ეროვნებათშორის ურთიერთობებში მარცხი მარცხს მოსდევდა. ცარიელდებოდა სასურსათო მალაზიების და უნივერსიტეტების თაროები. გამძვინვარებული ბრბო ჯიხურების გისოსებია ფან-

ჯრებს აწყებოდა ერთი ბოთლი არყისათვის და მილიციას არ შეეძლო წესრიგის დამყარება“.

ამ ყველაფრის მიუხედავად, საბჭოთა პრესაში მაინც გავრცელდა საკდესის მოკლე კორესპონდენცია, მაგრამ არც იქ ყოფილა რუსთველისა და მისი აფორიზმის დამონშება. ქართულ პრესაში კი ამ კორესპონდენციის გადმოქართულებულ ტექსტს სათაურად სწორედ ის სამი სიტყვა უზის, რომელიც მერე ზურაბ წერეთლის ამ ქანდაკების ქართულ შესატყვისად დამკვიდრდა და რომელიც, ნინო ფირცხალავასი არ იყოს, მეც დიდად მენიანება. ეს სამი სიტყვა ტექსტშიც არის ნახსენები, თუმცა ქანდაკება ძირითადად მაინც უფრო მშრალი ენით — მეორე სახელწოდებით ანუ „მშვიდობის მონუმენტი“ არის მოხსენიებული: არ არის გამოიციხული, რომ ქანდაკების სახელწოდების გარუსთველურება საკდესის მასალის ქართულ ენაზე მთარგმნელთა მონადინებით მოხდა და არც ის არის გამოიციხული, რომ ამ თარგმანში წილი ქანდაკების ავტორსაც



უღვეს, რომელმაც მშვენივრად იცის რუსთველური აფორიზმი. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ქანდაკების ორიგინალურ დასახელებას რუსულ თუ ინგლისურ ენაზე ქართულად ყველაზე უფსტად სწორედ რუსთველის აფორიზმის ეს სამი სიტყვა შეესაბამება.

მე მოვიძიე საკდესის მაშინდელი კორესპონდენცია, 1990 წელს გაზეთ „სამშობლო“ 21-ე ნომერში დაბეჭდილი:

„გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. 6 ოქტომბერი (საკდესის კორესპონდენტები ევგენი მენკესი, გიორგი შმელიოვი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გაიმართა ცნობილი ქართველი მოქანდაკის ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი მონუმენტის გახსნის საზეიმო ცერემონიალი.“

გაეროს შტაბ-ბინის შენობათა კომპლექსის წინ, მდებარე, პარასკევს დიდძალი ხალხი შეიკრიბა. მათ შორის იყვნენ დიპლომატები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს თანამშრომლები, ჟურნალისტები. თავის ახალ სკულპტურულ კომპოზიციას ავტორმა ასე უწოდა: „ბოროტსა სძლია კეთილმან“ — ყალყზე შემდგარ რაშზე ამხედრებული ბრინჯაოს წმინდა გიორგი შუბით გმირავს ორ ურჩხულს. ხელოვნება ტრადიციული სახე თანამედროვეობას შეუსატყვისა: ურჩხულთა სხეულებში მოჩანს... რაკეტების ნამსხვრევები — ეს არის ამერიკული „პერსინგ-2“ და საბჭოთა „სს-20“. რაკეტები ნამდვილია. ისინი ხელშეკრულების თანახმად უნდა გაენადგურებინათ და უკვე მუხტება მოცილებული, მოქანდაკის თხოვნით, მას გადასცეს საბჭოთა და ამერიკელმა სამხედროებმა.

საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით და ავტორის თხოვნით, რომელიც ცერემონიალს ესწრებოდა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ კომპოზიცია ძღვნად გადასცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ედუარდ შევარდნაძემ ცერემონიაზე ნაიკითხა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი. საშუალო სიშორისი ლიკვირებული რაკეტების ნამუშევრისაგან შესრულებული „მშვიდობის მონუმენტის“ გახსნა ეძღვნება ისტორიაში პირველი რეალური განიარაღების დაწყებას, ნათქვამია წერილში. ეს არის საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის ახალი ხასიათის

სიმბოლოც და კაცობრიობის ცხოვრების მშვიდობიანი პერიოდის მაცნებელი. დაე, „მშვიდობის მონუმენტი“ ახორციელებდეს სახელმწიფოებისა და ერების, საზოგადოებრივი მოძრაობებისა და პარტიების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების ერთიანობას მშვიდობისა და თანხმობის სასიკეთო ძალისხმევაში, ან და მარადის, — ნათქვამია დასასრულ წერილში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელით „მშვიდობის მონუმენტი“ ჩაიბარა ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰაიეკერ პერეს დე კუელარმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიოში მიმდინარე პოზიტიურ ცვლილებებს, კერძოდ დაძაბულობის შესუსტებას საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა მაღალი შეფასება მისცა ქართველი ხელოვანის სკულპტურულ კომპოზიციას.

ცერემონიაზე გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა ნაიკითხა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მისალმება, რომელშიც ხაზგასმულია, თუ რაოდენ დროულია ასეთი ქანდაკების გახსნა სწორედ ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა ახალ ფაზაში შედის. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეტი რომ არ ვთქვათ, ნაძაბადევი ჩანს ნინო ფირცხალავას დასკვნა:

„ამგვარად, სკულპტურის ქართველი ავტორის სახელთან ერთად აღმოჩნდება დაკარგული ბოროტისა და კეთილის მარადიული ორთაბრძოლის ქართული ფორმულაც: „ბოროტსა სძლია კეთილმან“ ბეგბედერის მიერ მომავლის ენად გამოცხადებულ „ფრანგლისურში“, რომლის გენეზისი მეტად საინტერესო კულტურულ-ისტორიულ პროცესებთანაა დაკავშირებული“.

და პროფესორი ნინო ფირცხალავა თავის სტატიაში მართლა მეტისმეტად საინტერესოდ მიმოიხილავს ამ „მეტად საინტერესო კულტურულ-ისტორიულ პროცესებს“, რითაც მე, როგორც ნამდვილ ლიბროკუბიკულარისტს, აკი ზემოთაც ვთქვი, დიდ happiness-ს მანიჭებს.

დაიას, ერთი მხრივ, მე ვარ happy, რადგან სხვადასხვა მიაქცია ყურადღება ბეგბედერის რომანში ჩამალულ „ქართულ კვალს“, რომლის მიგნება, მისი სიტყვებით, „უკიდურესად გაძნელებულია“ და იგი ისეა აღტაცებული თავისი აღმოჩენით, რომ „ქართული აფორიზმი“ სრულიად დაუმსახურებლად სათაურშიც გაუტანია. მაგრამ, მეორე მხრივ, არა ვარ ბედნიერი, რადგან არც მან და არც მისმა რედაქტორებმა არ მიაქციეს ყურადღება, რომ მანამდე მთელი სამი წლით ადრე ზუსტად იმავე „ქართულ კვალს“ ბეგბედერის ზუსტად იმავე რომანში სხვადასხვა მიაქცია ყურადღება! არადა, რა კარგი იქნებოდა, რომ საკუთარი მიგნებით აღფრთოვანებამდე სხვათა მიგნებებსაც გავცნობოდი, თუნდაც იმავე ინტერნეტრესურსების მეშვეობით, სადაც ზურაბ წერეთლის ქანდაკების სახელწოდებას ვეძებდი. განა რა მდენი პუბლიკაციაა ბეგბედერის შესახებ ქართულ ენაზე, რომ ამას დიდი დრო და ენერგია წაეღო?! მით უმეტეს, თუ ჩვენი აღმოჩენის სათაურში გატანასაც ვაპირებთ.

საერთოდ, აქ ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ერთი დასანანი ნაკლი იკვეთება: ყველანი ჩვენ ჩვენ ვიხარებთ — მწერლებიც, პოეტებიც, კრიტიკოსებიც, მეცნიერებიც, მთარგმნელებიც, რედაქტორებიცა და მკითხველებიც!

ვინძლო ერთმანეთის ნაწერებიც გვეკითხა, ჩემო ძვირფასებო! ვინძლო ერთმანეთის ჟურნალ-გაზეთებზე ავკვლო ხელში! იქნებ ერთიანი ლიტერატურული პროცესის ნაწილად გვეგარძნო თავი და იქნებ აღარც ამერიკების ხელახლა აღმოჩენა დაგვჭირებოდა და აღარც ევლოსიპედების გამოგონება!

სწორედ ამის გათვალისწინებით, „ლიტერატურული გაზეთის“ ერთგულ და გემოვნებთან მკითხველს მინდა დაბეჯითებით ვურჩიო, აუცილებლად ნაიკითხოს ნინო ფირცხალავას ეს მართლა უაღრესად საინტერესო სტატია დასტურ კარგი ჟურნალის წლებანდელ პირველ ნომერში.



ეპიკოსი

ყოველდღე ნაშუადღევს ჩამოვივლიან ხოლმე. კაცი სუფთა კოსტუმითა და რუხი ქუდით, ყოველთვის მონესრიგებული საყელოთი და ჰალსტუხით, ქალი კი კოპონია, მონითული კაბითა და ფარფლებიანი მზის ქუდით.

ალბათ, სამოცი წლისანი იქნებოდნენ. კაცი ბრმაა, ბორძიკით და უღონოდ მოძრაობს. განუწყვეტლივ ლაპარაკობს და დაძარღვულ ხელებს იქნევს. ქალს ყოველდღიურად მიჰყავს საკათედრო ტაძართან სამათხოვროდ, მზის ჩასვლისას კი მასთან მიდის და შინ ბრუნდებიან.

ქალის სახე არ მენახა, ვიდრე სპრეტლინგმა აივნებიდან არ გასძახა. მან ჯერ ორივე მხარეს და მერე უკან გაიხედა ისე, რომ ჩვენ არ დავუნახივართ. როცა სპრეტლინგმა მეორედ გასძახა, ქალმა ამოიხედა. შავგვრემანი იყო, გნომივით უახაკო და მხიარული უკბილო სახე ჰქონდა — ცხვირის წვერი და ნიკაბი გაერთიანებული.

„გეჩქარება?“ — ჰკითხა სპრეტლინგმა. „რა გინდა?“ — დაუბრუნა კითხვა მკაფიო ხმით. „შენი ესკიზი მინდა, გავაკეთო“.

ქალი დაკვირვებით უყურებდა სპრეტლინგს, თუმცა ვერაფერს მიხვდა. „მინდა, რომ შენი სურათი დავხატო.“ — აუხსნა მან.

„აქ ჩამოდი.“ — უპასუხა ქალმა სხარტად და თან გაუღიმა.

მერე უსინათლოს მიმართა და ისიც მორჩილად შეეცადა, ჩამომჯდარიყო ბაღის ცემენტის ღობის კედელზე, მაგრამ მიმედ დაეცა და გამველი დაეხმარა ნაამოდგომაში. დავტოვე სპრეტლინგი, რომელიც ციებ-ციხელებიანივით ეძებდა ფანქარს და სკამით ხელში ჩაივინა და დავინახე, რომ ქალი, ფაქტობრივად, ცახცახებდა — ასაკის გამო კი არა, არამედ ამო სიამოვნებისაგან.

„დაჯექი, ჯოჯო“ — მბრძანებლური კილოთი უთხრა ქალმა და ისიც დაჯდა. მისი უსინათლო სახე აღვსილი იყო იმ შორეული, ღვთიური სიმშვიდით, რომელიც მხოლოდ ბრძემბს ახასიათებთ. სპრეტლინგი გამორჩნდა თავისი ესკიზების საქალაქო ხელში. ქალი დადგა კაცის გვერდით და ხელი მხარზე დაადო: სპრეტლინგი მაშინვე მიხვდა, რომ სწორედ ასე იქნებოდნენ საქორწინო ფოტოზე აღბეჭდილნი. ის ისევ პატარა იყო; იმ მშვენიერი რომანტიკული განწყობის უნარით, რომლისგანაც მხოლოდ სიკვდილი შეუძლია ჩვენი განძარცვა. თითქოს ახლაც ეცვა აბრეშუმის კაბა (ან მისი მსგავსი რამ) და სამკაულებით იყო მორთული, თავზე გვირგვინით და ვუაღით. და, ალბათ, თაიგულით ხელში. კვლავ პატარა იყო, ახალგაზრდა და მშვენიერი, რომელსაც ათრთოლებული ხელი ედო ახალგაზრდა ჯოჯოს მხარზე; ჯოჯო მის გვერდით ისევ იმ არსებად იქცა, რომელიც გულისცემას უჩქარებდა შიშით, თავყანისცემითა და თავმომწონეობით — იყო ამაში რაღაც, რაც ოდნავ აკრთობდა. შემთხვევითი გამველიც გრძობდა ამას და მჭერდებოდა, რომ შეეხედა მათთვის. უსინათლო ჯოჯომაც კი იგრძნო ხელისგან, მხარზე რომ ედო.

ქალის ოცნებამ შემოსა ის ახალგაზრდობითა და სიამაყით. მან ყველაფერი ისე აღიქვა, როგორც უკვე განცდილი და შეუძლებელი დამოკიდებულება იმ კაცსა და პატარადას შორის, რომელთა ფოტოც გადაღებული იყო 1880 წელს.

„არა, არა“ — უთხრა სპრეტლინგმა — „ასე არა“. ქალს ნირი ნაუხდა. „მისკენ შებრუნდი, მას შეხედე.“ — დაუმატა სწრაფად. ის დაემორჩილა სპრეტლინგს და ჯერ კიდევ სახით ჩვენკენ იყურებოდა.

„თავი შეაბრუნე და მას შეხედე.“

„მაშინ ჩემი სახის დანახვას ვერ შეძლებ.“ — შეენინააღმდეგა ქალი.

„შეეძლებ. გარდა ამისა, შენს სახეს მოგვიანებით დავხატავ.“

დამშვიდებულს ღიმილმა მილიონობით პანანინა ამოკვეთილ ნაოჭებად გადაურბინა სახეზე, და ისე დადგა, როგორც სპრეტლინგს უნდოდა. ახლა უცებ ჩვეულებრივ დედაკაცად იქცა. ის უკვე აღარ იყო პატარა; ის უკვე დიდი ხნის დაქორწინებული იყო იმისთვის, რომ სცოდნოდა, ჯოჯო არ იყო ის კაცი, რომელ-

იც შეიძლებოდა ვნებინა და გვერდობდა ან მორიდება გქონოდა. მაგრამ, პირიქით, არც ის კაცი იყო, რომლის აბუჩად აგდებაც შეიძლებოდა; ბოლოს და ბოლოს, ის მხოლოდ ზორბა, უგერგილო ბავშვი იყო (იცოდი, რომ ბავშვებიც გააჩინა — და ერთი დაკარგა კიდევ). მაგრამ ჯოჯო მას ეკუთვნოდა და ვინმე სხვაც, ალბათ, ასეთივე ცუდი იქნებოდა. მასზე იყო დამოკიდებული, რომ ყველაფერი ეს საუკეთესოდ წარმოეჩინა, როდესაც იხსენებდა წარსულ დღეებს.

და ჯოჯო, გრძობდა რა ქალის განწყობას, როცა მას ხელი მხარზე ედო, აღარ იყო ჩვეულებრივი მამრი. და ის იხსენებდა გარდასულ დღეებს, როცა სიმშვიდის მოსაპოვებლად მივიდა მასთან და ქალში ჩაისახა ახალი ოცნება. სიამაყის გრძობა გაუქრა და წყნარად იჯდა, სანამ ქალს ხელი მის მხარზე ედო, თუმცა კაცი უმწეოდ გრძობდა თავს, შემწეობა მაინც სჭირდებოდა, უსინათლო და იმ ღმერთივით მშვიდი, რომელსაც ორივე — სიცოცხლეს და სიკვდილს — უნახავს და არცერთ მათგანში არაფერი ღირებული არ უპოვნია.

სპრეტლინგმა ხატვა დაამთავრა.

„ახლა სახე“ — შეახსენა ქალმა სწრაფად.

და ახლა მის სახეში იყო რაღაც, რაც მის სახეს არ ჰგავდა. ამჯერად ეს უკავშირდებოდა მის გაურკვეველ, ამოუცნობ რამეს. პოზირებდა? როცა ვუყურებდი, ამაზე ვფიქრობდი. სახე სპრეტლინგისკენ ჰქონდა მიბრუნებული. მაგრამ არ მჯერა, მისი თვალები ან სპრეტლინგს, ან მის უკან კედელს რომ შეჰყურებდნენ. მას თვალებში შორსმჭვრეტელური გამოხედვა ჰქონდა, თუმცა იყო მასში რაღაც პირადული, თითქოს, ვიღაცამ სათაყვანებელ ღმერთს ყურში ჩასწურულა და დედაური და კოლოსალური ოხუნჯობა.

სპრეტლინგმა ხატვა დაასრულა და სახე ისევ სამოცი წლის ქალის სახედ იქცა, უკბილო და გნომივით მხიარული. მივიდა ესკიზის სანახავად და ხელში აიღო.

„ფული გაქვს?“ — სპრეტლინგმა მკითხა.

თხუთმეტი ცენტი მქონდა. ქალმა უკომენტაროდ დააბრუნა ესკიზი და მონეტები აიღო.

„გმადლობ“ — თქვა მან. ხელით შეეხო თავის ქმარს და ისიც ნაშობდა. „გმადლობთ სკამისთვის“ — მითხრა თავდაკვრით და შემომღიმა, და თვალი გაეყარა, თუ როგორ მიუყვებოდნენ ხეივანს, და ვფიქრობდი, ნეტავ რა დავინახე მის სახეში — ან დავინახე კი რამე?

სპრეტლინგს მივუბრუნდი. „აბა, მაჩვენე.“

ის ესკიზს მიშტერებოდა. „ეშმაკმა დალაზვროს“ — თქვა მან. ესკიზს დახედე. და მაშინ მიხვდი, თუ რა დავინახე ქალის სახეში. მთლიანი სახის ესკიზს ზუსტად ისეთივე გამოიმეტყველება ჰქონდა, როგორც მონა ღიზას.

ეჰ! ქალბო! მხოლოდ მათ აქვთ მარადიული ასაკი! მარადიულობას ხომ ასაკი არ გააჩნია.

16 აგვისტო, 1925

როზარიუმი

მისტარ ჰარისს ორი რამ სძულდა: მისი მეზობელი ხუან ვენტურია და სიმღერა სახელად „როზარიუმი“. დაუოკებელი

აღტაცება ეუფლებოდა იმის გამო, რომ ვერ გაერკვია, ამ ორში რომელი უფრო სძულდა. მაშინ, იმ დღეებში, ვენტურია თავისი კარ-მიდამო რომ დაასუფთავა, ნაგავი და თუნუქის ქილები შეაგროვა, მკვდარი კატაც კი და მისტერ ჰარისის ეზოს მხარეს გადაყარა, თუ მაშინ, როცა მისტერ ჰარისის საყვარელი წინილა გადავიდა ვენტურია მდამოებში და, მოულოდნელად, სული გააფრთხო. და მისტერ ჰარისი მიხვდა, რომ მთელი ძალით ისე შეიძულა ვენტურია, როგორც ამ ქვეყანაზე არავინ არავის სძულებია. მაგრამ, როდესაც მისმა ცოლმა და ქალიშვილებმა აიძულეს, რომ დასწრებოდა ორ მუსიკალურ საზეიმო წვეულებას, სადაც წვერმომშვებული, მოუვლელი უცხოელები, რომელთაც ინგლისურად ლაპარაკიც არ შეეძლოთ და არც დაკვრის უნარი ჰქონდათ, ნაღვლიანი სახით აწრინებდნენ ვიოლინებს, მისტერ ჰარისმა იგრძნო, რომ „როზარიუმზე“ უარესი მელოდია არ არსებობდა. ხუან ვენტურია, თავის მხრივ, არც არაფერი იცოდა და არც ენაღვლებოდა „როზარიუმის“ ჯოჯოხეთური ხმების შესახებ. ის უცოლო იყო და, აქედან გამომდინარე, არც ისეთ



უილიამ ფოლკნერი

კონცერტებს ესწრებოდა, რომელიც მისტერ ჰარისს ასე აცოფებდა. მისტერ ჰარისი ფიქრობდა, რომ პოლიციას რაღაც უნდა ელონა ამის მოსაგვარებლად. ვენტურია სიცოცხლით ტყებოდა: ფულსაც აკეთებდა, სადმე რესტორანში მეგობრებსაც ხვდებოდა. თავის ნებაზე, სადაც უნდოდა, იქ მიდიოდა და მოდიოდა. ასე რომ, მას შეეძლო, შემოენახა მთელი თავისი სიძულვილი მისტერ ჰარისისა და მისი ქათმებისთვის, კატისა და სახლისთვის. და ყველაფერი იმის მიმართ, რასაც მისტერ ჰარისი ფლობდა ან მოსწონდა.

ცხოვრება ნამდვილად მშვენიერი იყო. შეეძლო, თვალ-ყური ედევნებინა მისტერ ჰარისისთვის და „როზარიუმის“ მელოდია დაესტინა, როდესაც ახლოს ჩაუვლიდა, ყურნალებში გამოქვეყნებულ ყველა რეკლამას პასუხობდა, ყველა ის ნამალი ჰქონდა, რაც გამოიყენებოდა ქეცისა თუ თამბაქოს მონევის საწინააღმდეგოდ. აგრეთვე, თავის მოვლის საშუალებები, სამზარეულოს აღჭურვილობა და სხვა. ყველაფერ ამის მოტანის საფასურის ქვი-



თარს კი მისტერ ჰარისს უგზავნიდა, და მერე ჩაჯდებოდა თავის საყარებელში და უსმენდა, თუ რა ამოვლ ღრიალებდა მისტერ ჰარისი.

ერთ დღეს მისტერ ჰარისი თავის ჩვეულ საათებში არ გამოჩნდა და ვენტურია, რადგანაც მისტერ ჰარისი ვერ ჩაივლიდა და ვერც ის დაუსტვენდა მისთვის „როზარიუმს“, იგრძნო, რომ მტერმა განზრახ მიაყენა ეს ზიანი. მაგრამ, როდესაც გაიგო, რომ მისტერ ჰარისი ავად იყო, მწუხარებამ შეიპყრო. მთელი დღე თავის მაღაზიაში იჯდა და ხითხითებდა, და დროდადრო ხარხარში გადადიოდა, რაც შიშის ზარს სცემდა მეპატრონეებს. საღამოს, კაფეში, თავს მხიარულად და ხალისიანად გრძობდა, და თავის თანმხლებთ ლამის სიცილით გუდავდა. მოგვიანებით, როცა საწოლში ინვა, წრიალებდა და ხითხითებდა, საშინელმა აზრმა გაუელვა თავში. მისი მტერი რომ მოკვდეს! მისი შურისძიება ველარ მისწვდეს! გაიანზრა ყველა შესაძლებლობა, თუ რით შეეძლო ზიანი მიეყენებინა მისტერ ჰარისისთვის და სიხარული გაუნელდა. რამდენიმე ყვითელი, ჭუჭყიანი ქათმის მოკვლა და ცოტაოდენი ნაგვის გადაყრა მის ეზოში — რა იყო იმასთან შედარებით, რისი გაკეთებაც შეეძლო მისთვის. არაფერი და უფრო ნაკლები, ვიდრე არაფერი. ეს ბავშვური ოიხები იყო, ასეთ რამეებს ათი წლის ბავშვიც კი მოიფიქრებდა. მაგრამ ის, ვენტურია, ხომ კაცი იყო: მას შეეძლო, მოეფიქრებინა ისეთი რამ, რაც მის მტერს საწოლს მიაჯაჭვავდა და კარგა ხნით ადრე მისი სიკვდილი ელდა. ახლა კი, ძალიან გვიანი იყო. მისი მტერი მიუწვდომელი გახდა და ზიანს ველარაფერი მიაყენებდა! თავის თავს წყველიდა და ტივინს იჩყვებდა.

ნუთუ მტერი ასე გაუსხლტებოდა ხელიდან! თუ მისტერ ჰარისი მოკვდებოდა, მაშინ ვენტურია საცოდავ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა: იძულებული იქნებოდა, რომ თვითონაც მომკვდარიყო და მტერს განსანმენდელში გაჰყოლოდა და ამით დამთავრდებოდა მისი საქმიანობა, რასაც ბოროტმოქმედებით უარყოფდა ცხოვრებაში. ნეტავ თუ იყო რაიმე ისეთი, რისი გაკეთებაც შეეძლო მანამ, სანამ მისი მტერი მოკვდებოდა! აქეთ-იქით წრიალებდა და ტრიალებდა, დროდადრო ცოტა ხნით ეძინა და მერე ისევ იღვიძებდა, გმინავდა და მისტიროდა თავის დაკარგულ შესაძლებლობებს. რამდენი რამის მოფიქრება შეეძლო ახლა, როცა უკვე ასე დაგვიანებული იყო! მას ჯერ კიდევ შეეძლო, ცეცხლი წაეკიდებინა მისტერ ჰარისის სახლისთვის, მაგრამ ამას დაპატიმრების საშიშროება მოსდევდა. აქედან გამომდინარე, ნაწილი მისი სასონარკვეთილი მძვინვარებისა გადავიდა პოლიციაზე. ხელსაყრელი შემთხვევა, მთავრობა, ყველაფერი მის წინააღმდეგ იყო...

უცერად გამოფხიზლდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი თვლებიდან. ფანჯრის იქით რუხი წყვილი ჩამოწოლილიყო. ფურგონმა რახრახით ჩაიარა და მდინარის მხრიდან გემის საყვარის ხრინჩიანი ხმა მოისმა. ვენტურია საწოლიდან წამოხტა და ჩაიხშო გამარჯვების ყვირილი. ბოლოს და ბოლოს, მიაგნო, რაზედაც ოცნებობდა. რა უბრალო და რა დიდებული იყო! ეს მის მტერს ისე აცახცახებდა, რომ სიკვდილამდე მიიყვანს. ეს კოლოსალური რამ იყო. მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა. „რატომ, ოჰ, რატომ არ მომადიქრდა უფრო ადრე?“ — ამოვიგინა მან. „ამით შემიძლო, ჭკუიდან გადამეყვანა, ამით სულ გამოვთავყვანებდი, ავანჩავლებდი და ავატირებდი, თავს იატაკზე ვარტყმევინებდი!“ ის ახლავე გაიქცეოდა სახლიდან, რომ ყველაფერი ეს სისრულეში მოეყვანა, მერე ისევ დაუბრუნდა სალი აზროვნება. საბნის ქვეშ შეძვრა. ინვა და ეშმაკისეული, მოუთმენელი ნეტარებით ავითარებდა თავის სქემას, ვიდრე არ დაათენდა. ნაჩქარევად ისაუზმა, დაექტა თავისი მაღაზია და თავქუდმოგლეჯილი გაეშურა როიალ სტრიტისაკენ. ლომბარდის წინ გაჩერდა, შემდეგ შევიდა და გაუჩინარდა. რამდენიმე წუთის მოგვიანებით ისევ გამოჩნდა ილიის ქვეშ ამოდებული, გაზეთში გახვეული მოგრძო, საკმაოდ მოზრდილი ნივთით. შეუხვია როიალ სტრიტზე თავისი მაღაზიის მოპირდაპირე მხარეს და მერე მთელი დღის განმავლობაში მის მაღაზიას ბოქლომი ედო და და-

კეტილი იყო, მთელი კვირა კი მასთან მიმს-
ვლელ-მომსვლელებს წარმოდგენაც არ
ჰქონდათ, სად იყო.

მისტერ ჰარისი სახლში იწვა და
ფილტვების ანთების შეტევით იტანჯებო-
და. დროდადრო, როცა გონზე მოდიოდა,
დროს პოულობდა, რომ დაინტერესებუ-
ლიყო, რას აკეთებდა ვენტურია, რა ოინებს
იგონებდა. მან იცოდა, რომ მშვიდად
სიკვდილს არ დააცლიდა. მისგან ნებისმი-
ერ რამეს მოელოდა, რაიმე ძალმომრეო-
ბითს, ხმაურის მსგავსს, რაც კი მისი მტრის
ბავშვურ გონებას შეეძლო, განეზრახა. მა-
გრამ დღე დღეს მისდევდა და არაფერი
ხდებოდა და მისტერ ჰარისი ამან, ცოტა
არ იყოს, შეაშინა. ეს იმ აფეთქების მოლო-
დინს ჰგავდა, რომელმაც, რატომღაც,
დაიგვიანა. რაღაცას მოელოდა ყოველ
წუთს და შიში იმდენად აკრთობდა, რომ
ერჩივნა, ეს აფეთქება უკვე მომხდარიყო
კიდევ. „ნეტავ, დროზე გაართმევდეს
თავს“ — ფიქრობდა შიშით აღვსილი სწეუ-
ლი კაცი, „მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრ-
ძელდება“ — არწმუნებდა თავის თავს.
„უკვე სიკვდილის პირას ვარ; ის მხეცი,
მადლობა ღმერთს, უკვე ვეღარ მომწვე-
ბა. და, მადლობა ღმერთს, რომ უკვე აღარ
მომინვეს კონცერტებზე სიარული. ბოლოს
და ბოლოს, სიკვდილი არც ისე ცუდია“ —
ფიქრობდა მისტერ ჰარისი, ისევე,
როგორც მასზე ადრე წასული მრავალი
აღამიანი.

ამ დროს რას აკეთებდა ვენტურია?
უკვე ამ შეკითხვას უსვამდნენ ერთმანეთს
ის ნაცნობები, რომელთაც მისი ნახვა
სურდათ, მაგრამ ვეღარ ხედავდნენ.
არავის უნახავს. მაღაზიაში იშვიათად
გამოჩნდებოდა ხოლმე, და როცა კი იქ იყო,
იჯდა და დაჟინებით მიმტერებოდა
კედელს. ერთმანეთზე მჭიდროდ ჩაკიდ-
ებულ ხელებს წინ იშვებდა, ქამრის სიმაღ-
ლეზე, მაშინ, როდესაც ჭუჭყიან, დაჭიმულ
თითებს გამუდმებით ამოძრავებდა,
თითქოსდა მოუქნელი, მაგრამ რთული
ჟესტების ენით, რაღაცას გამოხატავდა.
გამვლელი გაოცებულები მიმტერებოდ-
ნენ და პატარა, ონავარი ქუჩის ბიჭებიც
სიამოვნებით შეჰყურებდნენ მის დაძაბულ,
შეჭმუნხულ სახეს და მოხრილი ხელების
მყარ მოძრაობას. შეზინდებისას დახურავ-
და თავის მაღაზიას, მიათრევდა მძიმე, შე-
ფუთულ საგანს და მიდიოდა. შუალამისას,
დასაძინებლად ბრუნდებოდა, თან ჩუმ-ჩუმად
ხითხითებდა, ოცნებობდა თავის
შურისძიებაზე.

ბოლოს და ბოლოს, ის დღეც დადგა.
ახლა, როდესაც ეს დრო ახლოვდებოდა,
ვენტურიას მღვდლად დაეცხრა. მშ-
ვიდად იყო და თავისი დასახული მიზნის
განხორციელებას ელოდა. ადგა, აუჩ-
ქარებლად ისაუბრა, გაიპარსა და ჩაიცვა
თავისი საკვირაო კოსტუმი და თეთრი
პერანგი. ფეხსაცმელები გაიპრიალა და
თმები გაისწორა, გაიპოხა სურნელოვანი
ხეითი. შემდეგ აიღო თავისი შეფუთული
ნივთი, გადაჭრა თავისი ეზო და პირდა-
პირ გაემართა იმ ფანჯრისკენ, სადაც
სწეული იწვა.

ზემოთ აიხედა და ჟინმორეულად შეხე-
და მისი მტრის სახლის ყრუ კედელს. ისე-
თი გრძობა ჰქონდა, თითქოს მისი მზერა
შეიჭრებოდა კედლებში და იმ ოთახში აღ-
მორჩნდებოდა, სადაც ის კაცი იწვა. მერე
ნელა შემოსწრა ჭუჭყიანი და დაფლეთილი
გაზეთი თავის შურისძიების საგანს.

თუმცა, მისტერ ჰარისი იმ ოთახში
აღარ იყო. იმ სანოლთან, სადაც მისტერ
ჰარისი იწვა და ელოდებოდა, ახლა რა ოინს
მოუწყობდა ვენტურია, მისი ცოლი და
ქალიშვილები იდგნენ. მაგრამ მისტერ ჰა-
რისი უკვე იქ იყო წასული, სადაც ამ ქვეყ-
ნის ვენტურიები ვეღარ შეაწუხებდნენ, სა-
დაც დაკლულ ქათმებს და მის ეზოში მკე-
დარ კატებსაც კი მისი შეხედვით დაეკარ-
გათ. ფანჯრის ქვეშ კი მოულოდნელად
გაისმა საქაფონის სულისშემძვრელი, გამ-
აყრუებელი ხმა, რომელსაც გამოუცდელი
არაპროფესიონალი უკრავდა.

მელოდია თითქოს არაფრისმთქმელი
იყო, თითქოს ორი მელოდია ერთდროუ-
ლად გაისმოდა. ის გაჰყვიროდა, კნაოდა
და ქვითინებდა. ეს ხმა განთიადს ავსებდა
და ლავგანდარში შეეყუჟულ, მტვრიან
ბელურებს აფრთხობდა და მიმოფანტავდა.

მხოლოდ ვენტურიამ და მისტერ ჰა-
რისმა თუ იცოდნენ, რომ ეს იყო „როზარ-
იუმი“.

3 მაისი, 1925

ღვთის საუფლო

მანძანა სწრაფად მიქროდა დეკა-
ტურის ქუჩაზე და როცა ხეივანის გზაზე
შეუხვია, გაჩერდა კიდევ. მანქანიდან ორი
კაცი გადმოვიდა, ერთი კი სადაც იჯდა,
იქვე დარჩა. იქ მჯდომი კაცის სახე ბუნ-
დოვანი და უსიცოცხლო ჩანდა — ტუჩებ-
მორღვეული, ღილილოებით ნათელი,
ცისფერი თვალები ჰქონდა, ყოველგვარი
აზრისგან დაცლილი; იდო, როგორც
უფორმო, ჭუჭყიანი მასა, როგორც უგონო
სიცოცხლე, როგორც უინტელექტო ორ-
განიზმი და მაინც მის დაცარიელებულ
სახეზე ორი თვალი გულისშემძვრელად
ცისფრად ელავდა, ცალ მუჭში კი მაგრად
ჰქონდა ჩაბლაუჭებული ნარცისი.

ის ორნი, რომლებიც მანქანიდან გად-
მოვიდნენ, დაიხარნენ, მანქანაში შეყვეს
თავი და მუშაობას სწრაფად შეუდგნენ.
მალე ნელში გასწორდნენ და მანქანის
კარზე ჯვალაში გახვეული ფუთა ჩამოკ-
იდეს. მახლობელ შენობაში კარი გაიღო და
სახე სწრაფად გამოჩნდა და გაქრა —
„მოდი, გადმოტვივროთო“ — თქვა
ერთმა მათგანმა. „სულაც არ მეშინია, მა-
გრამ ილბალს ვერ მოგიტანს ამ ტვირთის
გადატანა მთვარეულთან ერთად.“

„მართალი ხარ“ — უპასუხა მეორემ.
„მოდი, ყველაფერი მოვამთავროთ; კიდევ
ორი გზა გველი.“

„მის თან წაყვანას ხომ არ აპირებ?“
იკითხა პირველმა მოსაუბრემ და თავი შე-
ატრიალა იმ უფორმო საგნისკენ, რომელ-
იც თითქოს მიავიწყდათ მანქანაში.

„რა თქმა უნდა. ის ვერაფერს გვავენებს.
ასეა თუ ისე, თითქოს, ილბლის მომტანიც
არის.“

„ჩემთვის არა. დიდი ხანია, ამ საქმეში
ვარ ჩართული და ჯერ არავის გამოვუჭ-
ერივარ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ილბ-
ლის საძებნელად ციყვებზე მონადირე
დამყავდა თან.“

„ვიცი, რასაც გრძნობ მისდამი — ეს
ხშირად გითქვამს. ასე მოხდა, რა უნდა მექ-
ნა? მას ყვავილი თან არასოდეს ჰქონია.
გასულ ღამეს სადღაც დაიკარგა, ასე რომ,
ჯეიკთან ვერ დავტოვებდი, ისე იქცეოდა,
რომ თავის თავს არ ჰგავდა; მაგრამ დღეს
ვერც ვერაფერი ვიპოვე და ვერც ვერსად
დავტოვე. მთელი ღამე გარეთ იყო, სანამ
არ მივაკითხე. შეიძლება ვინმე პოლ-
იცეილს გადაჰყროდა.“

„ამის კარგიც.“ შეიგინა მეორემ. „წყ-
ეულიმც იყოს, ვხედავ თუ როგორ
დაათრევ ყველგან, როცა კარგი თავშესა-
ფარი ადგილებია მისი მსგავსი ხალხ-
ისთვის.“

„მისმინე, ის ჩემი ძმაა. და ჩემი საქმეა,
თუ როგორ მოვექცევი მას, და არც ვილაც
თმაგაბურძნული კაცის ქუჩის დარიგება
მჭირდება.“


„ჰო, კაი, კაი. სულაც არ ვცდილობ,
რომ დაგაშორო. უბრალოდ, ცრუმორწ-
მუნე ვარ და მათ სისულელეებს ვერ ავი-
ტან, სულ ეს არის.“

„კეთილი, მაშინ ამაზე ნუღარაფერს
იტყვი. თუ არ გინდა, რომ ჩემთან იმუშა-
ვო, ესეც მითხარი.“

„კაი, კაი, ბრაზით ტანზე ნუ შემოიხე.“
ჩარაზულ კარს შეხედა. „ღმერთო დიდებ-
ულო, რა დაემართათ დღეს ამ ჩიტებს? რა
ჯოჯოხეთია, ამდენხანს ვერ დავუცდით!
სჯობს, გზა განვაგრძოთ. რას იტყვი?“
როდესაც ლაპარაკისას კარი კვლავ გაიღო
და ხმა გაისმა: „აბა, ბიჭებო.“

მეორე მკლავში ჩაებლაუჭა გინებით.
კუთხეში, ორი კვარტლის იქით, პოლიციე-
ლი გამოჩნდა, წამით შეჩერდა და მერე მათ-
კენ ჩაუყვავა ქოჩი. „პოლიციელი მოდის!
მკვირცხლად მოიქეცი. ვინმეს დაუძახე, რომ
დაგეხმაროს, მე კი მას შევაყოვნებ, სანამ
გადმოტვივრათ“. მოსაუბრე აჩქარდა და
მეორემ კი სწრაფად მიმოიხედა ირგვლივ,
მანქანის კარზე დაკიდულ ტვირთს ხელი
სტაცა და სწრაფად შეიტანა კარში. დაბრუნ-
და და მიეყრდნო მანქანის ერთ მხარეს. ცდი-
ლობდა, რომ მეორე ფუთა კარისკენ წაედო.
პოლიციელი და მისი კომპანიონი შეხვდნენ
ერთმანეთს და საუბარი გააბეს.

სახეზე ოფლმა დაასხა და მოუხერხ-
ებელ ტვირთს მოეჭიდა, მანქანიდან გად-
მოღებს ცდილობდა. ტვირთი შეიძრა, მა-
გრამ არ დაძრულა მიუხედავად მისი



წვლებისა, თანაც მკერდის ქვედა ნაწილით
მიანვა მანქანას და ღამის სუნთქვა შეეკრა.
კიდევ ერთხელ გაიხედა ოფიცისკენ და
ისევ ჩაეჭიდა ტვირთს. ცალი ხელი
გაითავისუფლა და ხელი ჩაავლო იდიოტი
ბიჭის მკლავს.

„მისმინე, ძამიკო.“ ნაიჩურჩულა მან.
„შემობრუნდი და სწრაფად შემაშველე
ხელი“. მის შეხებაზე ბიჭმა რაღაც ნაიზღუ-
ქუნა და მან კი ნახევრად ისე შემოატრია-
ლა, რომ მისი არაფრისმთქმელი, ჩამოწონ-
ილი სახე უკანა დასაჯდომისკენ გადაიხ-
არა. „ღვთის გულისათვის, მოდი,
მოდი.“ იმეორებდა გააფთრებული. „ჩამე-
ჭიდე და ნამოდექი, გესმის?“

ზეციური ცისფერი თვალები უაზროდ
შეჰყურებდნენ მას, პირიდან სველი წვეთე-
ნი მის ხელის ზურგს დაეცა. იდიოტმა მხ-
ოლოდ ნარცისი მიიტანა თავის სახესთან.
„მისმინე!“ კაცი ღამის კვილამდე მივიდა,
„ციხე მოგენატრა?“ იდიოტი მხოლოდ
უცოდველი გულგრილობით შეჰყურებდა
მას. კაცმა ხელი ასწია და მიიმედ გაარტყა
სახეში. მუშტსა და ლოყას შორის მოქცეუ-
ლი ნარცისი მოტყდა და დუნედ დაეკიდა
ამ არსების მუშტზე. მან გაურკვეველად წამ-
ოიყვირა ჩახრწნილი ხმით, რომელიც ოფი-
ცრის გვერდით მდგომმა ძმამ გაიგონა და
დიდი ნახტომებით გამოეყენა მისკენ.

მეორე კაცს მძინვარებამ გაუარა და
სასონარკვეთილებისგან ერთ ადგილას
გაიყინა, ამ დროს უთავაზუს შურისსაძიე-
ბლად.

ძმა ზედ დაახტა, ყვიროდა და იგინე-
ბოდა, ორივე ქვაფენილზე დაეცა. იდიოტი
შეუნწყვეტილ ყმუოდა და ქუჩას საზარე-
ლი ხმით ავსებდა.

„ჩემს ძმას დაარტყი, არა? შე...“ იძახდა
აქოშინებული კაცი. მეორემ, რომელიც
გააოცა ამ თავდასხმამ, თავდასაცავად
გაიბრძოლა და აგინებდა, ვიდრე პოლ-
იცეილი არ მივარდა და ხელკეტით დაუ-
ზოგავად ცემა არ დაუწყო.

„რა ჯანდაბა ხდება აქ?“ იკითხა მან,
როდესაც ისინი ერთთავად ამოგანგ-
ლულები წამოდგნენ და სუნთქვაშეკ-
რულები თვალს აბრიალებდნენ.

„ჩემს ძმას დაარტყა.“
„ვილაცამ ნამდვილად რაღაც დაუშავა
მას.“ შეუღრინა პოლიციელმა.

„წმინდა პეტრეს გაფიცებით, ჩანწყვეტი-
ნით ეს საშინელი ხმა.“ ყვირა პოლ-
იცეილმა, რომ ბიჭის ღრიალი გადაეფარა.
მეორე პოლიციელმა გაარღვია თავმეყ-
რილი ბრბო. „აქ რა ხდება, შემლილი ძროხა
ხომ არ ბლავის?“ იდიოტმა ხმას აუწია და
ესეც დაემტა იმ დაუჯერებელ ხმებს და
მეორე პოლიციელი გაემართა მანქანისკენ
და ერთი კარგად შეანჯღრია.

„წყნარად, წყნარად.“ უყვირა მან. ბი-
ჭის ძმა გამოუსხლტა გამკაცვებულს და
ზურგზე დაახტა პოლიციელს. ისინი მან-
ქანას შეეჯახნენ, პირველი ოფიცერი მე-
ორე დაინამაჟვეს დაეხსნა და დასახმარე-
ბლად გადახტა. მეორე კაცი გაოცებული
იდგა, გაქცევის სურვილით შეპყრობილი,
სანამ ის ორი პოლიციელი ეჯაჯგურებო-
და და ეჭიდავებოდა ძმას, რომელიც ყვი-
როდა და ნიხლებს იქნევდა, სანამ არ
დაიქანცა. მეორე პოლიციელს ლოყაზე
ორი გრძელი ნაკანრი ჰქონდა.

„უფ.“ ამოისუნთქა მან, და ყბა ხელ-
სახოცით მოიწმინდა, „რა ველური კატა
ყოფილა! დღეს მთელი ზოოპარკი გამოიქ-
ცა, თუ რამია საქმე?“ ისე დაიღრიალა, რომ
ღამის შენუხებული იდიოტის ძლიერი ხმაც
კი გადაფარა.

„ზუსტად არაფერი ვიცი.“ გამოსძახა
მისმა მეწყვილემ, „გავიგონე, ვილაცის ხმა
მანქანიდან, მიმოვიხედე და ეს ორნი ერთ-
მანეთს ჩასჭიდებოდა წყალსადენ არხში. ეს
ამბობს, რომ მეორემ მის ძმას დაარტყა.
ამაზე რას იტყვი?“ შეჩერდა და შეანჯღ-
რია მის მიერ დაპატიმრებული კაცი.

კაცმა თავი ასწია. „ჩემს ძმას გაარტყა.
ამისთვის მოვკლა!“ ისევ შემოუტია მძე-
ნვარებამ და ნამოიყვირა, შეეცადა, თავს
დასხმოდა მეორე დაკავებულს, რომელიც
მეორე პოლიციელის უკან მობუზულიყო.
ოფიცერი მან გააკავა. „მოდი, მოდი. გინდა,
ტვინი გაგასხმევიწო? მოდი და გააჩუმე ეს
ყმანვილი, მანქანაში რომ ღრიალებს.“

ამ ხნის განმავლობაში კაცმა პირვე-
ლად შეხედა ძმას. „მისი ყვავილი გადატყ-
და, გესმით?“ ახსნა მან. „და ამის გამო ტი-
რის.“ „ყვავილი?“ გაიმეორა კანონდამ-
ცველმა. „მითხარი, ეს რას ნიშნავს? შენი
ძმა ავადაა თუ მკვდარია, რაში სჭირდება
ყვავილი?“ „ის არც მკვდარია და არც
ავადმყოფად მეჩვენება.“ ჩაერია მეორე
პოლიციელი. „რა არის, რა სპექტაკლია?
აქ რა ხდება?“ მან ისევ შეიხედა მანქანაში
და დაინახა წილოვანის ტომარა. „აჰა.“ თქვა
და სწრაფად შებრუნდა, „სად არის მეორე?
სწრაფად დაძებნეთ! ამათ აქ სპირტიანი
სასმელი აქეთ.“ მეორე კაცს ეცა, რომელ-
იც არც კი განძრეულა. „პოლიციის განყო-
ფილება გელოდებთ, იქებო.“ მისი მეწყ-
ვილე ისევ ძმას ეძიებოდა, სწრაფად დაადო
ხელბორცვლები, მანქანი-
სკენ ნაიყვანა და მეორე პოლიციელის
დასახმარებლად მიბრუნდა.

„გაქცევას არ ვაპირებ.“ გაჰყვიროდა
მეორე ძმა. „უბრალოდ, მინდა, რომ მისი
ყვავილი გავამთელო. მე თქვენ გაუბნებით,
გამიშვით!“

„ამ ღრიალს შეწყვეტს, ყვავილს თუ
გაუთმელებ?“
„დიხ, რა თქმა უნდა. სწორედ ამიტომ
ყვირის.“

„მამ, ღვთის გულისათვის, გაუთმელე
ის ყვავილი.“

იდიოტი ისევ ჩასჭიდებოდა თავის გა-
დატეხილ ნარცისს და მწარედ ტიროდა;
და სანამ ოფიცერი მის მაჯას იყო ჩაჭიდე-
ბული, ძმამ ირგვლივ დაძებნა და იპოვა
ხის პატარა ნაჭერი. ერთ-ერთმა მაყურე-
ბელმა თავისსავე ნებით მოძებნა ზონარი,
რომელიც მან მახლობელი მაღაზიიდან
გამოიტანა; და ორი პოლიციელი და იქ
თავმოყრილი ხალხი ინტერესით ადევნებ-
და თვალს, თუ როგორ დაამაგრეს
ყვავილი ჯოხზე. დაზიანებულმა ყვავილ-
მა კვლავ ასწია თავი და ხმამალალი მწუნ-
არება უმალ გაქრა იდიოტის სულიდან.
მისი თვალები დაემსგავსა აპრილის ცის
ორ ნაფლეთს წვიმის შემდეგ, და მისი სახე
მთვარესავით გაბრწყინდა ალტაცები-
სგან.

„ახლა აქედან მოწყდით.“ და ოფიცრებ-
მა გაარღვიეს იქ თავმოყრილი ბრბო. „დღე-
ისათვის უკვე დამთავრდა სანახაობა.
აქედან მოშორდით.“

ხალხი დაიშალა. ზოგი ცალკე წავიდა,
ზოგიც წვეილ-წყვილად. მანქანა დაიძრა
გზის ნაპირიდან თითო ფრთაზე მჯდარი
თითო ოფიცრით და ქუჩას დაუყვა. მორან-
და იდიოტის ენით აღუწერელი ლურჯი
თვალები, რომელიც ოცნებით დაჰყურებ-
და თავის ნარცისს და ჭუჭყიანი ხელებით
ჩაბლაუჭებოდა.

26 აპრილი, 1925



ნოვალის პრამია

მე გალიაში ჩამკეტეს, მხეცი, თავისუფლებას და მზეს ნატრული. თითქოს აქ გადის ცხოვრების ღერძი, თითქოს ესაა ჩემი მამული.

ტყე უსიერი და უკუნეთი, ყველა გზა ხეთა ხორგით ჩაკეტეს. სუყველაფერი არის სულერთი, რაც ვაკეთებ და რასაც ვაკეთებ.

არც ყაჩაღი ვარ, არც კაცის მკვლელი, დანაშაული ნუთუ ეს არის, რომ თქვენს თვალზე სევედა და ცრემლი ავავყავილე დილის მზესავით.

მე კი, სამარის კარებთან მდგარი, მაინც ვიტოვებ იმედს ხავსივით, რომ ავდრებს შეცვლის მზიანი დარი — სიყვარულით და რწმენით გავსილი!

სასიყვარულო კომპარი ესე! — ღვთიური ცეცხლით პოეტი ინვის. თითქოს ქაოსი გამოდის მზეზე, როგორც მადანი გულიდან მიწის.

დაებინდება თვალეზი ნისლით და დააბიჯებს, როგორც მამონტი და აკრძალული გრძნობები მისი სულს გაუგრილებს ცრემლით ამოთი.

სადღაც ქორწილებს იხდიან. წყვილი ტკბება ცხოვრების ადათით, წესით. მიედინება სიცოცხლე ტკბილი, გაჩნდება შვილი, მაგრდება ფესვი.

ხუმრობდა ვატოც და შთაგონებით თამბაქოს კვამლში სევედას ახვევდა და რითიც ასე გაიმეტებენ, შურისძიება ჰქვია სახელად.

ათას უსაქმურს, ცრუსა და მქირდავს, წუთისოფელს რომ ჭვრეტენ ფერადად, ქალს იყენებენ, ვით ლამაზ ნინდას, ან ღვინის თასებს, მრავალჯერადად...

და ვნება, როგორც ანდების დნობა, ვით განთიადი, იღვრება ირგვლივ და თეთრი ღამის უძინარ ტკბობას დილამდე მოჰყავს ვარსკვლავთა რიგი.

საუკუნეთა ნალეკავს ხრამი და ეს უკუნი უფრო ახელებს და ფოთოლცვენის ნეტარი ჩქამი ბარდიან ქაოსს ამოახველებს.

ო, სიყვარული მძიმე ჯვარია, შენით მშვენდება სამყარო მრუდი. ეგ სილამაზე ვინრო კარია, რომლის შელება ცხოვრებას უდრის!

სუფთა ხარ, როგორც აპრილის დილა, კვირტებივით რომ სიზმრებს მოისხამს, სიკეთით სავსე, მზესავით თბილი, შენ აქ ხარ, მაგრამ ყველა დროის ხარ!


იქნება ჭორიც, შურიც და გესლიც, ბედის ბორბალის მჭახე ჭრიალიც... თვით დაისვრება, ვინც ტალახს გესვრის, დარჩები წმინდა და ილბლიანი.

სპია

„ექიმი ჟივავო“-დან

წვიმს. წნორის ქოლგა გვიფარავს ორთა, ერთობა წვიმა სუროს შერხევით, ჩვენს მხრებს და სუნთქვას ლაბადა მორთავს, მე გიხუტებ და წელზე გეხვევი.

სვია მოსავდა ტევრს უნაპიროს, ჩვენ რომ გვეგონა სუროს ხავერდი. მოდი, ლაბადა ველზე გავფინოთ, მერე გვანვიმოს თუნდაც ღამემდი.



ბორის პასტერნაკი

ქარი

„ექიმი ჟივავო“-დან

მე დავასრულე. შენ ისევე ცოცხლობ. გარეთ კი ქარი ტირის და მოთქვამს, ამ აზვირთებას არ უჩანს ბოლო, არხევს ფიჭვებს და ფიჭვების მოდგმას.

დაუსაბამო ქროლვით და შფოთვით უსასრულობას კალთებს უგრილებს, აწყდება გემებს და ტალღის ტოტით სივრცეებს ცივად შემოუკივლებს.

არც სიმამაცე, არც გააგება არ აქვითინებთ ქარებს უჩინოთ, სიტყვები უნდა ჰპოვონ ქარებმა, შენც სიმღერებს რომ გადაურჩინონ.

ჰამლეტი

„ექიმი ჟივავო“-დან

რა სიჩუმეა. სცენაზე ვდგავარ და მიყრდნობილი კარების კიდეს ვჭვრეტ მძიმე ტანჯვით გასავლელ შარას, შარას, რომელიც ცხოვრებას იტევს.

უკუნი ღამე მიმზერს ჭოგრიტით, ჩემამდე მანძილს იმოკლებს წამით; უფალო, სანამ შენს მადლს მომგვრიდე, გთხოვ, ამარიდო გესლი და შხამი.

ნაცნობ სცენაზე სხვა დრამა გადის და მე გავდივარ ჩემი როლიდან. ის სიყვარული კვლავ სულში ბარდნის, ის სიჯიუტეც მხიბლავს შორიდან...

და დავრჩი მარტო. გათვლილი მკაცრად ყოფნა-არყოფნის წერტილთან მიდის. ფარისევლობის სასტიკი ჯვარცმა თურმე ცხოვრება ყოფილა დიდი.

მთირალი ბალი

საშინელია! — ქარწვიმა ფანჯრებს ეხეთქება და სველ ტოტებს ახლის და სული კბილით უჭირავს მარჯვედ, რომ მარტოობით აანთოს სახლი.

ჩამოვლერება ახელილ მიწას, დაუჩხვლეტს სხეულს ცივი ეკლებით, თითქოს შორეულს შეიცნობს ნიშანს — აგვისტოს ღამის ცა ირეკლება.

სახურავიდან ღარში და მერე ისევე ღრუბლების ნიაღში ადის... სიცარიელის უხილავ ფერებს თავგანწირული ტკივილით ბარდნის!

ცხელ ბაგეებზე შრება წვეთი და ეთამაშება წვიმას ბალღევით, გული ამოდის თითქოს მკერდიდან, — ამ საოცრების წმინდა სამხილი.

სიჩუმე. აღარც ფოთლის შერხევა. და მარტოობა გულს მოიოხებს და სიბნელესთან უტყვი შეხება ცრემლსა და ბორგვას ამოიხრებს.

თარგმნა თამაზ პარჯაქიშვილი



ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004